

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინსტიტუტი ტექნოლოგიების

ჰუმანიტარული რეფერატული ჟურნალი

#2, 2022

თბილისი
2022

მთ. რედაქტორი: **ირმა რატიანი** (შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი)

მთ. რედაქტორის
მოადგილე **ფიქრია წოწკოლაური** (ინსტიტუტი ტექინფორმი)

სარედაქციო კოლეგია: **ირინა ბედინაშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **მაკა ელბაქიძე** (შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), **მადონა კოპალეიშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **დავით ლომიტაშვილი** (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო), **ნელი მახვილაძე** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **ჯაბა სამუშია** (შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი), **მარინე ქავთარაძე** (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია), **ლია ქაროსანიძე** (ოსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი), **მზია ლოდელიანი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **მანანა შეყილაძე** (ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია), **თეიმურაზ ჩუბინიშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი)

ინგლისური ტექსტის
რედაქტორი **ვალერი სარჯველაძე**

საკონტაქტო მისამართი: **თბილისი, ტექინფორმი, კოსტავას 47**
ტელ.: 233 53 15; 233 51 22
ელ. ფოსტა: tech@gtu.ge
https://techinformi.ge

© ტექინფორმი
<https://techinformi.ge>

გამომცემლის ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია გამოცემის რომელიმე ნაწილის რეპროდუცირება ან გადაცემა ნებისმიერი ელექტრონული, მექანიკური თუ ფოტოგადამღები საშუალებით, ან შეტანა ნებისმიერი სახის საძიებელ სისტემაში გამომცემლის ნებართვის გარეშე. განაცხადი ნებართვის მიღებაზე ეგზავნება ტექინფორმს, ამასთან წერილობითი ნებართვის აღება საჭიროა მოხდეს მანამ, სანამ გამოცემის რომელიმე ნაწილი შეიტანება ნებისმიერი სახის საძიებელ სისტემაში.

წინასიტყვაობა

რეფერატული ჟურნალი ასახავს საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციებს ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში. მასში მოცემულია სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიების, დისერტაციების, ჩატარებული კონფერენციების მოხსენებების რეფერატები ისტორიისა და არქეოლოგიის, ენისა და ლიტერატურის, ფილოსოფიის, რელიგიის, ხელოვნების დარგებში.

ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს პუბლიკაციების რეფერატული ჟურნალი გამოიცემა 2000 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექნიფორმის მიერ. მის ბაზაზე შექმნილია ქართულ-ინგლისურენოვანი მონაცემთა ბაზა „**საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციები**“, რომელიც თავისუფალი წვდომის რეჟიმში განთავსებულია ინტერნეტში. აღნიშნული ბაზის შევსება ჰუმანიტარული მეცნიერებების პუბლიკაციებით დაგვიანებული, მაგრამ უდავოდ საშური საქმეა.

ჰუმანიტარული მეცნიერებების ქართული რეფერატული ჟურნალი ორენოვანია, გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე. რეფერატები სისტემატიზებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო კვლევების კლასიფიკატორის მიხედვით. ჟურნალს თანდართული აქვს ავტორთა და თემატური საძიებლები.

ახალი რეფერატული ჟურნალი გააფართოებს საქართველოს მეცნიერთა პუბლიკაციების გავრცელების არეალს და ხელს შეუწყობს კვლევებში მონაწილე პარტნიორების მოძიებას.

სარედაქციო კოლეგია

თემატური რუბრიკები

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო დარგების კლასიფიკატორის (FOS) მიხედვით

6. Humanities

6.1 History & archaeology

History (*history of science and technology to be 6.3, history of specific sciences to be under the respective headings*)

Archaeology

6.2 Languages & literature

General language studies

Specific languages

General literature studies

Literary theory

Specific literatures

Linguistics

6.3 Philosophy, ethics & religion

Philosophy, history & philosophy of science & technology

Ethics (*except ethics related to specific subfields*)

Theology

Religious studies

6.4 Arts (arts, history of arts, performing arts, music)

Arts, art history

Architectural design

Performing arts studies (musicology, theater science, dramaturgy)

Folklore studies

Studies on film, radio & television

6.5 Other humanities

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.1 ისტორია და არქეოლოგია

ისტორია (*მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია უნდა იყოს რუბრიკაში 6.3, ცალკეული მეცნიერებების ისტორია უნდა გაერთიანდეს შესაბამის რუბრიკებში*)
არქეოლოგია

6.2 ენა და ლიტერატურა

ზოგადი ენათმეცნიერება

ცალკეული ენები

ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა

ლიტერატურის თეორია

ცალკეული ლიტერატურული

მიმდინარეობები

ენათმეცნიერება

6.3 ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია

ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია

ეთიკა (*გარდა ცალკეული დარგების ეთიკისა*)
თეოლოგია

რელიგიათმცოდნეობა

6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, სასცენო ხელოვნება, მუსიკა)

ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

არქიტექტურული დიზაინი

სამშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა (*მუსიკათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, დრამატურგია*)

ფოლკლორისტიკა

კვლევები კინოხელოვნების, რადიოსა და ტელევიზიის სფეროში

6.5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები

შინაარსი

რეფერატულ ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები	6
წინამდებარე ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები	7
თემატური რუბრიკები	
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	
6.1. ისტორია და არქეოლოგია	8
6.1.1. ისტორია	8
6.1.2. არქეოლოგია	14
6.2. ენა და ლიტერატურა	16
6.2.1. ენების ზოგადი კვლევები	16
6.2.2. ცალკეული ენები	18
6.2.3. ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა	21
6.2.4. ლიტერატურის თეორია	26
6.2.5. ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობები	30
6.2.6. ენათმეცნიერება	32
6.3. ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია	47
6.3.1. ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია	47
6.3.2. ეთიკა (გარდა ცალკეული დარგების ეთიკისა)	47
6.3.3. თეოლოგია	48
6.3.4. რელიგიათმცოდნეობა	48
6.4. ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)	51
6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	51
6.4.2. არქიტექტურული დიზაინი	52
6.4.3. საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა, თეატრთმცოდნეობა	53
6.4.4. ფოლკლორისტიკა	57
6.4.5. კვლევები კინოხელოვნების, რადიოსა და ტელევიზიის სფეროში	58
6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები	58
ავტორთა საძიებელი	63
თემატური საძიებელი	66

რეფერატულ ჟურნალში ასახული სამეცნიერო გამოცემები

- | | | |
|---|---|------------------------------------|
| 1 | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე | ISSN 0132-1447 |
| 2 | ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები | ISSN 2233-3363 |
| 3 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი, სამეცნიერო ჟურნალი სჯანი | e-ISSN 2346-772X
ISSN 1512-2514 |
| 4 | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჟურნალი განათლება | ISSN 2346-8300 |
| 5 | საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი | ISSN 2587-4810 |
| 6 | იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული | ISSN 1512-0600 |
| 7 | ჟურნალი ენა და კულტურა | ISSN 1987-7323 |
| 8 | სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი | E ISSN 2667-9353 |
| 9 | ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია (ელექტრონული
სამეცნიერო ჟურნალი) | ISSN 1512-2018 |

წინამდებარე ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #4; – 2021. – ტ. 15. – #1, #3, #4; – 2022. – ტ. 16. – #1, #2.
2. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX.
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, სამეცნიერო ჟურნალი **სჯანი**. – 2021. – #22.
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჟურნალი **განათლება**. – 2020. – #1(28).
5. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი **სპექტრი**. – 2021. – #4, #5.
6. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34).
7. ჟურნალი **ენა და კულტურა**. – 2021. – #25, #26.
8. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია (ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი). – 2020. – #1(21), #2(22).

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.1. ისტორია და არქეოლოგია

6.1.1. ისტორია

2.6.1.1.1. კრიზისული პერიოდი საქართველოს ისტორიაში (XV ს.). /რ. მეტრეველი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2021. – ტ. 15. – #3. – გვ. 103-113. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

აღორძინების გზაზე მდგარ საქართველოს XIV საუკუნის ბოლო ოცწლეულში ახალი, რთული პრობლემები გაუჩნდა. 1386 წელს საქართველოს (ისე როგორც მახლობელ აღმოსავლეთსა და ევროპა-აზიის სხვა ქვეყნებს) შემოესია შუააზიელი მხედართმთავარი თემური (ტამერლანი) – გათურქებული მონღოლური ტომის ბეგის თარაღაის შვილი. თემურ-ლენგის შემოსევებმა (1386-1403 წწ. – საქართველოს რვაგზის შემოესია) უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა მთელი სამხრეთი კავკასია. განადგურდა ქართული ეკონომიკა, კულტურა, სოფლის მეურნეობა. ვითარება განსაკუთრებით მძიმე იყო პოლიტიკური თვალსაზრისითაც. მომთაბარეთა აგრესიის წინააღმდეგ საქართველო მარტო აღმოჩნდა. საქართველოში მიმდინარე შინაპოლიტიკურ ბრძოლებს მძიმე საერთაშორისო ფონი ჰქონდა. საეტაპო მნიშვნელობის იყო 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლის დაცემა. ურთულეს გარემოცვაში მოყოლილი ქვეყანა ცდილობდა ურთიერთობა დაემყარებინა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და მათი დახმარებით, როგორმე გაერღვია შექმნილი გარემოცვა. ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანული ეკლესიების გათიშვის შემდეგ (1054 წ.) ქართულ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ (რომის ეკლესია) ეკლესიებს შორის ურთიერთობა თითქმის არ შეწყვეტილა. თუმცა ეს არ იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ ქართული ეკლესიის, რომის კათოლიკური ეკლესიის მხარეზე ყოფნა. საქართველოს სახელმწიფოებრივი და რელიგიური პოზიცია მტკიცე აღმოჩნდა – მან არ დათმო მართლმადიდებლობა. ამგვარ გადაწყვეტილებას ხელს უწყობდა მსოფლიო საეკლესიო კრებების შედეგები (ნათელი მაგალითია ფერარა-ფლორენციის კრების მიერ მიღებული უნიის საერთო უგულვებელყოფა). საქართველომ ვერ მიიღო რაიმე დახმარება ძლიერი ქვეყნებისაგან. XI-XII საუკუნეებში ძლიერი საქართველოს სახელმწიფო XV საუკუნეში მძლავრმა ყოველმხრივმა კრიზისმა მოიცვა და პოლიტიკურადაც დაიშალა. ლიტ. 17.

ავტ.

2.6.1.1.2. ჩერქეზეთის ქრისტიანული ეკლესიები და მათი კავშირი ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურასთან. /თ. დიასამიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2021. – ტ. 15. – #3. – გვ. 114-120. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საქართველოსა და ჩერქეზეთის ურთიერთობა საუკუნეებს მოიცავს. ეს ურთიერთობა ძირითადად გამოიხატებოდა პოლიტიკური და კულტურული აქტიურობებით, მათ შორის, ქრისტიანობის გავრცელებით და საეკლესიო არქიტექტურით. კავკასიაში საქართველოს ქრისტიანულ, ძლიერ და წამყვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ, ჩვენმა ქვეყანამ თავის თავზე აიღო ქრისტიანობის დამცველის როლი. საქართველოდან ქრისტიანობა ვრცელდებოდა ინგუშეთში, დაღესტანსა და ჩერქეზეთში. აქ შენდებოდა ქართული ეკლესიები – ტყობა-ერდი, დათუნას ეკლესია, შუანა, სენტი, არხიზი. საეკლესიო არქიტექტურის მშენებლობის პარალელურად აქ ვრცელდებოდა ქართული ენა და დამწერლობა. ეს ტერიტორიები საქართველოს ქრისტიანული ეკლესიის ეპარქიების შემადგენლობაში შედიოდა. შესაბამისად წირვა-ლოცვა დიდი ხნის განმავლობაში სწორედ ქართულად აღევლინებოდა, ამის დასტურია ის ასომთავრული წარწერები და წიგნები, რაც ეკლესიების შესწავლისას არის აღმოჩენილი. ტყობა-ერდი არის სამეკლესიანი ბაზილიკა, რომლის არქიტექტურული ტიპი საქართველოში ჩამოყალიბდა. დათუნას ეკლესია არის დარბაზული ეკლესია, რომლის მსგავსი ყოველთვის შენდებოდა

საქართველოს ტერიტორიაზე. შუანა იგივე სვანს ნიშნავს, მისი შესწავლისას აღმოჩნდა წარწერა, სადაც მოხსენიებულია ეგრის-აფხაზეთის მეფე ლეონ მესამე, რაც ადასტურებს ამ ქართული სამეფოს გავლენას ჩერქეზეთში. სენტი ქართულ სვეტს, სვეტიცხოველს უკავშირდება. ორივე ეს ეკლესია თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიებია, რომელთა მსგავსი, პირველი არქიტექტურული ნიმუშია წრომის ეკლესია, რომელიც მეშვიდე საუკუნიდან დათარიღებული. ბიზანტიაში ასეთი არქიტექტურული სტილის მშენებლობა მეცხრე საუკუნიდან იწყება. ეს არქიტექტურული ტიპი დადასტურებაა იმისა, რომ ბიზანტიის იმპერიას არ ჰქონდა ისეთი დიდი გავლენა ჩერქეზეთში, როგორიც საქართველოს. ლიტ. 15.

ავტ.

2.6.1.1.3. დასავლეთევროპული ქვეყნების ინტერესი საქართველოსადმი სპარსეთ-ოსმალეთის საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში (XVI ს-ის 40-60-იანი წლები). /თ. ქარჩავა, მ. პაპაშვილი, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #4. – გვ. 114-119. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომი შესრულებულია დღემდე უცნობი ევროპული წყაროების (მიკელე მემბრე, ენტონი ჯენკინსონი) მიხედვით, რომელთა ავტორებმა დატოვეს საინტერესო ინფორმაცია ქართველების შესახებ. ვენეციელი ავტორის, მიკელე მემბრეს (რომელმაც იმოგზაურა სეფიანურ სპარსეთში საქართველოს გავლით) რელაციონი დესკრიფციული ხასიათის ინფორმაციას გვაწვდის (ყოფა-ცხოვრება, ჩაცმულობა, საცხოვრისი, აღჭურვილობა, ეკონომიკური მდგომარეობა, ომგამოვლილი პოლიტიკური ერთეულების მძიმე ვითარება), ინგლისელი ავტორის ჯენკინსონის რელაციონი კი, რომელიც შეხვდა ქართველებს სპარსეთის დედაქალაქსა და მის დომინიონებში, ყურადღებას ამახვილებს ქართული სახელმწიფოების ეკონომიკურ პოტენციალსა და პოლიტიკურ ვითარებაზე. რელაციონი ნათლად წარმოაჩენს ინგლისელი სავაჭრო აგენტების მოგზაურობების ფართო პროფილს აღმოსავლეთში, დიპლომატიურ მოქნილობასა და პოლიტიკურ ვითარების არსში წვდომას, რომელიც პერსპექტივების / კონკრეტული ნაბიჯების მარცხისა თუ წარმატების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზით ხასიათდება. მათ საფუძველზე ისტორიის მეცნიერებაში პირველად იქნა გარკვეული, რომ XVI საუკუნის 40-60-იან წლებში ქართველი პოლიტიკური მესვეურები საერთო ანტიოსმალურ კონტექსტში დასავლეთის რომაულ-კათოლიკურ სივრცესთან დაინტერესებულნი იყვნენ პოლიტიკური კონტაქტების დამყარებით და მას არანაირად არ ენაცვლებოდა პროტესტანტულ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების განვითარება. ქართველი პოლიტიკოსების ანტიოსმალურ გეგმებში ჰაბსბურგებთან მოკავშირეობა სასიცოცხლო აუცილებლობად მიიჩნეოდა ვიდრე პროტესტანტული ქვეყნებისადმი ინტერესი. ლიტ. 18.

ავტ.

2.6.1.1.4. ათათურქისეული რევოლუცია და ახალი ლაიცისტურ-დასავლური პარადიგმა. /გ. ანთელავა/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 13-18. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადებით ისტორიას ჩაბარდა ოსმალეთის იმპერია – ისლამური, თეოკრატიული, მრავალეროვანი და მრავალენოვანი სახელმწიფო. რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ბუნებით აშკარა მოდერნისტი მუსტაფა ქემალ ფაშა უარყოფდა ქვეყანაში ისლამის უზენაესობას და მთლიანად ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს მართვაში რელიგიის მონაწილეობას. 1931 წელს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე მიღებული პარტიის პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი იყო ლაიციზმი, რომელიც გულისხმობდა ქვეყნის ფარგლებში ისლამის მოქმედების ძლიერ შეზღუდვას და მისი მნიშვნელობის დაკნინებას. ეს იყო ყველაზე „მოხერხებული“ გზა თანამედროვეობისაკენ, თურქეთის

დასავლეთის სამყაროსთან ადაპტაციისათვის, რომელიც მოითხოვდა ძველ ტრადიციაზე უარის თქმას და მნიშვნელოვანი სოციოკულტურული რეფორმების გატარებას. ლიტ. 7.

ავტ.

2.6.1.1.5. რელიგიის თავისუფლების გარანტიისა და უზრუნველყოფის უფლება 1786 წლის „რელიგიური თავისუფლების სტატუტიდან“ გაეროს 2019 წლის სესიაზე გამოცემულ „დეკლარაციამდე“. /ნ. დურა/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2021. – ტ. 15. – #1. – გვ. 117-127. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

რელიგიის თავისუფლებისა და მისი სასამართლო დაცვის შესახებ 2019 წლიდან რამდენიმე „დეკლარაციის“ ტექსტის შესწავლამ, რომელიც ეკუთვნის ზოგიერთ რელიგიურ ლიდერსა და ჩვენი დროის წამყვან სახელმწიფო მოღვაწეებს, ასევე, გვიბიძგა შეგვეფასებინა ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი დოკუმენტი, სახელდობრ, თომას ჯეფერსონის მიერ დაწერილი ვირჯინიის სტატუტის ტექსტი (1786 წლის 16 იანვარი), რომელიც უშუალოდ შეეხება რელიგიის თავისუფლების საკითხს. მოგვიწია, აღნიშნული „სტატუტის“ უფრო სიღრმისეულად განხილვა. გამოვიყენეთ ძველი წყაროების ტექსტები („ad fontes“), როგორიცაა რომის სამართალი („Jus romanum“). აქედან გამომდინარე, ჩვენი სტატიის ინტერდისციპლინარული შინაარსი (სასამართლო, ფილოსოფიური, ისტორიული და ა.შ.) მკითხველს სთავაზობს არა მხოლოდ ცოდნის გაღრმავებას, არამედ ადამიანის ერთ-ერთ უპირველეს – თავისუფლების შეფასებას, ანუ რელიგიის თავისუფლებას. ლიტ. 48.

ავტ.

2.6.1.1.6. ლევან შარვაშიძის ახლადმიკვლეული საბუთი. /ვ. კვაშილავა, თ. ქართველიშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 29-36. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შესწავლილია და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიკვლეული ახალი ისტორიული საბუთი: „წერილი ყულევიდან აფხაზ თავად ლევან შარვაშიძის უცნობი პირისადმი“. დოკუმენტი შედგენილია ყულევში (რედუტ-კალე) 1809 წლის 4 თებერვალს. ეს პუნქტი დასავლეთ საქართველოში რუსეთის საოკუპაციო არმიის მთავარ ლოგისტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. წყაროს შედგენის დროისათვის ლევან შარვაშიძე სამურზაყანოს ყოფილი მფლობელი იყო. ის გახლდათ დიდი ამბიციების პიროვნება, რომელიც სამურზაყანოს მფლობელობისას ცდილობდა მისი სამფლობელოს გათავისუფლებას ოდიშისა და აფხაზეთის პოლიტიკური გავლენისაგან. ჩვენს მიერ მიკვლეული დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი ავტორი მართლაც ლევან შარვაშიძეა და რეალურად ასახავს გარკვეულ ისტორიულ მოვლენებს. ამასთან ერთად, დოკუმენტი ნათლად გვიჩვენებს, რომ სამურზაყანოს მფლობელთა და წარჩინებულთა საქმის წარმოების ენა ქართული იყო, რაზეც მეტყველებს, როგორც საკუთრივ ტექსტი, ასევე მასზე დართული ლევან შარვაშიძის ბეჭედი. ეს ფაქტი ძირშივე სრულად ამსხვრევს ჩვენი სეპარატისტული კოლეგების „მტკიცებას“, თითქოს ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინცია არასდროს შედიოდა ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში. სურ. 3, ლიტ. 10.

ავტ.

2.6.1.1.7. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ისტორიოგრაფიული რეპრეზენტაცია. /ქ. მანია/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 19-28. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

წარმოდგენილია თხზულების კარდინალური პრობლემების შესწავლისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალის ანალიზი. სტატიაში განხილული მასალის

საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ სპეციალისტთა განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიმართ მის შესახებ გამოთქმული პირველი შეხედულებებიდან მოყოლებული დღემდე. აღძრულ იქნა თხზულების შესწავლასთან დაკავშირებული ყველა არსებითი პრობლემა. თანდათან გაფართოვდა დასმული საკითხების წრე. გამოითქვა ახალი თვალსაზრისები ქრონოლოგიურ და ტექსტოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით. დაზუსტდა ზოგიერთი ადგილი, რამაც შესაბამისად კორექტივი შეიტანა თხზულების დაწერის თარიღთან დაკავშირებით. დაიწერა საგანგებო ნაშრომები. გამოიცა კრიტიკულად დადგენილი ტექსტები. განხორციელდა თარგმანები უცხოურ ენაზე. გამოირკვა, რომ ძეგლი წარმოადგენს ქართული მწერლობის იშვიათ ნიმუშს, რომელიც დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების გააზრებაში. ლიტ. 52.

ავტ.

2.6.1.1.8. ქართული მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები სანკტ-პეტერბურგის მუზეუმებში. /კ. ქარაია, ა. შანშიაშვილი, ლ. ქარაია, ზ. ბრაგვაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2021. – ტ. 15. – #4. – გვ. 195-200. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ქართული მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობის სრულად შესაფასებლად აუცილებელია იმ ნიმუშების მოძიება და შესწავლა, რომლებიც წარმოადგენს საქართველოს მუზეუმებში დაცული ეროვნული საგანძურის ნაწილს და გაბნეულია საზღვარგარეთისა და, მათ შორის, რუსეთის მუზეუმებში. კვლევა შეისწავლის და აანალიზებს რუსეთის იმპერიის ყოფილი დედაქალაქის, სანკტ-პეტერბურგის მუზეუმების (რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი, კუნსტაკამერა, სახელმწიფო ერმიტაჟი, რუსული მუზეუმი და სხვ.) ფონდებში მე-19 საუკუნიდან დაგროვილ სამუზეუმო კოლექციებს და მათ შემადგენლობას. ეს კოლექციები მოიცავს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად და შემთხვევით მოპოვებულ მასალებს (მოყოლებული ბრინჯაოს ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით), ასევე, საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელ მრავალფეროვან ეთნოგრაფიულ ნივთებს (ეროვნული სამოსელი, საიუველირო ნაკეთობები, ხალიჩები და ფარდაგები, ხისა და სამეთუნეო ნაწარმი, ხელსაქმის ნიმუშები და სხვ.), სახვითი ხელოვნებისა და საომარი აღჭურვილობის ნიმუშებს, რელიგიურ-საკულტო, სადღესასწაულო, საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების საგნებს, ასევე ხელნაწერებს და სხვადასხვა სახის რარიტეტებს. სანკტ-პეტერბურგის მუზეუმებში დაცული ქართული კოლექციების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების დადგენასთან, კოლექციების კლასიფიკაციასა და სისტემატიზაციასთან ერთად, კვლევის მთავარი მიზანია ვირტუალური ანასტილოზის (ძვ. ბერძნ. ἀναστήλωσις - ავთენტური განცალკევებული ფრაგმენტების ხელახლა შეერთება) პროცესის განხორციელება საქართველოს მუზეუმებში დაცულ ანალოგიურ მასალებთან, რაც შეავსებს ქართულ მოძრავ კულტურულ მემკვიდრეობაზე არსებულ ინფორმაციას და ახალი ცოდნით გაამდიდრებს ეროვნულ სამეცნიერო სივრცეს. ლიტ. 8.

ავტ.

2.6.1.1.9. საქართველოს შავიზღვისპირა სოფლების პონტოელი ბერძნები: მიგრაციის მოდელები, მარშრუტები და სოციოპოლიტიკური მიზეზები. /მ. გიორგაძე, ნ. მგელაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #4. – გვ. 109-113. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საქართველოს შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აჭარაში მცხოვრები ბერძნულენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მცირე აზიის ბერძენთა შთამომავალია. კავკასიაში ბერძენთა მიგრაცია სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიმართულებისა და შინაარსის იყო. ანატოლიელი

ბერძნების მიგრაციას საქართველოს შავიზღვისპირეთში სოციალურ-პოლიტიკურთან ერთად ოსმალეთში განვითარებული რელიგიური პროცესებიც განაპირობებდა. საქართველოში ბერძენთა მიგრაციის მიზეზები ერთგვაროვანი არ ყოფილა. აჭარის ზღვისპირეთში ბერძნული დიასპორები გვხვდება სოფლებში: ახალშენში, ყოროლისთავში, ფერიაში (ხელვაჩაურის რ-ნი), დაგვაში, კვირიკეში, აჭყვაში (ქობულეთის რ-ნი). ბერძენთა დასახლებით განსაკუთრებით ბათუმში გამოირჩეოდა. აქ, ახალი ტიპის სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი საკმაოდ გვიან, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაარსდა. პონტოელი ბერძნების შავიზღვისპირეთში დასახლების შემდეგ, ბევრმა მათგანმა, პირველსაცხოვრისი დატოვა და ქალაქებსა თუ ქალაქების ახლომახლო ადგილებში დამკვიდრდა, ძირითადად, ქობულეთსა და ბათუმს მიაშურა. შიდა მიგრაციები რეალურად აჭარის ბარის საზღვრებს არ სცილდებოდა. უკეთესი პირობების შექმნის მიზნით, ბევრი ქალაქში დამკვიდრებისათვის მამა-პაპისეული სახლების გაყიდვასაც არ ერიდებოდა. მიგრანტთა ჯგუფები, რომლებიც აჭარაში, ბათუმის მიმდებარე ტერიტორიებზე განსახლდა, საქართველოს ეთნიკურ პორტრეტში სერიოზული ცვლილებები შეიტანა. პონტოელმა ბერძენებმა საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ფასეულობები ჩაიტანეს, რაც ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში, სამეურნეო ყოფაში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში, დარგობრივ ლექსიკაში გამოიხატებოდა. დროთა განმავლობაში, საქართველოს შავიზღვისპირეთში – ქართულ ეთნიკურ გარემოში ბერძნულმა დიასპორამ საკუთარი კულტურა განავითარა და, შესაბამისად, ადგილობრივ გარემოზეც მოახდინა გავლენა. ამასთან, კულტურული თვალსაზრისით, ბერძენებმა დამხვდური ლოკალური გარემოცვისგანაც ბევრი რამ შეითვისა. ლიტ. 11.

ავტ.

2.6.1.1.10. აფხაზთა მუჰაჯირობის ისტორია დღევანდელი თვალთახედვით. /ქ. შენგელია, რ. ერისთავი/. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. – 2021. – #4. – გვ. 170-173. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კავკასიის ომის უკანასკნელ ეტაპზე, 1859-1864 წლებში, ცარიზმი დაუმორჩილებელი კავკასიელი მთიელების სამშობლოდან ძალდატანებით გასახლებას შეუდგა. ეს პროცესი ცნობილია მუჰაჯირობის სახელით. 1866 წელს ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზები აჯანყდნენ. რუსეთმა აჯანყება ჩაახშო. იმპერიის მიმართ განსაკუთრებით მტრულად განწყობილი მუსლიმანი და წარმართი აფხაზები თურქეთში გადაასახლეს. სტატიაში განხილულია აფაზეთში რეპატრიაციის საკითხთა კომიტეტის შექმნის მიზნები და მუშაობის წესი. ცნობილია, რომ 1998 წელს აფხაზეთში რეპატრიაციის პროგრამების დასაფინანსებლად, არასაბიუჯეტო ფონდი შეიქმნა. ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი ყოველწლიურად რეპატრიანტებისთვის სახლების მშენებლობასა და შეძენაზე იხარჯება. კვლევით ირკვევა, რომ რეპატრიაციის იდეის სულისჩამდგმელებმა სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული აფხაზების გაერთიანების მიზანში არა მხოლოდ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა დაინახეს, არამედ – მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტის გზაც. მნიშვნელოვანია, თუ რას ფიქრობენ თანამედროვე აფხაზები რეპატრიაციის საკითხებზე, როგორ არიან განწყობილი რეპატრიანტთა მიმართ, ასევე მნიშვნელოვანია ქართული მხარის პოზიცია, დამოკიდებულება და სამომავლო ხედვები აფხაზეთში მუჰაჯირებთან დაკავშირებული საკითხების მიმართ. ლიტ. 11.

ავტ.

2.6.1.1.11. ცნობები ბასილი უჯარმელის შესახებ. /მ. ახალკაციშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 30-35. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია XIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ბასილი უჯარმელთან დაკავშირებული ცნობები. სამეცნიერო სტატიის მთავარი მიზანია ბასილი უჯარმელთან დაკავშირებით ქართულ ისტორიულ წყაროებში დაცული ინფორმაციის შესწავლა. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდი: კრიტიკული ანალიზი. წარმოდგენილ სტატიაში კრიტიკულად არის გაანალიზებული ბასილი უჯარმელის შესახებ წყაროებში დაცული ინფორმაცია და გამოთქმული ვარაუდები. შესწავლილი მასალებიდან ჩანს, რომ ბასილი უჯარმელის შესახებ საისტორიო მასალებში მცირე ინფორმაციაა მოცემული, მის შესახებ ძირითად ცნობებს და მოსაზრებებს ვხვდებით „ქართლის ცხოვრებასა“ და ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“. ჟამთააღმწერელი მას XIII საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში, დავით ულუს ამბების გადმოცემისას ახსენებს. ივანე ჯავახიშვილი ბასილის პიროვნების შესახებ სრული სურათის წარმოდგენის მიზნით ახდენს ლოგიკურ დაშვებებს, მის თხზულებაში ვხვდებით „უნდა მიემართათ“, „უნდა მოჰხდომოდა“. ბასილი უჯარმელის შესახებ გამოთქმულია ვარაუდი, რომ მას ეკუთვნის იდეა ეკლესიისთვის მიწების ჩამორთმევის შესახებ, რომელსაც ეკლესიის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. 1263 წელს საეკლესიო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელიც მიწების ჩამორთმევის წინააღმდეგ იყო მიმართული, დადგენილებაში საუბარია ეკლესიის მიერ შეჩვენებულ პირზე, რომელსაც ასევე ბასილი უჯარმელთან აიგივებენ. პირდაპირი წყაროების არარსებობის გამო კვლევის საფუძველს წარმოადგენს ბასილი უჯარმელის შესახებ გამოთქმული ვარაუდები, რომლებიც სავსებით შესაძლებელია იყოს ჭეშმარიტიც და მცდარიც. ლიტ. 4.

ავტ.

2.6.1.1.12. ისლამმცოდნეობა XVIII საუკუნის საქართველოში. /ხ. ბაინდურაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2021. – ტ. 15. – #1. – გვ. 128-133. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მიტროპოლიტ ტიმოთე გაბაშვილის მიერ დაწერილი ანტიმუსლიმური პოლემიკური ნაშრომის „აგარიანთათვის“, როგორც ისლამმცოდნეობითი წყაროს შესწავლა, მისი წყაროების გამოვლენა, ისლამის რელიგიური მოძღვრებისა და მისი მქადაგებლის შესახებ იმ ცოდნის ჩვენება, რომელიც აღნიშნულ პერიოდში ქართულ საზოგადოებაში არსებობდა. ტ. გაბაშვილის ნაშრომი, „აგარიანთათვის“ XVIII საუკუნეში შექმნილი ერთადერთი ორიგინალური, ანტიმუსლიმური, პოლემიკური ჟანრის თხზულებაა. იგი შეიცავს განსხვავებულ ცნობებს ისლამის მქადაგებლისა და მისი ოჯახის წევრების შესახებ, რაც არც მანამდე არსებულ და არც შემდგომდროინდელ მუსლიმურ ლიტერატურაში არ ფიქსირდება. ნაშრომში ასევე ვხვდებით ალაჰის ეპითეტისა და მუსლიმური სიმბოლიკის შესახებ ავტორისეულ განმარტებებს. კვლევის სამეცნიერო ღირებულებას ისიც განსაზღვრავს, რომ თხზულება „აგარიანთათვის“ მნიშვნელოვანი ისლამმცოდნეობითი წყაროა, რომელიც ნათლად ასახავს აღნიშნულ ეპოქაში ქართული საზოგადოების ისლამმცოდნეობისა და დოგმატიკურ-პოლემიკური მწერლობის მაღალ დონეს. ლიტ. 20.

ავტ.

2.6.1.1.13. არაბული გაზაფხული და ისლამური რადიკალიზმი (თუნისი, ეგვიპტე, სირია). /ს. გურეშიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2021. – ტ. 15. – #1. – გვ. 134-140. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში ძირითადი საკითხის განხილვამდე ყურადღება არის გამახვილებული ისეთ მნიშვნელოვან ცნებებზე, როგორებიცაა: ფუნდამენტალიზმი, რადიკალიზმი და ექსტრემიზმი, რადგანაც აუცილებლად მიმაჩნია ამ სამი განსაზღვრების ერთმანეთისგან გამიჯვნა იქიდან

გამომდინარე, რომ ხშირია მათი ერთმანეთში აღრევა და, შესაბამისად, მათი არასწორი ინტერპრეტაციით წარმოჩენა. წარმოდგენილ კვლევაში დასმულ პრობლემასთან დაკავშირებული დასკვნების მთავარი არგუმენტი, მთლიან ნაშრომზე დაყრდნობით, ჩატარებული კვლევის, შედარებითი ანალიზისა და მასალების შეჯერების შედეგად არის ის, რომ 2010 წლის დეკემბერში თუნისში დაწყებული და შემდგომ თითქმის ყველა არაბულ ქვეყანაში გავრცელებული „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილი საპროტესტო აქციები და რევოლუციური პროცესები იყო არა ისლამისტური ძალების „გამოღვიძება“ ან დემოკრატიული პროცესებისაკენ მიმართული ბიძგი, არამედ გარიგებები ისლამისტურ და სეკულარულ პოლიტიკურ ძალებს შორის თუნისის მაგალითზე, სამხედროების კომბინაცია ეგვიპტეში, რეჟიმის მანიპულაციები და რეგიონალური აქტორების ინტერესთა კონფლიქტის შედეგები სირიაში. დამუშავებული ფაქტოლოგიური მასალები და მათ საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგები იძლევა იმ დასკვნის საშუალებას, რომ რიგ შესაბამის ფაქტოლოგიურ წყაროებში გავრცელებულ მოსაზრებებს, რომ თუნისსა და ეგვიპტეში რეჟიმების დამხობის შემდეგ თითქოს ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი პრობლემების გადაჭრის ერთადერთ გზას ისლამისტურ ძალებში ხედავდა, არ გააჩნია მყარი საფუძველი და პოლიტიკური ისლამის მიმდევარი ძალები ამ ქვეყნებში ძველი რეჟიმებისთვის პოლიტიკურ სარბიელზე დარჩენის მაშველ რგოლს წარმოადგენდნენ – თუნისში ნებით და ეგვიპტეში კი უნებლიედ. სტატიაში ასევე ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ სირიის შემთხვევაში ისლამისტი ექსტრემისტების გააქტიურება მმართველი რეჟიმის მანიპულაციის შედეგი იყო, ვინაიდან სწორედ ამ ძალებთან ბრძოლის შედეგად მოახერხა რეჟიმმა ქვეყნის მმართველ უალტერნატივო ძალად დარჩენა და სწორედ ეს იყო აღნიშნულ სახელმწიფოში ისლამისტური ექსტრემიზმის გაღვივების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი და არა გარკვეულ წყაროებსა და მასალებში გავრცელებული გარკვეული მოსაზრებები სუნიტურ-შიიტური ძალების დაპირისპირების შესახებ. ლიტ. 23.

ავტ.

6.1.2. არქეოლოგია

2.6.1.2.1. არქეოლოგია სარდიონის მძივების ევოლუცია სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჯგუფებში – შუაბრინჯაოს ხანა – ადრექრისტიანული პერიოდი (სამთავროს სამაროვნის მიხედვით). /ნ. ქობალია, ქ. შავლაყაძე, ა. სახვაძე, მ. კუბლაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2022. – ტ. 16. – #2. – გვ. 150-156. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე უმნიშვნელოვანეს ძეგლზე, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი სარდიონის მძივების კვლევის შედეგებს. სამაროვანზე დაკრძალული საზოგადოების 3000-წლიანი ისტორია ადრე ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანები) განუწყვეტლივ არის წარმოდგენილი და ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ეს ძეგლი შეირჩა სარდიონის მძივების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის შესადგენად. აქ, ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ სარდიონის მძივების ევოლუციას საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთში – ძვ.წ. XVII – ახ.წ. VIII საუკუნეებით დათარიღებულ 311 სხვადასხვა ტიპის სამარხში; საერთო ჯამში 14655 სარდიონის მძივი დადასტურდა. მინერალოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ სარდიონის არტეფაქტებისთვის გამოყენებული ნედლეულის უმეტესობა საქართველოში არსებული აქატიპალცედონის საბადოების იდენტურია; რაც შეეხება კლასიფიკაციას, ჩვენ დავაჯგუფეთ მძივები ექვს ძირითად ქრონოლოგიურ ჯგუფად და დავადგინეთ თითოეული პერიოდისთვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები. სქემა 2, ლიტ. 10.

ავტ.

2.6.1.2.2. ადრეული ყორღანების კულტურის ქსოვილები საქართველოში. /თ. კინწურაშვილი, თ. ფარჯანაძე, მ. წერეთელი, ი. კოშორიძე, ნ. კალანდაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2022. – ტ. 16. – #1. – გვ. 116-120. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია უძველესი ქსოვილის ნიმუშები, რომლებიც ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება და ბედენური კულტურის ყორღანულ სამარხებშია აღმოჩენილი. სტატიაში წარმოდგენილია ბედენის N5, N10 და ანანაურის N3 ყორღანულ სამარხებში აღმოჩენილი 5 ქსოვილის მიკროსკოპული კვლევის შედეგები, მათი დამზადების ტექნიკა და ამ პერიოდის სხვადასხვა ძეგლზე გამოვლენილი საფეიქრო საქმიანობასთან დაკავშირებული ხელსაწყოების მახასიათებლები. როგორც ჩანს, ძვ.წ. III ათასწლეული არის პერიოდი, როდესაც აღინიშნება დიდი ინოვაციები. ბუნებრივმა პირობებმა და მეცხვარეობის გავრცელებამ ხელი შეუწყო საფეიქრო საქმის განვითარებას. ბედენის და ანანაურის ყორღანებში აღმოჩენილი შალის ქსოვილის ნიმუშები გვაფიქრებინებს, რომ იმდროინდელი საზოგადოება საკმაოდ კარგად იცნობდა მატყლიდან შალის ქსოვილის დამზადების ტექნოლოგიას. ამ პერიოდში იწარმოებოდა და იხმარებოდა როგორც თხელი კარგი ხარისხის, ასევე უფრო უხეში ქსოვილიც. უძველესი საფეიქრო საქმიანობის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის არტეფაქტების კვლევა. მართალია, ბევრი საკითხი ჯერ კიდევ საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას, მაგრამ ერთი რამ აშკარაა – საქართველო უთუოდ იკავებს საპატიო ადგილს, როგორც ქსოვილის წარმოების ერთ-ერთი უძველესი კერა. ლიტ. 15.

ავტ.

2.6.1.2.3. რკინის წარმოების სათავეებთან კოლხეთში (ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარი – ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარი). /რ. პაპუაშვილი, ნ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2021. – ტ. 15. – #3. – გვ. 127-132. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების და რკინის დამკვიდრების საკითხი ძველი კოლხეთის საზოგადოებაში, რამაც გამოიწვია ამ რეგიონისადმი დიდი ინტერესი. ძველი კოლხეთის ყოფაში რკინის ნივთების შემოსვლა და დამკვიდრება კარგად შეისწავლება კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილ სამაროვნებზე. სამარხეული კომპლექსების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა წარმოგვეჩინა ის სიახლეები, რასაც ადგილი ჰქონდა კოლხეთში ბრინჯაოს ხანიდან რკინის ხანაზე გადასვლის პერიოდში. მოგვეცა საშუალება, სამარხეული კომპლექსები დაგვეყო ვიწრო ქრონოლოგიურ ჯგუფებად. ამ პრინციპით ხუთი ქრონოლოგიურად ურთიერთმონაცვლე ჯგუფი გამოიყო, სადაც კარგად შეინიშნება რკინის ინვენტარის გამოჩენისა და თანდათანობითი დამკვიდრების ტენდენციები. რკინის ნივთების გამოჩენას ჩვენ II ჯგუფის სამარხებში ვხვდებით, რომლებიც ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. ამრიგად, წერილობით წყაროებთან ერთად, არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მრავალმხრივი ინფორმაცია ნათლად გვიჩვენებს რკინის, როგორც საწარმოო საშუალების გამოჩენისა და დამკვიდრების პროცესს ძველ კოლხეთში. ლიტ. 21.

ავტ.

6.2. ენა და ლიტერატურა

6.2.1. ენების ზოგადი კვლევები

2.6.2.1.1. ინფორმაციის გადაცემა ინტერმედიაში: მაცნის სიტყვა, როგორც საინფორმაციო წყარო და ვიზუალური მოდელი ანტიკური ბერძნული თეატრის მულტიმედიალურ კონტექსტში. /თ. დულარიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #4. – გვ. 103-107. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

თანამედროვე სამყაროში განსაკუთრებით პოპულარულია ინტერმედია, რომელიც მხატვრული კულტურის სინთეზური ფორმების არსებობას გულისხმობს. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ისეთი ჟანრი, როგორიცაა კლასიკური ბერძნული დრამა, პოეტიკისა და ინტერმედიალურობის თვალსაზრისით პარადიგმატულ მოვლენას წარმოადგენს. დრამის განვითარებამ ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი ფორმის სინთეზი მოითხოვა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ტრაგედია თავადაა ინტერმედიალური, რომელიც ამავე დროს მიმართული იყო სოციუმისკენ. მისი თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ტექსტების ვიზუალიზაცია ხდება ვიზუალური არტის ფორმატში, რაც გულისხმობს ისეთი მედიუმების გამოყენებას, როგორებიცაა მუსიკა, ქორეოგრაფია, პანტომიმა, პლასტიკა, სცენოგრაფია, კოსტიუმები, ნიღბები და ყველაფერი, რაც განეკუთვნება თეატრის სამყაროს. ბერძნულ ტრაგედიაში მნიშვნელოვანი როლი მაცნეებს ეკისრებათ, რომლებიც, ფაქტობრივად, ყველაზე უფრო შემამრწუნებელი ტრაგიკული მოვლენების ნარატივით გადმოცემის ფუნქციას ასრულებენ. შესაბამისად, ამგვარი სცენა მხოლოდ სიტყვით გადმოცემული ინფორმაციით შეიძლება წარმოიდგინოს მაყურებელმა, რაშიც მას გარკვეულწილად ეხმარება ეკიკლემაზე განხორციელებული მიმიკური თანხლება. ჩვეულებრივ, მაცნის თხრობას თან ახლავს მონათხრობის პანტომიმის ენით ილუსტრირება. მაცნე თხრობისას ამავედროულად იყენებს იმ ტიპის ნარატიულ ტექნიკებს, რომლებიც მას საშუალებას აძლევს საკუთარ მონათხრობს ვიზუალური და აკუსტიკური ხასიათი მიანიჭოს. ფაქტობრივად, მაცნის სიტყვები ტრაგედიაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ვიზუალური ნარატივი და ამ უკანასკნელის კოლაბორაცია არასიტყვიერ მედიუმებთან, რაც თავისთავად ვიზუალურ არტს გულისხმობს. ჩემი მოხსენების მიზანია, განვიხილო ესკილეს „სპარსელებში“ მაცნის სიტყვები, როგორც საინფორმაციო წყარო და ვიზუალური არტის მოდელი ტრაგედიის ინტერმედიალურ კონტექსტში; აგრეთვე საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა აღვიქვათ მაცნის სიტყვა ვიზუალურ მედიად. თუკი გავითვალისწინებთ მაშინდელ ტექნიკურ საშუალებებს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებისაგან განსხვავებით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ არა მარტო კლასიკური დრამა მთლიანად აღებული, არამედ მისი ცალკეული ელემენტებიც კი, მაგალითად, მაცნის სიტყვა ანტიკურ თეატრში, სწორედ პოეტიკის ენით განხორციელებულ მულტიმედიურ ფენომენს წარმოადგენს. ლიტ. 6.

ავტ.

2.6.2.1.2. შერვუდ ანდერსონის ნოველა „დედა“ და მასში გაშუქებული ოცნების და რეალობის შეუსაბამობის თემა. /თ. ხეცურიანი, ი. კოკაია/. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. – 2021. – #4. – გვ. 184-189. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ამერიკელი მწერლის შერვუდ ანდერსონის (1876–1941) სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკული ფსიქოლოგიური ხასიათის ნოველის შექმნასთან. თავის შემოქმედებაში ის ასახავდა იმ პრობლემებს, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად არის გახსნილი ამ ჟანრში – ადამიანის თვითიდენტიფიკაცია და ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთდაპირისპირების მიზეზები და საფუძველი. 1919 წელს გამოდის მისი ცნობილი მოთხრობათა კრებული „უაინსბურგი, ოჰაიო“. მეოცე საუკუნის დასაწყისის ამერიკელი მკითხველისათვის მოულოდნელი იყო „უაინსბურგი, ოჰაიოს“ შინაარსიც და ფორმაც. ავტონომიური ნოველები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული მოქმედების ადგილით, მთავარი იდეით, საერთო

გმირით. „უაინსბურგი, ოჰაიო“ წარმოადგენს სხვადასხვა სიუჟეტზე და ერთიან ძირეულ იდეაზე აგებულ მხატვრულ ფორმას. ერთმანეთისგან განსხვავებული ნოველები წიგნის მთლიანობას განაპირობებენ. კრებული, რომელშიც შესულია ოცდაორი ნოველა, შეიძლება აღვიქვათ წიგნად გროტესკულ ადამიანებზე. ავტორი კიდეც აპირებდა, რომ კრებულისთვის მიეცა ერთგვარი შესავლის, პირველივე ნოველის სათაური „წიგნი გროტესკულ ადამიანებზე“, რომელიც, შეიძლება ითქვას, ნაწარმოების იდეის გასაღებს წარმოადგენს. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია კრებულის ერთ-ერთი მოთხრობა – „დედა“. ნაშრომში, ვილარდების ოჯახის მაგალითზე, ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ოჯახში გამეფებულმა მდუმარე დრამამ, ოჯახის წევრები აქციოს ერთმანეთისთვის გაუცხოებულ, მარტოსულ ადამიანებად. განხილულია, თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს სოციალურმა კლიმატმა, ოცნების და რეალობის შეუსაბამობამ ცალკეულ ინდივიდზე. ლიტ. 5.

ავტ.

2.6.2.1.3. ლექსიკურ-სემანტიკური ველის სტრუქტურა და სიტყვა, როგორც ამ ველის შემადგენელი ერთეული. /ი. კოკაია, თ. ხეცურიანი/. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. – 2021. – #4. – გვ. 154-159. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევა ეძღვნება თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ - სემანტიკური ველის სტრუქტურას და მისი ძირითადი ერთეულის, სიტყვის, დახასიათებას. ენობრივი ნომინაცია სიტყვის დონეზე რეალიზებულია არა ერთი რომელიმე იზოლირებული სიტყვით, არამედ სიტყვათა ჯგუფის მნიშვნელობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ლექსიკური ნომინაცია ხსენებული პარადიგმის ფარგლებში მუდამ ატარებს ველის სახეს. სიტყვა თავისი ნიშნობრივი არსის და ფუნქციის მიხედვით ლექსიკური კატეგორიაა, რომელიც არა მარტო სინამდვილეს, არამედ სინამდვილის სეგმენტთა გარკვეულ კლასს ასახავს. ლექსიკურ-სემანტიკური ველი შინაგანად მოწესრიგებული ფენომენია, რომელშიც შემავალი ლექსემები მთლიანურობის პრინციპის მიხედვით ერთიანდებიან. ლექსიკურ-სემანტიკური ველის ყველა რგოლს საერთო შინაარსობრივი მნიშვნელი, ე.წ. „საერთო სახელმძღვანელო“, ანუ „არქილექსემა“ აქვს. ნებისმიერ ლექსიკურ-სემანტიკურ ველს აქვთ სტრუქტურა. ეს არის ე.წ. ცენტრის ცენტრი - ცენტრი - პერიფერია - პერიფერიის უკიდურესი ზღვარი... ლექსიკურ-სემანტიკური ველის სტრუქტურაში მუდამ არიან სიტყვა ან სიტყვები, რომლებზეც ძნელია ბოლომდე ითქვას, ისინი ამ ველს მიეკუთვნებიან თუ არა. ამდენად, ლექსიკურ-სემანტიკური ველის საზღვარი მუდამ რამდენადმე ღიაა. ლიტ. 6.

ავტ.

2.6.2.1.4. ეკლის სემიოტიკა და ქართული ჰიმნოგრაფია. /ნ. ქეცბაია, მ. თოდუა/. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. – 2021. – #4. – გვ. 166-169. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ლექსიკის სემანტიკური კვლევა უაღრესად აქტუალურია თანამედროვე ვითარებაში, როდესაც ენა მუდმივად ვითარდება. საზოგადოებრივ ყოფაში წარმოქმნილ ყოველ ახალ ინფორმაციას მოსდევს ლექსიკური ცვლილებები ენაში. ქართული ენა ბევრ სხვა ენასთან შედარებით კონსერვატიულია, მეტად არის შენარჩუნებული კონტაქტი ძველსა და თანამედროვე ქართულს შორის. ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობების მობილურობა და სხვადასხვა ექსტრა-ლინგვისტური ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული სემანტიკური ცვალებადობა საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ლექსიკის სიცოცხლიუნარიანობას, მის გაჩენა-დაკარგვასა და გადააზრებას. ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა ლექსიკურმა ერთეულმა, ეკალმა. აღსანიშნავია სიტყვა ეკლის მონაწილეობით შედგენილი იდიომები,

ფრაზეოლოგიზმები და შესიტყვებები. საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ეკლის სინონიმები ქართული ენის დიალექტებში. ხშირად გვხვდება სიტყვა ეკალი ანდაზებში. ეკალს ნეგატიურის სიმბოლოდ ადრექრისტიანული ტრადიციაც ადასტურებს, რომლის თანახმად, ვარდი პირველცოდვამდე უეკლო იყო. სწორედ ამიტომ არის სასულიერო მწერლობაში ვარდის ეკალი სევდისა და მწუხარების გამომხატველი. სწორედ უფლის რისხვის შემდეგ იქცა მიწა „ეკლის გამომღებ ქუეყანად“ (ეკლიანად). ეკალი განასახიერებს ყოველგვარ ბოროტებას, უკეთურობას, მწვალებლობას, ღვთის მცნებისაგან გადახვევას. ჰიმნოგრაფიაში ხე-მცენარეთა უძველესი სიმბოლიკა მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. ჰიმნოგრაფები მასში აერთიანებენ ცოდვა-მადლს, მარადიულ განახლებას, სულის ნაყოფს, გზას ეკლოვანი წუთისოფლიდან ზეციური იერუსალიმისაკენ. ლიტ. 9.

ავტ.

2.6.2.1.5. შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერების დიგიტალიზაცია: იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ტიპიკონი. /ი. ლობჟანიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #4. – გვ. 97-102. – ინგლ.; რუხ.: ქართ., ინგლ.

წარმოჩენილია ქართული შუა საუკუნეების ხელნაწერების ციფრული დამუშავების შესაძლებლობები და განხილულია საკითხები, რომლებიც ეხება დიგიტალიზაციის პროცესის ტექნიკურ მახასიათებლებს, მეტა-მონაცემების როლს, ძირითადი შინაარსისა და ფოტომასალის ინტერნეტში განთავსებასა და მასალაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს უორდროპების ონლაინ კოლექციის (WCO) დიგიტალური გამოცემის წარმოდგენა. კოლექცია მომზადდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების საფუძველზე. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი ქართული მასალა მოიცავს პერიოდს მე-8 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე და იყოფა ორ ნაწილად: წიგნებად და ხელნაწერებად, რომლებიც უორდროპების კოლექციის ნაწილია და სხვა კოლექციებში წარმოდგენილ ხელნაწერებად (მაგ. 1038-1040 წლებით დათარიღებული იერუსალიმში გადაწერილი ჰაგიოგრაფიული კრებული და ა.შ.). ნაშრომში განხილულია უორდროპების ფონდის მიერ ეკლესიის მისიონერული საზოგადოებისგან 1911 წელს შეძენილი მე-14 საუკუნის ქართული ხელნაწერი, ჯვრის მონასტრის ტიპიკონი. სამუშაო შესრულდა შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერების წარმოდგენის მიზნით ტექსტის კოდირების (TEI)-ს ჩარჩოს გამოყენებით. ინტერნეტში განთავსებული კოლექციაც და ხელნაწერიც ხელს უწყობს მანქანის მიერ წაკითხვად ფორმატში ქართული კულტურული მემკვიდრეობის წარმოდგენასა და შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერების კომპლექსური და კვლევაზე ორიენტირებული მიდგომების განვითარებას, მათ შორის, სტემის დადგენასა და კარგად სტრუქტურირებული კრიტიკულ ონლაინ გამოცემების მომზადებას. ლიტ. 14.

ავტ.

6.2.2. ცალკეული ენები

2.6.2.2.1. ნაწილაკის როგორც დამხმარე სიტყვის პრობლემატიკა თანამედროვე გერმანულ ენაში. /მ. ჩიქოვანი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 75-79. – ქართ.; რუხ.: ქართ., ინგლ.

ფორმაუცვლელი სიტყვების კვლევა და შესწავლა განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე გერმანული ენათმეცნიერებისათვის. ნაწილაკები, სხვა დამხმარე სიტყვებთან ერთად (ზმნიზედა, კავშირი, წინდებული), ქმნიან სიტყვათა კლასს, რომელთა პრობლემატიკა დღესაც აქტიურად განიხილება, რასაც განაპირობებს მათი პოლისემიურობა და ფუნქციათა მრავალფეროვნება. ამ მხრივ, საინტერესოა შეფერილობითი ნაწილაკები, რომლებიც განსაკუთრებულ შუქ-ჩრდილებს სძენენ წინადადებაში წარმოდგენილ მნიშვნელობას.

ნაწილაკების სემანტიკის კვლევა ომონიმურ ერთეულებთან შედარებით, იძლევა საინტერესო დასკვნების შესაძლებლობას. საინტერესოა, ასევე ნაწილაკების წინადადების სტრუქტურაში წარმოდგენის უნარი. მათ აქვთ გარკვეული და განსაზღვრული ადგილი წინადადებაში, რაც ასევე ხაზს უსვამს მათი ფუნქციონირების თავისებურებებს. ლიტ. 9.

ავტ.

2.6.2.2.2. გენდერულ-ნეიტრალური ენა ინგლისურ და ფრანგულ სამეტყველო კულტურებში. /ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე, ქ. გაბუნია/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 18-22. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გენდერული ლინგვისტიკა დეტალურად შეისწავლის გენდერულ-ნეიტრალურ ასპექტს, რომელიც ვლინდება ენაში. ერთ-ერთი მისი დებულება გვაუწყებს, რომ ენა არა მარტო ისეთ თვისებას ფლობს, როგორიცაა ანთროპოცენტრულობა (ადამიანზე ორიენტაციები), არამედ ანდროცენტრულობასაც, ანუ წარმოგვიდგენს სამყაროს სურათს, რომელიც ეფუძნება მამაკაცურ თვალსაზრისს, მამაკაცის სახით. ენაში ასეთი გენდერული ასიმეტრიის გამოვლენა იწვევს არათანაბარობიერ წარმოდგენას სხვადასხვა სქესის პირებზე და განიხილება არატოლერანტულად, განსაკუთრებით უცხოენოვანი კულტურის წარმომადგენელთა შორის. ნაშრომში განხილულია გენდერულ-ნეიტრალური ენის თავისებურებები ინგლისურ და ფრანგულ ლინგვოკულტურებში, განსაზღვრულია გენდერულ-ნეიტრალური ლექსიკის მსგავსება - განსხვავებები და მათი წარმოქმნის ხერხები. აღნიშნულია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ენობრივ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტკორექტულობის მოთხოვნები, რომლებიც განპირობებულია არაენობრივი მიზეზებით. ინგლისურ და ფრანგულ ლინგვოკულტურებში სხვადასხვა ხერხით ენიჭება პრიორიტეტი რეფერანტ - ქალთა აღნიშვნას პროფესიულ სფეროში. ინგლისური ენისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია (და ამის შედეგად, უფრო გავრცელებულია) ნეიტრალური ფორმები. ფრანგულ ენაში კი უპირატესობა ენიჭება ფორმებს ფლექსიათა ცვლილებებით ან სახელწოდებათა წარმოქმნის ანალიტიკურ ხერხებს. ასევე, ევროპულ საზოგადოებაში, ენობრივ პოლიტიკაზე და გენდერულ-ნეიტრალური ენის გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენენ პოლიტკორექტულობის მოთხოვნები, განპირობებულნი ექსტრალინგვისტური მიზეზებით. ლიტ. 5.

ავტ.

2.6.2.2.3. პიროვნების მახასიათებელი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ასპექტები თანამედროვე ფრანგული და ინგლისური ენების იდიომატურ გამონათქვამებში. /ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე, ქ. გაბუნია/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 9-16. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

იდიომები რჩებიან თავისებურ, ენის ლექსიკური შედგენილობის სპეციფიურ ერთეულებად, რომლებიც განსხვავდებიან სიტყვებისაგან. სიტყვის გამოყენება იდიომატურ ერთეულში – სპეციფიური გამოყენებაა. მოცემული ერთეულების ცალკე გაფორმება ქმნის განსაკუთრებულ (სიტყვისაგან განსხვავებულ) შესაძლებლობებს მისი ემოციონალურ-ექსპრესიული მიზნით გამოყენებისათვის. იდიომატური გამონათქვამები არის სტაბილური კომბინაციები, რომლებიც ამშვენებს მეტყველებას. მათ აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა, განსაზღვრავენ ფენომენებს, თვისებებს, მდგომარეობებს და ნიშნებს. მათ უწოდებენ ისეთ მონაცვლეობებს, რომლებიც თავისუფლად იყოფა ნაწილებად. უფრო მეტიც, ეს ელემენტები დამოუკიდებელია და გარკვეული მნიშვნელობა აქვთ. იდიომატური გამონათქვამები წარმოდგენილნი არიან ისეთი სიტყვათა ჯგუფების სახით, რომლებიც ხშირად წინასწარ განუსაზღვრელია სტრუქტურისა და განსაკუთრებით მნიშვნელობის მიხედვით. ჩვენი კვლევის მასალა შერჩეულია ფრანგული და ინგლისური განმარტებითი და ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან. ფრაზეოლოგიური

ერთეულები ასახავენ სინამდვილის არა იმ ფრაგმენტს, რომლებიც დასახელებულია სიტყვა-კომპონენტებით, არამედ გვაძლევენ ინფორმაციას იმ სამყაროზე, რომელიც მიიღება მეორადი ნომინაციის შედეგად. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა და იდიომატიზირებული ლექსიკის უმაღლეს ფუნქციას წარმოადგენს ექსპრესიულობა. ფრაზეოლოგიზმები, ძირითადად, ემსახურებიან ენის ემოციურ სფეროს. როგორც ფრანგული და ინგლისური, ასევე სხვა ენების იდიომატურ ერთეულთა წარმოშობის წყაროები მრავალფეროვანია. მათი ხატები მიღებულია ხალხთა მატერიალური, კულტურული და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროსაგან. მათში ასახულია ხალხთა ისტორია, ყოფა და კულტურა, მათი სულიერებისა და აზროვნების სახეობები. ფრაზეოლოგიზმები ითვლებიან ენის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ერთ-ერთ ყველაზე მეტად ნათელ გამოვლინებად. იდიომები დადებითი შეფასებით (ანუ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანსა და მის დადებით მახასიათებელ მხარეებს) გამოიყენებიან ჩვეულებრივ გამონათქვამებში, წარმოადგენენ რა სხვა ადამიანის აღწერას ან დახასიათებას. ადამიანის მახასიათებელი იდიომები, უმეტესად, ისტორიულად განპირობებული არიან. უმეტესად ეს იდიომები ატარებენ პიროვნების ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტთა ნეგატიურ შეფასებას. ლიტ. 12.

ავტ.

2.6.2.2.4. კონცეპტი ქალი ქართულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. /ა. ციხისთავი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 96-103. – ქართ.; რუხ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.12>

თანამედროვე კულტუროლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა კონცეპტისადმი, უწინარეს ყოვლისა, სულიერი ღირებულების ცნებად მიიჩნევს მას. „კონცეპტები, როგორც მენტალური ერთეულები, არამარტო გაიაზრებიან, არამედ განიცდებიან კიდევ, უფრო ზუსტად, მათ მიმართ ვლინდება სიმპათიისა და ანტიპათიის ემოციური მიმართება“ – აღნიშნავს სტეპანოვი. კონცეპტი წარმოდგენილია რიგი ენობრივი სინონიმებით, თემატური ველებით, ანდაზებით, ფოლკლორული და ლიტერატურული სიუჟეტებით, ქცევის სტერეოტიპებით, მატერიალური კულტურის საგნებითა და სხვ., რაც მიუთითებს შესაბამისი კონცეპტების მნიშვნელობაზე ადამიანის ცხოვრებაში. ამგვარ კონცეპტთა ერთობლიობა ქმნის ენის კონცეპტურ სფეროს, სადაც ინტეგრირებულია ერის კულტურა, ანუ იგი წარმოადგენს ენობრივ-კულტურულ ცოდნათა ერთობლიობას. კონცეპტოსფეროდან კი იგება ენის მფლობელის მსოფლმხედველობა. მოცემული ანალიზის ფარგლებში განვიხილავთ კონცეპტს – ქალი. მოგეხსენებათ, ვცხოვრობთ ფემინიზმის ხანაში. რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს, ბუნებრივი ტემპით სამყარო თითქოს მატრიარქატისკენ მიილტვის, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პროცესი ყოველთვის არ ყოფილა ამდენად აქტიური. ამ მხრივ საინტერესოა, რას ფიქრობდნენ წინათ მოცემული საკითხის ირგვლივ. ქალის როლსა და ფუნქცია-მოვალეობებზე წარმოდგენას ისტორიულ ჭრილში ჩვენამდე მოღწეული ფრაზეოლოგიზმები გვიქმნის. საკვლევი მასალა მოიცავს ანდაზების ნიმუშებს როგორც ქართული, ისე ინგლისური ენიდან. ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარება-შეპირისპირების შედეგად საშუალება გვაქვს, შევაფასოთ ორი კულტურის განვითარება ეპოქალურ დონეზე და გამოვკვეთოთ მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები, რაც მეტწილად ქალის მიმართ დამოკიდებულების სახითაა გამოხატული, ცალკეულ შემთხვევაში კი მინიშნებასაც იძლევა დისკრიმინაციული მიდგომის შეცვლისკენ. გარდა ამისა, გავიაზრებთ ქალის რომელ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას სხვადასხვა ავტორი. კვლევის მიზანია, გავიაზროთ, თუ რა როლს ასრულებდა ქალი ქართულ და დასავლურ კულტურაში წარსულში და დღეს ამ მხრივ რა ვითარებაა. პასუხი გაეცემა ასევე კითხვას, თუ რა შედეგი გამოიღო ორი კულტურის არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ

ქალის მიმართ. წარმოდგენილი ნიმუშები ინტერესს იწვევს არა მხოლოდ თემატიკით, არამედ სემანტიკურადაც, ვინაიდან მათში ამ მხრივ მრავალფეროვნება იკვეთება. ლიტ. 17.

ავტ.

2.6.2.2.5. კონცეპტი „შოკოლადი“ ინგლისურ და ქართულ კულტურათა დიალოგის კონტექსტში.

/მ. შელია, მ. მარღანია/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 125-138. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ენა კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენაა, ხალხთა ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების ამსახველია და მათ ღირებულებებს თაობიდან თაობას გადასცემს. ლექსიკა ერთდროულად ასახავს კონკრეტული ენის მახასიათებლებსა და კულტურის სპეციფიკას. კულტურის ეროვნული სპეციფიკის ასახვა ყოველთვის ლექსიკაში ვლინდება. ენის ლექსიკაში უცხო სიტყვების შემოღობვა მუდმივი პროცესია და დღემდე გრძელდება. საკვები ნებისმიერი კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტი და განუყოფელი ნაწილია, რომელიც დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ისტორიულ პირობებზე, ბუნებრივ და გეოგრაფიულ გარემოზე. ბრიტანულ კულტურაზე ასწლეულების განმავლობაში დიდი გავლენა იქონიეს ესპანეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ხოლო ქართულ კულტურაზე – ზემოჩამოთვლილი ქვეყნების გარდა, ინგლისმა და რუსეთმა, საიდანაც ნასესხები იყო არა მხოლოდ გარკვეული ლექსიკური ერთეულები, არამედ ეროვნული სამზარეულოს კერძები და საკონდიტრო პროდუქტები. როგორც ცნობილია, მრავალი საუკუნის მანძილზე ევროპულმა და აზიურმა ქვეყნებმა დიდი გავლენა იქონიეს ქართულ ენაზე, ისტორიაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, კულტურაზე და, მათ შორის, სამზარეულოზე. ეროვნული სამზარეულო ეთნიკური კულტურის, ეთნიკური შეხედულებების ერთ-ერთი მთავარი გამოხატულებაა. წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება საკონდიტრო პროდუქტის თემატური ჯგუფის ერთ-ერთ სახეობას – „შოკოლადს“. კვლევის მიზანს წარმოადგენს სიტყვა „შოკოლადის“ ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი, რომელსაც განვიხილავთ დესკრიპტიული, კოგნიტიური, ეტიმოლოგიური, სიტყვაწარმოებითი ასპექტების გათვალისწინებით. შოკოლადი ასახავს ხალხთა კულტურასა და ისტორიულ მოვლენებს ანტიკურ წარსულში. ნაშრომში, ასევე, განვიხილავთ ერთ-ერთ ქართულ ეროვნულ ნუგბარს – ჩურჩხელა-ჯანჯუხას – ე.წ. „ქართულ სნიკერსს“. ლიტ. 9.

ავტ.

6.2.3. ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა

2.6.2.3.1. ილია ჭავჭავაძე და სახელმწიფოებრივი აზროვნების საკითხები. /ე. ვარდოშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 139-144. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

საქართველო ისტორიულად ყოველთვის იყო ევროპული ორიენტაციის მატარებელი. ქართული სახელმწიფო მიმართული იყო ევროპულ ფასეულობებზე. ეს გამოიხატებოდა, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანული სარწმუნოების მიღებაში. სიახლოვე ქრისტიანულ სამყაროსთან განსაზღვრავდა მისი კულტურის ევროპულ ხასიათს. XIX საუკუნეში ქართველი საზოგადოების წინაშე მწვავედ დადგა ნაციონალური საკითხი. სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, მსოფლიო გლობალურ პროცესებში ჩართვა უნდა მომხდარიყო რუსეთის გუბერნიად ქცეული ქვეყნის პირობებში. ი. ჭავჭავაძემ გაითავისა, რომ გლობალიზაციის პროცესებსა და ქართულ ცნობიერებას შორის კავშირი არის მსოფლიო პრობლემების დონეზე ქართველი ერის გაყვანისა და ხსნის ერთადერთი გზა, ამიტომ ცდილობდა შეექმნა ეროვნული ნიშნის მატარებელი ზოგადსაკაცობრიო ტიპები. თავის შემოქმედებაში ეროვნულ

და სოციალურთან ერთად ილია ეხება ზნეობრივ საკითხებსაც, რადგან ზნეობრივი ერთიანობა განსაზღვრავს ეროვნულ მთლიანობას. ილიას შემოქმედებაში წარმართველია ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა, რომელიც უკავშირდება კავკასიის თავისუფლებასა და ერთიანობას. ერის წინამძღოლის სახე ჩანს ი. ჭავჭავაძის საპროგრამო ნაწარმოებში „მგზავრის წერილები“. 1883 წლის „შინაურ მიმოხილვაში“ ილია საზღვრავს, თუ რა განაპირობებს საზოგადოების პროგრესს: „რა არის მთელი პროგრესი საზოგადოებისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინიდისი, ყოფა-ცხოვრება, უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისგან ხელშეხებული არ იყოს“ (ი. ჭავჭავაძე). წერილში „ოსმალის საქართველო“ საუბრობს ქართველთა ტოლერანტული ბუნების, აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ. 1879 წლის „შინაურ მიმოხილვაში“ ეხება მთავრობისა და ხალხის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს. წერილში „ცხოვრება და კანონი“ აღნიშნავს, რომ ადამიანთა უფლებებისა და მოვალეობების სწორად განსაზღვრა არის ქვეყნის წარმატების საწინდარი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი აზროვნება ეფუძნება დასავლურ ფასეულობებს, იგი მნიშვნელოვანი და აქტუალურია დღესაც. ლიტ. 10.

ავტ.

2.6.2.3.2. მხატვრული დრო და სივრცე გიორგი ლეონიძის მოთხრობებში. /მ. ქარდავა/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 145-149. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

სივრცისა და დროის ურთიერთმიმართების პრობლემა დაკავშირებულია ცნობილ რუს ლიტერატურათმცოდნე მიხეილ ბახტინის სახელთან, რომელმაც პირველმა წამოჭრა ეს პრობლემა და დაამკვიდრა კიდეც ლიტერატურაში სივრცისა და დროის ურთიერთმიმართების აღმნიშვნელი ტერმინი – ქრონოტოპი. კონცეფცია ქრონოტოპის შესახებ ბახტინმა ჩამოაყალიბა ნაშრომებში „დროისა და ქრონოტოპის ფორმები რომანში“, „სიტყვა რომანში“, „სასაუბრო ჟანრები და სხვა გვიანდელი ესეები“. ბახტინი ქრონოტოპის ცნებით დიაქრონულ თვალსაზრისს განამტკიცებს, ხოლო ბახტინისეული ქრონოტოპი ერთგვარი საზომია იმისა, თუ კონკრეტულ დროს, კონკრეტული ეპოქისა და ჟანრის პირობებში, როგორ ხდება ისტორიული დრო – სივრცისა და რეალური დრო-სივრცის სინთეზი, მათთან პერსონაჟების შერწყმის პროცესი. ბახტინის აზრით, ქრონოტოპის შემადგენელი ელემენტების (დროის და სივრცის) დომინანტურობას განსაზღვრავს ჟანრის თავისებურება, მაგრამ დრო და სივრცე მაინც ერთ კონკრეტულ მთლიანობას შეადგენენ და ერთი მეორის გარეშე არ მოიაზრებიან. დრო-სივრცესა და მათში განთავსებულ ადამიანთა შორის დამოკიდებულება, ბახტინის აზრით, იცვლება ტექსტის ისტორიული და ლიტერატურული გარემოცვის მიხედვით. ბახტინის კონცეფციის თანახმად, ქრონოტოპი სამი ძირითადი მიმართულებით ფუნქციონირებს. ეს მიმართულებებია: 1. ტექსტის დონეზე ისტორიის წარმოჩენა; 2. ტექსტის დონეზე ჟანრის რეალიზება; 3. პერსონაჟთა ინდივიდუალური დრო – სივრცული ველის ასახვა; თითოეული მიმართულება მუდმივად ცვალებადია თავისი კომპონენტებითურთ და იწვევს ცვალებადი ქრონოტოპული მოდელების ჩამოყალიბებას, რის ჩვენებასაც შევეცადეთ გიორგი ლეონიძის რამდენიმე მოთხრობაში. ლიტ. 3.

ავტ.

2.6.2.3.3. ლიტერატურული ტექსტის ვიზუალური სახე, როგორც პრობლემა. /მ. ქარდავა/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 160-165. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ბოლო წლებში ცხოვრების ყველა სფეროში აშკარად გაიზარდა ინტერესი ვიზუალიზაციისადმი, ეს ჩვენი ყოველდღიური არსებობის ნაწილი გახდა, რამაც განაპირობა ჩვენი დაინტერესება აღნიშნული თემით. კვლევის მიზანია, ვიზუალიზაციის სისტემის, ლიტერატურული ტექსტის

აღქმისა და კომუნიკაციის შესწავლა ვიზუალური სახეების ანალიზით. თანამედროვე მკვლევრები სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ აზრს, რომ ხდება მოდერნიზებული და პოსტმოდერნიზებული ეპოქის ჩანაცვლება ვიზუალიზაციის ეპოქით და ვიზუალიზაციას მიიჩნევენ თანამედროვე ესთეტიკის ძირითად პრინციპად. თანამედროვე ცხოვრების დაჩქარებული ტემპი ითხოვს მეტ სისწრაფეს ინფორმაციის აღქმისა და დამუშავების პროცესში და მზარდი ინფორმაციული ნაკადი თვითონ ახდენს ცოდნის ვიზუალურ ორგანიზაციას. მე-20 საუკუნემ წარმოქმნა ვიზუალური აზროვნება. ყოფიერება კარგავს ლოგოცენტრულობას და ვიზუალიზირდება, ხდება შემეცნების ვიზუალური დეკონსტრუქცია, იცვლება ტრადიციული ღირებულებების სტატუსი. ცივილიზაციით გადაღლილი ფსიქიკა არაცნობიერად გაურბის ვერბალურ ტექსტებს, რომლებიც ითხოვენ ნერვულენერგეტიკული რესურსების ხარჯვას და ვერბალური გადადის ვიზუალურში, რისი ნათელი დადასტურებაცაა სოციალური ქსელები, რომელიც ლამის აუცილებელ მოთხოვნილებადაა ქცეული. სამწუხაროდ, შეიძლება დადგეს ის დღეც, როცა ლიტერატურა დაუბრუნდება პიქტოგრაფიულ მწერლობას, სადაც გამოსახულება ცვლიდა სიტყვას, წინადადებას, დიალოგებს, მონოლოგებსა და თხრობას. ლიტ. 6.

ავტ.

2.6.2.3.4. ავტორის ინდივიდუალურობის ერთ-ერთი მახასიათებელი სამეცნიერო პროზაში. /რ. კავთიაშვილი/. სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. – 2021. – #5. – გვ. 211-213. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ენა - სამეცნიერო პროზაში გარკვეულ წილად „ბორკილებშია“ მოქცეული. მკვლევარის „ინდივიდუალური ხმა“ გამოხატული „მე“ (პირის ნაცვალსახელით), ავტორის ყოფნის რეალურ ეფექტს იძლევა ტექსტებში. „მე“-ს გამოყენება აძლიერებს თავდაცვის საფუძველს კრიტიკის შემთხვევაში, თუმცა ის ასევე ამყარებს ავტორისეულ თვითრწმენას, მოტივაციას და თავდაჯერებულობას. შინაარსიდან გამომდინარე, გამოყოფილი და განხილულია რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი სამეცნიერო პროზიდან „I“ (მე) ნაცვალსახელის გამოყენებით. მისი გამოყენება ხაზს უსვავს მკვლევარის ინდივიდუალურობას მსჯელობისას და ავითარებს ავტორის ანალიტიკურ აზროვნებას და კრეატიულობას. ლიტ. 3.

ავტ.

2.6.2.3.5. ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებულის ძირითადი თემატიკა. /მ. ლომიძე/. სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. – 2021. – #5. – გვ. 227-231. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

დიდი მწერლები ჩინებული პუბლიცისტებიც არიან. ბევრი ასეთი მაგალითი იცის კაცობრიობის ისტორიამ. ოთარ ჭილაძე ამ მხრივაც სანიმუშოა და მჯერა, ასეთად დარჩება ქართველთა შემდგომი თაობებისათვის. ოთარ ჭილაძე დიდი მწერალია, კლასიკოსია – ეს აღიარებული ფაქტია. ჩვენი დროის ლიტერატორები მას საუკეთესო ქართველ კლასიკოს მწერალთა ხუთეულშიც კი ასახელებენ. ოთარ ჭილაძე ფლობს წერის ისეთ ხელოვნებას, რომელიც თავისი მაგიით ზემოქმედებს მკითხველზე და რომელსაც არ ეთმობა მწერლის სამყაროდან გამოსვლა. „საფიქრალითა და საზრუნავით გაოგნებული თავების“ ყურადღების მისაპყრობად, დასაყურებლად და დასაუზუნებლად იქმნებოდა ოთარ ჭილაძის შემოქმედება. სწორედ ამისათვისაა მოწოდებული მისი პოეზია, პროზა და მწერლის შემოქმედების არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი – პუბლიცისტიკა, რომლის თვალსაჩინო ნიმუშია ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებული „ღრუბელი“. მასში თავმოყრილია ოცი ინტერვიუ – ათი ქართული და ათი უცხოური მედიასაშუალებებით გამოქვეყნებული გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ბოლო ინტერვიუ 2008 წლით არის დათარიღებული. ინტერვიუებში წამოჭრილია თითქმის ყველა საჭირობო საკითხი თუ პრობლემა, რომლებიც ბოლო ათწლეულებია ასე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის. მათ შორისაა: მიმდინარე

საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რეალობის განმაპირობებელი ფაქტორები; ქართველი საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სახე; ქვეყნის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები; ლიტერატურის, როგორც სულიერი აღორძინების მთავარი იმპულსის, სოციალური დანიშნულება; ახალგაზრდობის განათლებისა და მიგრაციის ტენდენციები. ლიტ. 4.

ავტ.

2.6.2.3.6. ტექნიკური თარგმანი ტექნიკურ უნივერსიტეტში. /თ. მეზუკე/. ჟურნალი განათლება. – 2020. – #1(28). – გვ. 97-103. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

დარგობრივ ტექსტებთან უცხო ენაზე დამოუკიდებელი მუშაობა და მათი თარგმნის უნარ-ჩვევების გამომუშავება წარმოადგენს ტექნიკურ უნივერსიტეტში ტექნიკური თარგმნის სწავლების ძირითად მიზანს. ეს ცოდნა მისცემს კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას თვალი ადევნონ სამეცნიერო სიახლეებს პრესაში, წარმართონ პროფესიონალური კომუნიკაცია თავიანთ კოლეგებთან საზღვარგარეთიდან და ჩაატარონ დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობა თანამედროვე დონეზე. სტატიაში განიხილება ტექნიკური თარგმნის სწავლების საკითხები ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე. ლიტ. 7.

ავტ.

2.6.2.3.7. ლექსიკის სწავლების მნიშვნელობა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. /მ. ასლანი-შვილი, ნ. ლომსაძე, ს. ჩუპრინინა/. ჟურნალი განათლება. – 2020. – #1(28). – გვ. 110-116. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია ლექსიკის მნიშვნელობა უცხო ენის შესწავლისას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, თუ რატომ უნდა უცხო ენის შემსწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ლექსიკას იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ ენაში წერის დროს იხმარება ბევრად უფრო მეტი ლექსიკური ერთეული, ზეპირ მეტყველებაში. უცხო ენის შესწავლისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ლექსიკის შესწავლა. ლექსიკა – ენის სწავლების საფუძველია. ენის წარმატებულად შესწავლა შესაძლებელია მასწავლებლისა და სტუდენტის სრულყოფილი ჩართვისას ამ პროცესში. ლიტ. 15.

ავტ.

2.6.2.3.8. მხატვრული დროისა და სივრცის ურთიერთმიმართება ნატალი საროტის „ოქროს ნაყოფში“. /ნ. ბუაძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 75-84. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია XX საუკუნის ფრანგული „ახალი რომანის“ წარმომადგენელ ნატალი საროტის რომან „ოქროს ნაყოფში“ (1963) დროისა და სივრცის ურთიერთმიმართების თავისებურებანი: არალინეარულობა, ასიმეტრია, სინკრეტიზმი, სიუჟეტური ხაზების ერთმანეთისგან აცილება, დროის სწრაფი წყვეტა, მონაცვლეობა, „ინტენსიური“ უმოძრაობა, დროის ინერტულობა, ერთდროულობის გამომხატველი გამეორებები, აწმყო დროის „უმოძრაობა-გაყინვა“, დროების ერთმანეთში არეკვლა, რომლებიც ტექსტში ორგანიზებულია როგორც მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით (ტროპიზმი, „ქვე-საუბარი“, საუბარი, „მიზანაბიმი“), ასევე ლინგვისტური კატეგორიებით (პუნქტუაცია, მეტყველების ნაწილები ზმნის კატეგორიები: კილო, დრო). სამწერტილითა და სხვადასხვა დროის გრამატიკული ფორმების შენაცვლების ტექნიკით გადმოცემული დროის „სწრაფი წყვეტა“ მკითხველს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთსიბრტყიანობასა და არათანმიმდევრულ წრიულ ურთიერთმონაცვლეობას განაცდევინებს. „დროის ინერტულობის“ ტექნიკით გადმოცემული დროისა და სივრცის უკიდვანობა გაქვავებულ საგნებად ქცეულ უსიცოცხლო სამყაროს სურათში ვლინდება. მოვლენების

გამეორები ქმნის როგორც დროის შენელების, ასევე დროის გაჩერების ილუზიას და გამოხატავს ანონიმური პერსონაჟების მდგომარეობას. თხრობითი კილოს ნამყო უსრული დრო ქმნის „გამეორებული ერთდროულობის“ ეფექტს, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების არა მხოლოდ წარსულს, არამედ მოქმედების ერთდროულობას. დროის შინაგანი დინება არაერთგვაროვანია, დროთა ურთიერთგადასვლებით თამაში მიანიშნებს მხატვრული დროის კონსტრუქციულ და დესტრუქციულ თვისებებზე. დროის დესტრუქციის პრიზმაში ნაჩვენები გრძნობებით, მდგომარეობებითა და სუბიექტური შეგრძნებებით იკვეთება ადამიანის ყოფიერებისა და რეალობის საერთო დისჰარმონიული სურათი; მხატვრული დროის გარდასახვაში მეტყველების სუბიექტის რეალიზაციის, ადამიანის დროისგან განუყოფლობის, მისი დროში არსებობის, მოქმედებისა და აზროვნების საკითხები. დროის გამოხატავად მწერალი ემოციების აღწერას ესწრაფის. ცდილობს სიტყვაში გამოხატოს ის, რაც არ გამოიხატება, ამავე დროს არ „მოკლას“ სიტყვა; ფრაზებში აღადგინოს ის, რაც არსებობს მხოლოდ მოცემულ მომენტში; მინიდრამების საშუალებით გააერთიანოს დროსა და სივრცეში დანაწევრებული ობიექტური სამყარო; ააგოს ფრაზები მოძრაობაში. დანერგოს აწმყო დრო, რომელშიც ყველაზე სრულყოფილად წარმოჩინდება უპიროვნებო აზრების ნაკადი, შინაგანი ემოციები, ანონიმური რეაქციები; სამოქმედო სივრცისა და დროის „გასაყინად“ შემოიტანოს კავშირებითი კილო. დროისა და სივრცის ურთიერთმიმართების ანალიზი ცხადყოფს, რომ „მიზანაზიმის“ ტექნიკა, ტროპიზმი, „ქვე-საუბრი“ და საუბარი ლიტერატურული ქრონოტოპის გააზრების ახალ პერსპექტივას იძლევა. ლიტ. 8.

ავტ.

2.6.2.3.9. კლასიკური ალუზიები ედგარ პოს პოეზიაში. /ლ. ებრალიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 85-89. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ედგარ ალან პო ამერიკული რომანტიზმის ცენტრალური ფიგურაა, რომელსაც წინამორბედად მიიჩნევენ ფრანგი სიმბოლისტები. ამასთან, იგი გახლავთ საშინელებათა, ფანტასტიკური და დეტექტიური ჟანრების ფუძემდებელი. მან ასევე ხელი შეუწყო ფსიქოლოგიური რეალიზმის განვითარებას. პოს შემოქმედება იმდენად მრავალმხრივია, რომ ძნელია მისი რომელიმე ერთი ლიტერატურული ჟანრისათვის მიკუთვნება. მისი პოეზიის განხილვისას, ყველაზე ხშირად საუბრობენ გოთურ და რომანტიკულ ელემენტებზე. წინამდებარე სტატიაში პოს ნაწარმოებები განხილულია მათში გამოყენებული კლასიკური ალუზიების თვალსაზრისით. ლიტ. 9.

ავტ.

2.6.2.3.10. გივი მარგველაშვილის კანტაქტი, ქალაქის მწერლის კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან როგორც მეტაფიქციური რომანი. /თ. მოსეშვილი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 90-102. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გერმანულ ენაზე 2009 წელს გამოქვეყნებულ რომანში კანტაქტი, ქალაქის მწერლის კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან გივი მარგველაშვილი თავის ცხოვრებაზე, გამოცდილებებსა და შემოქმედებაზე თხრობის პარალელურად, ლიტერატურული ფიქციის საიდუმლოსაც ხდის ფარდას და მკითხველს საინტერესო მეტაფიქციურ თამაშში იწვევს. გივი მარგველაშვილის რომანს კანტაქტი, ქალაქის მწერლის კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან საფუძვლად უდევს გერმანელი მწერლის კურტ ტუხოლსკის ნაწარმოების რაინსბერგი - სურათებიანი წიგნის შეყვარებულთათვის მხატვრული სინამდვილე. კანტაქტი ინტერტექსტობრივი თამაშია პრეტექსტთან. ეს უკანასკნელი ნაწარმოებში გვევლინება როგორც წიგნი წიგნში, რომელიც მეტაფიქციური ლიტერატურის ერთ-ერთი გავრცელებული მოტივია. რადგან კანტაქტში ხშირადაა თემატიზებული ტუხოლსკის ნაწარმოები, კანტაქტის მკითხველი ვერ ახერხებს მის დავიწყებას, გამუდმებით უწევს მასზე ფიქრი და უფრო მეტიც, ფენოტექსტს

პრეტექსტთანაც კი ადარებს. ბუნებრივია, რომ კანტაქტში უხვადაა ისეთი მონაკვეთები, რომლებშიც ინტერტექსტობრივ მეტაფიქციას ამოვიცნობთ. რომანის მეტაფიქციურობაზე მეტყველებს, ნაწარმოების პირველ შრეზე არსებული პერსონაჟები, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფიქციური ეგზისტენცია. ნაწარმოების ფარგლებში მიმოხედილი „ქალაქის მწერლის“ ცხოვრებისა და მოგონებების ფრაგმენტების საფუძველზე, რომლებიც გივი მარგველაშვილის ცხოვრებასა და მოგონებებს ემთხვევა, შეიძლება ვიმსჯელოთ ნაწარმოებში არსებულ ბიოგრაფიულ ავტორეფლექსიურობაზე, რომელიც ასევე მეტაფიქციის ერთ-ერთი ფორმაა. აღსანიშნავია ისიც, რომ კანტაქტში ავტოფიქციის ნიშნები იკვეთება. კანტაქტში, ისევე როგორც მეტაფიქციურ ტექსტთა უმრავლესობაში, მრავალჯერაა თემატიზებული როგორც პერსონაჟი, მკითხველი და ავტორი, ასევე წერის, თხრობისა და კითხვის აქტი. რომანში არსებულ ენობრივ თამაშებსაც მეტაფიქციური დატვირთვა აქვთ. ავტორეფლექსიური ფრაზები და სიტყვები წიგნის ფიქციურ სამყაროს ააშკარავებენ, მათი მეშვეობით ხშირად პარალელურ კი ივლება ფიქციურ და რეალურ სამყაროს შორის. კანტაქტში როგორც მეტაფიქციურ რომანში თემატიზებული და განხილულია ენათმეცნიერული საკითხებიც, მათ შორის, ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი და სხვ. სტატიაში განხილული ამ და სხვა მაგალითების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გივი მარგველაშვილის კანტაქტი, ქალაქის მწერლის კითხვითი-ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან მეტაფიქციური ხასიათის რომანია, მასში აშკარავდება როგორც საკუთრივ ამ ნაწარმოების, ასევე, ზოგადად, სხვა ლიტერატურული ტექსტების ფიქციურობაც, უპირველეს ყოვლისა კი კანტაქტის პრეტექსტის რაინსბერგი - სურათებიანი წიგნი შეყვარებულთათვის. ლიტ. 3.

ავტ.

6.2.4. ლიტერატურის თეორია

2.6.2.4.1. ლიტერატურული პროცესები 50-იანი წლების ამერიკაში. /ნ. გაგუა/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 93-96. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

აღწერილია ლიტერატურული პროცესების განვითარების მსვლელობა ამერიკის შეერთებულ შტატებში მეოცე საუკუნის დასაწყისში. სტატიაში განხილულია ამერიკული პოეზიის უმნიშვნელოვანესი ფიგურის ედგარ ალან პოს მნიშვნელობა ზოგადად ქვეყანაში და მსოფლიო მასშტაბით, მის უდიდეს გავლენაზე სახელოვნო სივრცეში. ედგარ ალან პოს პოეზია გამოირჩევა სასტიკი სიმართლით ადამიანების შესახებ, მათი ბნელი მხარის ჩვენებით. რა თქმა უნდა მისი შემოქმედება ადამიანებისადმი თანაგრძნობით და სიყვარულითაა გამსჭვალული. ედგარ პო დღემდე უამრავი მწერლის და პოეტის ინსპირაციის წყაროა მათ შორის თანამედროვე მწერლის სტივენ კინგის შემოქმედება მის გავლენას განიცდის. ზოგადად ედგარ პოს შემოქმედება ბევრს სხვადასხვა ჟანრს მოიცავს, მაგრამ საბოლოო ჯამში ის არის გენიალური, გულწრფელი და ჰუმანური შემოქმედი რომელსაც ადამიანთა მდგომარეობა აშფოთებს. ლიტ. 10.

ავტ.

2.6.2.4.2. ფრანგული სიმბოლიზმის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში. /ნ. გუნცაძე, ი. გასვიანი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 97-107. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ქართული მოდერნისტული პოეზიის კომპარატიული კვლევა ფრანგული პოეზიის კონტექსტში ცხადყოფს, რომ XX ს-ის დასაწყისის ქართული პოეზია არ წარმოადგენს ევროპული პოეზიის ეპიგონურ დანამატს ან პერიფერიას. იგი ქმნის მის ორიგინალურ ინვარიანტს, რომელიც ერთგვარად აფართოებს და განავრცობს ფრანგული პოეზიის მითოგრაფიულ დისკურსსა და მითოსურ სახისმეტყველებას, ქრონოტოპებს, კულტურულ და ლანდშაფტურ სივრცეებს. XX ს-ის 20-იან წლებში ცისფერყანწელები თავის აღტაცებას ვერ

მაღავედნენ ფრანგი სიმბოლისტების შემოქმედებით, რაც მათი მხრიდან მიიჩნეოდა იმის მტკიცებულებად, რომ ქართული ლიტერატურის გეზი ევროპულისკენ იყო მიმართული. მათ ჰყავდათ სათაყვანებელი პოეტები: ედგარ პო, ბოდლერი, რემბო, ვერლენი... თუმცა ვფიქრობ, ცისფერყანწელების გამოცხადება ქართველ სიმბოლისტებად ძალზე სადავოა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანად მიმაჩნია ფრანგული სიმბოლიზმის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება და შესაბამისად მისი დაკავშირება XX ს-ის ქართველ პოეტებთან, კერძოდ გალაკტიონის პოეზიასთან. ლიტ. 7.

ავტ.

2.6.2.4.3. მარიო ვარგას ლიოსას რომანის „ქალაქი და ძაღლები“ ცენზურა ფრანსისკო ფრანკოს ესპანეთში. /ნ. ჯოხაძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 120-128. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

„ქალაქი და ძაღლები“ ცნობილი პერუელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, მარიო ვარგას ლიოსას პირველი რომანია, რომელიც ავტორის ახალგაზრდობაში გამოქვეყნდა. 1963 წელს, რომანის გამოქვეყნების დროს, ავტორი 27 წლის იყო. ცნობილია, რომ მარიო ვარგას ლიოსას მრავალი სირთულის გადალახვა მოუხდა ნაწარმოების გამოქვეყნების გზაზე. მას შემდეგ, რაც რომანის ხელნაწერი კატალონიელმა რედაქტორმა, გამომცემლობა „სეიმ ბარალის“ დამაარსებელმა, კარლოს ბარალმა წაიკითხა, მან მიზნად დაისახა ნაწარმოები სწორედ მის გამომცემლობას გამოეყენებინა. ბარალმა ხანგრძლივი მოლაპარაკებები აწარმოა ფრანკისტულ ცენზურასთან. მოლაპარაკებებში ასევე ჩართულები იყვნენ ცენზურის მხრიდან ინფორმაციის სააგენტოს გენერალური დირექტორი რობლეს პიკერი, ავტორის მხრიდან კი რობლეს პიკერის მეგობარი, ბარსელონას უნივერსიტეტის პროფესორი, ხოსე მარია ვალვერდე, რომელიც „ბიბლიოთეკა ბრევეს“ პრემიის ჟიურის წევრი გახლდათ და რომელსაც ეკუთვნის რომანის პირველ გამოცემებში არსებული წინასიტყვაობა. ცნობილია მარიო ვარგას ლიოსას სიმპათიები კომუნისტური პარტიისა და კუბის რევოლუციის მიმართ 1950-60-იან წლებში. რომანში იგრძნობა ავტორის მემარცხენე პოზიციები, მისი კრიტიკა და ცინიკური დამოკიდებულება პერუს სამხედრო სისტემისა და განათლების სისტემის მიმართ. დიქტატორული რეჟიმის პირობებში საზოგადოებაში არსებული ცრურწმენების, რასობრივი და კლასობრივი უთანასწორობის, კორუფციისა და უსამართლობის გამოსახატავად, ავტორი თავს არ არიდებს მოზარდების ვულგარული ენის გამოყენებას და სექსუალური სცენების აღწერას, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს რეალისტურად აღიქვას და წარმოიდგინოს რომანში მოთხრობილი ამბავი. რომანის ანტიმილიტარისტული ტონი, უხეში ენა და სექსუალური ეპიზოდები წარმოადგენდა ერთგვარ „უხერხულობას“ ფრანკისტული ცენზურისათვის, რომელსაც 1960-იან წლებში წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გამოხატული შემსუბუქებული ხასიათი ჰქონდა. რომანი ცენზურის არც ერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებდა, იგი მოიცავდა, რელიგიის შეურაცხმყოფელ თემატიკას (სასულიერი პირის ერთ-ერთი ეპიზოდის გამო), სექსუალობასთან დაკავშირებულ თემატიკას, შეუსაბამო და პროვოკაციულ ენას და რეჟიმის შეუსაბამო აზრებს, სამხედრო სისტემის კრიტიკას, რაც ესპანური ცენზურისთვის მიუღებელი იყო. კარლოს ბარალის მიერ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, ცენზურამ საშუალება მისცა ავტორს, მისი პირველი რომანი სწორედ მემარჯვენეების მიერ მართულ ფრანკოს ესპანეთში გამოეყენებინა. სტატიაში განვიხილავთ, რომანის გამოქვეყნებისათვის წარმოებულ მოლაპარაკებების პროცესს. მიუხედავად რომანის ანტიმილიტარისტული განწყობისა, ესპანური ცენზურის პირობებში იგი მინიმალური ცვლილებებით გამოქვეყნდა, რასაც ვერ ვიტყვით საბჭოთა კავშირზე, სადაც როგორც ვარგას ლიოსამ აღნიშნა, რომანის „ამპუტაციას“ ჰქონდა ადგილი. სტატიაში განხილული იქნება თუ რატომ დაუშვა ესპანურმა ცენზურამ იმ რომანის მცირე ცვლილებებით გამოქვეყნება, რომელიც ანტიფრანკიზმის ალეგორიად იყო მიჩნეული. ცხრ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

2.6.2.4.4. ზურაბ რთველიაშვილი და ქართული პოეტური პერფორმანსი. /ნ. გოგიაშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 116-122. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.15>

ქართულ პოეტურ პერფორმანსზე საუბრისას, მაშინვე ზურაბ რთველიაშვილის სახელი ტივტივდება მეხსიერებაში. ის იყო პოეტი-პერფორმერი, რომელიც სულ ახლახან გარდაიცვალა ადრეულ ასაკში, თუმცა თავისივე პოეზიის მსგავსი მგზნებარე და აფეთქებული სიცოცხლის განმავლობაში, ბევრი შესანიშნავი ლექსი, პერფორმანსი და მოგონება დატოვა. პერფორმანსი ხელოვნების სინკრეტული ფორმაა, სადაც მონაცვლეობს სიტყვა, ბგერა, რიტმი, მუსიკა, ჟესტი და ა.შ. პოსტმოდერნისტული დროის რელევანტური პოეზია პერფორმანსში გაცილებით უფრო მისაღებია (მსმენელისა და მაყურებლისათვის), ვიდრე პოეზია წიგნში (მკითხველისათვის), გამომდინარე დროის დეფიციტის, კონცენტრაციის დეფიციტისა და პოსტმოდერნისტული ზედაპირულობის გამო. ზურაბ რთველიაშვილის „საუნდ-პოეზია“ უმრეტი ენერგიით გაჯერებული უახლესი არტ-ფორმაა, სადაც პოეტი პოლიტიკური და სოციალური თემებით ვარირებს; მისი პოეტური ხმა ხშირად აგრესიული და პრეტენზიულია და გამოირჩევა მოქალაქეობრივი და პიროვნული უკომპრომისობით. მიუხედავად ამგვარი პოეტურად „მძიმე“ თემატიკისა, ის ენობრივ პოეტად რჩება – სწვდება მის სიღრმეებს, იყენებს მის შესაძლებლობებს და საკუთარ, უჩვეულო ენად გარდაქმნის; მის პოეზიაში აქტუალურია ზაუმი, რომელიც დადასტოვებისა და ფუტურისტების ენობრივი მასალაა. თუმცა ზაუმი აზრისგან დაცლილს არ ნიშნავს და ზურაბ რთველიაშვილის ზაუმური ენაც მდიდარია სათქმელითა და შინაარსობრივი პასაჟებით. ახალი ცნობიერების ნაკადი მეინსტრიმული კულტურის გადალახვის ან, სულაც, გვერდის აქცევის შედეგად იბადება, ან – პირიქით. კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ენაა და ახალი ცნობიერება არსებული ენების „გადალახვის“ გზითაც ცხადდება, რომლის ნათელი მაგალითიც ზურაბ რთველიაშვილის პოეზიაა. ნაშრომში ასევე განხილულია თანამედროვე ქართული პერფორმანსი, მისი წარმომადგენლები და ზურაბ რთველიაშვილის განსაკუთრებული ადგილი ამ სივრცეში. უპრიანია ვთქვათ, რომ ქართული პოეტური პერფორმანსი ცალსახად ზურაბ რთველიაშვილის სახელთან ასოცირდება. ლიტ. 8.

ავტ.

2.6.2.4.5. რეზა ინანიშვილის ერთი მინიატურის გამო. /ნ. კოჭლოშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 123-127. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.16>

„ლიტერატურა ახალ რეალობას უნდა ქმნიდეს, თანაც ისეთს, რაც ადამიანებს ცოტაოდენ შვებას მოუტანს“ – რეზა ინანიშვილის ეს სიტყვები თავად მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ახასიათებს. ამა სოფლის მკვიდრთა შორის სიყვარულის სიცოტავე აიძულებდა რეზა ინანიშვილს ეწერა სულიერებაზე, სიყვარულზე, სათნოებაზე, თანადგომაზე, ურთიერთ-გატანაზე, მარტოობით გამოწვეულ სევდასა თუ უიმედო იმედზე, შეექმნა თვითმყოფადი, თავისთავადი ნაწარმოებები, როგორც აკაკი ბაქრაძე იტყოდა „სულის პური“, ადამიანთათვის შვების მომგვრელი. რეზა ინანიშვილის მინიატურებში, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, ჩვეულებრივი ამბები, სხვადასხვა ზოგადსაკაცობრიო პრობლემის ამსახველი, გადმოცემულია მაღალმხატვრული ოსტატობით, მცირე პროზისთვის დამახასიათებელი მკაცრი არქიტექტონიკით, თხრობის ლაკონურობითა და ნიშანდობლივი მოულოდნელი დასასრულით, რაც კიდევ უფრო განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე და უამრავ საფიქრალს აღძრავს. რეზა ინანიშვილმა მინიატურაში „დედები“ უდიდესი ადამიანური თანაგრძნობით დაგვიხატა

სვეგამწარებული, მარტოდდარჩენილი დედის ტრაგიკული სახე, უიმედო იმედით რომ ცდილობს წუთისოფლის სიმუხთლეს გაუმკლავდეს, გამონაგონით, ილუზიებით დაარწმუნოს საკუთარი თავიც და სოფლის წყაროსთან შეკრებილი ხელკოკიანი ქალებიც თავის ბედნიერ ყოფაში. შემთხვევითი არ არის, რომ ანანო მაინცდამიანც წყაროსთან ყვება თავის უიმედო იმედზე. ის ამ გზით ცდილობს არა მარტო თავდავიწყებაში შვების პოვნას, არამედ შვილის უკვდავყოფას. წყარო ხომ ქრისტიანულ სამყაროში სიცოცხლესთან ასოცირდება, როგორც კათარზისის, წმინდა გზის გააზრებასთან და, ამასთანავე, გადარჩენის იმედთან. რეზო ინანიშვილის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა, სევდითა და სიხარულით გაჯერებული, გვაფიქრებს რა ადამიანად ყოფნის არსსა და რაობაზე, ადამთა მოდგმის უმთავრეს დანიშნულებაზე, სიყვარულით არსებობისკენ მოგვიწოდებს. ქართული მწერლობა რომ ჰუმანიზმის ქადაგებაა ამაში გასაკვირი არც არაფერია, თუმცა რეზო ინანიშვილის მწერლური თავისთავადობისა და თვითმყოფადობის ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი სულის ნაჟურზე ხარბად დაწაფებაა, რაც არც თუ მარტივად მიიღწევა მცირე პროზისთვის დამახასიათებელი მკაცრი კანონიკით. ლიტ. 2.

ავტ.

2.6.2.4.6. მეტაფიქცია, როგორც კომუნისტური იდეოლოგიის კრიტიკის ინსტრუმენტი გივი მარგველაშვილის რომანში „კოლხი მედეა კოლხოში“. /თ. მოსეშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 128-139. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.17>

წინამდებარე სტატიის განხილვის საგანია გერმანულენოვანი ქართველი მიგრანტი ავტორის გივი მარგველაშვილის (1927-2020) რომანი „კოლხი მედეა კოლხოში“ („Die Medea von Kolchis in Kolchos“, 2017). ნაშრომში გაანალიზდება რომანის მეტაფიქციური, ინტერტექსტობრივი, ინტერმედიალური, ავტორეფლექსიური და ავტოფიქციური მონაკვეთები. მეტაფიქციური ჩანართები რომანის თითქმის ყველა სტრიქონში ახსენებს მკითხველს ნაწარმოების ფიქციურ ხასიათს. თუმცა მარგველაშვილის შემოქმედებაში მეტაფიქციის დანიშნულება მხოლოდ ლიტერატურული ტექსტების ფიქციური ხასიათის გაშიშვლება არ არის. მისი ძირითადი ფუნქცია იდეოლოგიის კრიტიკაა. მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგია რომანში შედარებულია მტვერთან, რომლისგანაც უნდა გაიწმინდოს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის გონება. ჰორიზონტისა და გონების გაწმენდა კომუნისტური იდეოლოგიისგან, რომანის პროტაგონისტ ვაკუშის აზრით, უკეთესად სუნთქვის შესაძლებლობას მისცემს ხალხს, წიგნის მთავარ პერსონაჟებს სიტყვის თავისუფლება მიეცემათ, მათ შეეძლებათ თავისუფლად გამოთქვან აზრი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. სტატიაში ასევე განვიხილავთ კოლხი მედეას მსგავსების საკითხს საბჭოთა კავშირის მთავარ იდეოლოგებთან, ლენინთან და სტალინთან და ამასთან იმას, თუ რატომ უნდა წაიკითხოს მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილმა, ბიჭვინთის სანაპიროზე აღმართულმა მედეას ქანდაკებამ აღმოსავლეთ გერმანელი მწერლის კრისტა ვოლფის რომანი „მედეა. ხმები“ („Medea. Stimmen“, 1996), ლენინისა და სტალინის ძეგლებმა კი სოციოლოგ კარლ მარქსის მთავარი ნაწარმოები „კაპიტალი“ („Das Kapital“, 1867/1883/1894). გარდა ამისა, ყურადღებას გავამახვილებთ „ვაკუშის ამბებზე“, რომლებიც ნაწარმოების მრავალ ადგილას გვხვდება და რომლებიც უშუალოდ უკავშირდება გივი მარგველაშვილის ადრეულ შემოქმედებას, სახელდობრ, მისი ავტობიოგრაფიული რომანების ციკლს „კაპიტანი ვაკუში“. დასკვნაში შევეცდებით გადმოვცეთ გივი მარგველაშვილის მეტაფიქციური ნაწარმოების „კოლხი მედეა კოლხოში“ მთავარი შეტყობინება. ლიტ. 12.

ავტ.

2.6.2.4.7. „კაცი ტანჯვისათვის არის გაჩენილი“ – ლიტერატურულ-ფილოსოფიური ასპექტები. /ი. შიოშვილი, ნ. კახაშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 140-144. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.18>

ნაშრომში განხილულია „ტანჯვის იდეა“, როგორც შემოქმედისა და ლიტერატურული პერსონაჟების ცხოვრების აუცილებელი ნაწილი. შემოქმედის სულიერი სამყაროს შესწავლა ერთ-ერთი გამორჩეული საკითხია. ყოველთვის ხდებოდა მწერლების, მხატვრებისა თუ მუსიკოსების ბიოგრაფიის სიღრმისეული შესწავლა და აშკარაა, რომ მათ ნაწარმოებებში ავტორის ცხოვრებისეული მოვლენები და პირადი ტკივილები სერიოზულ გავლენას ახდენენ. ნაშრომში გამოკვეთილია მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველი ფილოსოფოსისა და ლიტერატორის, კონსტანტინე კაპანელის ნააზრევები, რომელმაც სერიოზული შრომები მიუძღვნა „ტანჯვის იდეას“ და თვლის, რომ შემოქმედების მთავარი განმსაზღვრელი მხოლოდ პირადი შეხედულებებია. სტატიაში გაცხადებულია, რომ ყველა შემოქმედი თავისებურ, საკუთარ ტანჯვის გზას გადის. არ არსებობს დალხენილი, უდარდელი შემოქმედი. თუნდაც მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, სადაც ყველა შემოქმედმა თავისი „წყევლა-კრულვიანი“ გზა გაიარა; ხალხის სიყვარულთან ერთად საშინელი დარტყმებიც გადაატანინა ცხოვრებამ ან სულაც ვეღარ გაუძლეს ამ წუთისოფლის უკუღმართობას. განხილულია, ასევე, საკითხი ლიტერატურული პერსონაჟის შესახებ. კერძოდ, შეიძლება გახდეს თუ არა ის გმირი, მკითხველის საყვარელი და მისაბამი, თუ ტანჯვას არ გაივლის? თითქმის შეუძლებელია აღმოაჩინოთ ლიტერატურული პერსონაჟი, რომელსაც ტანჯვის გარეშე შეიყვარებს მკითხველი. ილია ჭავჭავაძის არჩილიც კი („ოთარაანთ ქვრივი“), რომელიც „კეთილი“ თავადი იყო, მხოლოდ მას შემდეგ ხდება საყვარელი პერსონაჟი, რაც გიორგიზე დარდს იწყებს და იტანჯება მისი ხვედრით თუ არსებული უთანასწორობით. სტატიაში იკვეთება, რომ თითქმის შეუძლებელია აღმოაჩინოთ ლიტერატურული პერსონაჟი, რომელსაც ტანჯვის გარეშე შეიყვარებს მკითხველი. მათი სულიერი სამყარო უფრო ლამაზი ხდება, რაც უფრო იტანჯებიან ისინი. თითქმის არ მოიძებნებიან პერსონაჟები, რომლებიც მოსვენებული ცხოვრებით ცხოვრობენ, დროს უდარდელობაში ატარებენ და მკითხველის საყვარელ გმირებად იქცევენ. სტატიაში მოხმობილი ლიტერატურული პერსონაჟები იტანჯებიან თავს დატეხილი უბედურებებით, თუმცა ყველა მათგანი ზეკრიტიკული მდგომარეობის დროს ავლენს მაღალ მორალურ ღირსებებს და რჩება ადამიანად. სტატიაში გაცხადებულია, რომ შემოქმედი როგორც თავად, ასევე თავისი პერსონაჟები, ტანჯვის გრძელ გზას გადიან, და ეს ხელს უწყობს, გამოიწროოს მათი სული. სარწმუნო გახდა, რომ ტანჯვა ჭეშმარიტი ხელოვანის აუცილებელი თანმდევაა, თუმცა გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ის პერსონაჟები რჩებიან ჩვენს ცნობიერებაში, ცხოვრების მასწავლებლებად, რომლებსაც უდიდესი ტანჯვის გადატანა უწევთ. ლიტ. 2.

ავტ.

6.2.5. ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობები

2.6.2.5.1. აკადემიკოსები აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი – ენათმეცნიერებაში ახალი თეორიული მიმდინარეობის („სტრუქტურალიზმის“) წინამორბედნი. /თ. გამყრელიძე, მ. ივანიშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2021. – ტ. 15. – #4. – გვ. 146-151. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის შემოქმედება უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ისინი, ფაქტობრივად, იმ თეორიულ-ლინგვისტური მიმდინარეობის წინამორბედნი აღმოჩნდნენ, რომელიც შეიძლება

დახასიათდეს როგორც ენის სტრუქტურულ-ფუნქციური (ფუნქციონალურ-ფონოლოგიური) ანალიზი. ეს ფაქტი, სამწუხაროდ, ნაკლებადაა ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის და ჩვენი მოვალეობაა ფართოდ გავაცნოთ მათი ნააზრევნი და დამსახურებული ადგილი მივუჩინოთ მსოფლიო ენათმეცნიერების ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ აკაკი შანიძეს არ მოუცია თავისი ლინგვისტური კონცეფციისა და მეთოდოლოგიის მთლიანი ფორმულირება, ენისადმი (ამ შემთხვევაში ქართული ენისადმი) მთელი თავისი მეცნიერული მიდგომითა და ენობრივი ანალიზის გამოყენებული ხერხებისა და მეთოდების მიხედვით, აკაკი შანიძის ლინგვისტური თეორია უნდა განვიხილოთ როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური და ენათმეცნიერების ისტორიაში ის იმ მიმდინარეობებს შევადაროთ, რომლებიც შემდგომ ფერდინანდ დე სოსიურის სინქრონული თეორიისა და პრადის საენათმეცნიერო სკოლის სტრუქტურალიზმის სახით ჩამოყალიბდნენ. გიორგი ახვლედიანი ფონოლოგიური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი წარმომადგენელია. გიორგი ახვლედიანის შრომებში აშკარად ვლინდება ფუნქციონალური თვალსაზრისი ენის ბგერითი შედგენილობის ანალიზისას, და, თუმცა აქ ჯერ არა გვაქვს „დიფერენციალური ნიშნის“ ცნება, შემოტანილი მეცნიერებაში უფრო გვიან ნიკოლოზ ტრუბეცკოისა და რომან იაკობსონის მიერ, უკვე აშკარად იჩენს თავს დაპირისპირება კონკრეტულ ბგერასა და ფონემას, როგორც ენის ფუნქციონალურ ერთეულს, შორის. ეს იყო იმ დროისათვის უდიდესი მიღწევა, ენის ბგერითი ერთეულის ფუნქციონალური თვალსაზრისით განხილვის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნიმუში ენათმეცნიერების ისტორიაში. ლიტ. 2.

ავტ.

2.6.2.5.2. ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები გერმანული ენის განვითარების ისტორიულ კონტექსტში. /ს. შავგულიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 70-74. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების არსებობას მეცნიერები გერმანული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ადასტურებენ. მოვლენა, რომლის საწყისები ენის განვითარების ადრეულ პერიოდებში ფიქსირდება, არ არის მხოლოდ გერმანული ენისათვის დამახასიათებელი. ის ფაქტი, რომ შესიტყვებათა რაოდენობა გერმანულში საუკუნეთა მანძილზე მატულობს, ადასტურებს მისი განვითარების ტენდენციას სინქრონიულიდან ანალიზური აგებულებისაკენ. ენის დიაქრონიული განვითარების პროცესში იკვეთება გარკვეული პერიოდები, როდესაც ნომინალიზაციის და შესიტყვებათა გამოყენების ტენდენცია უფრო მეტად გამოიხატება, ვიდრე სხვა მონაკვეთებში. ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების სისტემურ მოვლენად ჩამოყალიბება კი ივარაუდება XVIII საუკუნეში. ისინი ფიქსირდება სამეცნიერო ლიტერატურაში და მმართველობის ენაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში. XVII-XVIII საუკუნეებში განსაკუთრებით მომძლავრდა ამ შესიტყვებათა გამოყენება, რაც ამ დროისათვის გერმანულ და ევროპულ აზროვნებაში მომხდარი ცვლილებების, ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარების, ბიუროკრატიული აპარატის ჩამოყალიბების და სავაჭრო ურთიერთობების ცვლილებების კვალდაკვალ წარმოქმნილ ენობრივი გამოხატვის საჭიროებებს უკავშირდება. მოხდა გერმანული ენის შინაგანი პოტენციალის და ანალიზური აგებულებისაკენ მიდრეკილების განვითარება შეცვლილი ცხოვრებისეული პირობების გათვალისწინებით. თანამედროვე გერმანულ ენაში ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების ფართოდ გამოყენებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ისინი გვხვდება თითქმის ყველა ფუნქციურ სტილში: უმეტესად ოფიციალურ, სამეცნიერო და პრესის ენაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში. ლიტ. 7.

ავტ.

2.6.2.5.3. არგუმენტირება, როგორც დისკურსული პრაქტიკა (დიდაქტიკური და ლინგვისტური კონცეპტები). /გ. გობიანი, მ. გობიანი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 24-33. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

არგუმენტირების კომპეტენცია, წერილობითი ან ზეპირი არგუმენტირების უნარი უმნიშვნელოვანესია აკადემიური და არააკადემიური კომუნიკაციის პროცესში. აღნიშნული კომპეტენციის ამაღლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განათლების მიღების პროცესში, რაც, საბოლოო ჯამში, ორიენტირებულია ზოგადი, ინტერკულტურული კომუნიკაციისა და სწავლა-სწავლების სტრატეგიული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. არგუმენტირებული ტექსტის შექმნის კომპეტენცია კომპლექსურია და სხვადასხვა განზომილებას მოიცავს, რაც გულისხმობს არგუმენტის შერჩევას, აგებას, დაჯგუფებას, არგუმენტირებული მსჯელობის სწორად წარმართვას. მასში შემავალი სხვადასხვა კონცეპტებისა და პერსპექტივების სისტემატიზირება იძლევა შესაძლებლობას არგუმენტები დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: მოსაუბრეზე ორიენტირებული და ინტერაქციაზე ორიენტირებული. არგუმენტირებული განხილვები და ორგანიზებული სადისკუსიო პროცესები წარმოქმნის დისკურსს, რომელიც გათანაბრებულია საზოგადოებრიობის ცნებასთან. დისკურსის ანალიზის პერსპექტივებიდან არგუმენტირება დისკურსული პრაქტიკაა, ანუ იგი რეალიზდება სპეციფიკურ კონტექსტში (კონტექსტუალიზდება), წარმოიშვება ინტერაქტიულად, ვითარდება, მოდელირდება და ინტერაქციაში მონაწილეთა მიერ ხდება მისი, როგორც არგუმენტირების აღქმა. არგუმენტირების კომპეტენცია უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ აკადემიური წერის პრინციპებით შექმნილი ნებისმიერი ტიპის ტექსტის ფორმულირებისთვის, არამედ მსჯელობის პროცესში მონაწილე ე.წ. „მოსაუბრე სუბიექტების“ ანუ საზოგადოებრივი აქტორების ინტერაქციის სტრუქტურირებისთვის. არგუმენტირების სტრატეგიული უნარი, როგორც დისკურსული პრაქტიკა, კონკრეტულ სოციუმში, კონკრეტულ დისკურსულ არეალში ამკვიდრებს ყველასათვის სავალდებულო და მნიშვნელოვან ცოდნას და აყალიბებს აზროვნების მყარ სისტემას, რომელიც საბოლოო ჯამში წარმართავს არგუმენტირებულ განხილვებსა და ორგანიზებულ სადისკუსიო პროცესებს. ცხრ. 2, ლიტ. 10.

ავტ.

6.2.6. ენათმეცნიერება

2.6.2.6.1. ენობრივი კომუნიკაციის სოციალური და კულტურული ფუნქციები. /რ. გოგოხია/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 118-124. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ენა საშუალებას გვაძლევს, გავაზიაროთ აბსტრაქტული იდეები, რითაც გამოვიჩვენებთ ცხოველებისგან. ენა იდენტობის განუყოფელი ნაწილია. სასაუბრო ენის მიხედვით, ხალხი შეიძლება დავყოთ კატეგორიებად ასაკის, სქესის, სოციალური შემოსავლების დონითაც კი. საერთო ენის გამოყენებით, ადამიანებს შეუძლიათ ჯგუფებად ორგანიზება და კოლექტიური აქტივობების კეთება. ენა არის გაზიარებული სიმბოლოების ერთიანობა, რომელსაც მნიშვნელობების მისანიჭებლად იყენებენ. ნიშნებსა და მნიშვნელობებს შორის კავშირი დაუსაბუთებელია. არსებობს ენობრივი ჯგუფების ვარიაციები, როგორიცაა აქცენტი, სლენგი, დიალექტი. კორპორატიულ ბრენდებს და ლოგოებს აღიქვამს თითქმის ყველა, მიუხედავად სასაუბრო ენისა. ენა და კულტურა სიმბიოზურ ურთიერთობას ქმნიან. ერთის გარეშე მეორე ვერ იარსებებს. კულტურული ღირებულებები არეკლილია ენაში. ცხრ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

2.6.2.6.2. რიტმი ცხოვრებაში, რიტმი ენაში. /რ. გვილავა/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 17-23. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია რიტმი, როგორც ჩვენი ცხოვრების თანმხლები ფენომენი. რიტმულობა გულისხმობს ერთი და იმავე მოქმედების, მოვლენის თანაბარ დროში გამეორებას ან მოხდენას. ნაშრომში გაანალიზებულია ინგლისური ენის გაბმული მეტყველება რიტმთან მიმართებაში. ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი რიტმი უცილობლად გულისხმობს ტექსტის დაყოფას რიტმულ (ტონალურ) ჯგუფებად, რომელთა გამოყოფა ეფუძნება მახვილიან და უმახვილო მარცვალთა დაჯგუფების პრინციპს, რომლის მიხედვითაც უმახვილო მარცვლები მიეზიან მახვილიან მარცვლებს და რიტმულ ერთეულებს ქმნის. ეს რიტმული ერთეულები ერთი და იმავე დროის მონაკვეთში წარმოითქმის. ნაშრომში პირველად არის პარალელი გავლებული ინგლისური ენის ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელ რიტმულ ერთეულებსა და მუსიკალური ნაწარმოების ტაქტებს შორის. ხაზგასმულია ინგლისური ზეპირმეტყველების მუსიკალურობა. სურ. 1. ლიტ. 4.

ავტ.

2.6.2.6.3. ემოციის გადმოცემის ლინგვისტური საშუალებები ტექსტში (მოთხრობების „A Friend on the Line“ და „The Blanket“-ის მასალაზე). /ნ. სარაჯიშვილი, გ. ყუფარაძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 50-56. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია ნაწარმოების პერსონაჟთა შინაგანი სამყარო, მათი სულიერი თუ ემოციური მდგომარეობის სრული სურათის აღწერა იმ ენობრივი საშუალებებით, რომლებსაც ავტორები იყენებენ მთავარ გმირთა პიროვნული ხატის სრულად ჩვენებისა და მკითხველის მიერ ზედმიწევნითი სიზუსტით აღქმის მიზნით. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სტრუქტურულ-სემანტიკური დინამიკისა და პრაგმატისტული ანალიზის მეშვეობით განსაკუთრებული აქცენტი (მინიშნება) კეთდება პრაგმატისტულ ასპექტზე ანუ იმაზე, თუ რა ინფორმაციაა ჩადებული ადრესანტის (პერსონაჟის) მიერ ამა თუ იმ ემოციის გამოხატვისას და როგორ აღიქვამს ადრესატი (მკითხველი) გადმოცემულ ინფორმაციას იმ ენობრივ საშუალებათა საფუძველზე, რომელთაც იყენებს ნაწარმოების გმირი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. წინა პლანზე წამოვწიეთ ძირითადი ემოციებისათვის და ემოციის შემცველი ენობრივ საშუალებათა სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები. ემოციათა გამოხატვის პრაგმატისტული პოტენციალის კვლევა ნამდვილად ღირებულია მხატვრული ტექსტის პრაგმატისტიკისათვის, სხვადასხვა ხალხთა ისტორიის კვლევისათვის, რაც უცილობლად ასახავს თანამედროვე ენათმეცნიერების ამოცანათა ფართო სპექტრს. კვლევის შედეგად ასევე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მხატვრულ ტექსტში ემოციური დატვირთვა/შეფერილობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს პერსონაჟის მეტყველების კულტურის უკეთ წარმოჩინებასა და აღქმაში, რაც გულისხმობს ნაწარმოების გმირთა მიერ, ინტერაქციის დროს, ემოციათა გამოხატვის საშუალებათა გამოყენების მართებულობას. ლიტ. 7.

ავტ.

2.6.2.6.4. მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის ისტორიიდან (ნებრიხაძან სამეფო აკადემიის უახლეს გრამატიკამდე). /ნ. ჭრიკიშვილი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 67-74. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ენაში არსებული სიტყვათა მარაგის სხვადასხვა კლასებად გადანაწილება და საკლასიფიკაციო პრინციპად სიტყვების საერთო გრამატიკული ნიშნების (მორფოლოგიური კატეგორიები, სინტაქსური ფუნქციები) გამოყენება ენაში კონკრეტული რაოდენობის მეტყველების ნაწილების ჩამონათვალს წარმოქმნის. გამონაკლისი არც ესპანური ენაა, სადაც ცხრა მეტყველების ნაწილს გამოყოფენ: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, მსაზღვრელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნი-

ზედა, წინდებული, კავშირი, შორისდებული. მეტყველების ნაწილების წარმოდგენილი თანამიმდევრობა გვხვდება 2009 წლიდან, მას შემდეგ რაც ესპანეთის სამეფო აკადემიამ (RAE) გამოაქვეყნა ესპანური ენის განახლებული გრამატიკა „Nueva gramática de la lengua española“. აკადემიის განახლებული გრამატიკით შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომელიც ამ ეტაპზე საბოლოო ვარიანტიად განიხილება, მთელი რიგი მახასიათებლებით განსხვავდება წინა საუკუნეების გრამატიკულ ნაშრომებში წარმოდგენილი კლასიფიკაციებისგან. სწორედ მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის ისტორიას ეხება წინამდებარე სტატია, სადაც ესპანური (კასტილიური) ენისათვის ყველაზე მნიშვნელოვან გრამატიკულ ნაშრომებზე დაყრდნობით აღწერილია ევოლუციის რა გზა განვლო მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციამ. მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის აღწერა დავიწყეთ კასტილიური (ესპანური) ენის პირველი გრამატიკიდან და ვნახეთ როგორ შეიცვალა ეტაპობრივად ნებრისასეული კლასიფიკაცია და როგორ მივიღეთ თანამედროვე ესპანურში ცხრა მეტყველების ნაწილი. სურ. 2. ლიტ. 5.

ავტ.

2.6.2.6.5. თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაცია და კიპლინგის ნოველათა ციკლის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. /თ. ალფაიძე, ლ. მოწენიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 10-17. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია რადიარდ კიპლინგის მხატვრული შემოქმედების ის სეგმენტი, რომელიც წარმოდგენილია მისი ნოველების ციკლით. არსებული ჰიპოთეზით კიპლინგის ნოველათა ციკლი წარმოადგენს ჟურნალისტური დისკურსის მხატვრულ დისკურსად ტრანსფორმირების შედეგს. კიპლინგის ნოველათა ციკლი ორი კულტურული სივრცის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის „შეხვედრა-შეჯახების“ თემას შეისწავლის. როგორც კიპლინგის შემოქმედებითი ბიოგრაფიისთვის, ისე მისი ნოველისტიკის პოეტიკისთვის აუცილებელი ხდება ორი კულტურული ფენომენის არა მხოლოდ ურთიერთდაკავშირება, არამედ ნოველათა გაანალიზების პროცესში შინაგანი კავშირის გათვალისწინებაც. ხსენებული ანალიზი კი არა მხოლოდ რეპორტაჟის როგორც ჟურნალისტური ჟანრის შინაგან (შეიძლება ითქვას ქვეტექსტურ) კვალს უნდა ხედავდეს ამ ნოველებში, არამედ იმასაც, რომ კიპლინგის რეპორტიორობა გარდუვალად ნიშნავს მისი როგორც დასავლური კულტურის წარმომადგენლის ადგილს და როლს. დასახელებული თემა კი აღიქმება პრობლემად იმ პარადიგმული ფაქტორის გათვალისწინებით, რომელსაც წარმოადგენს თვით საკვლევი ობიექტის მრავალგანზომილებიანობა, ანუ ის ფაქტი, რომ იგი ერთდროულად ეკუთვნის სინამდვილის სამ განზომილებას – ენობრივს, მხატვრულს და კულტურულს. ლიტ. 4.

ავტ.

2.6.2.6.6. არქეოლინგვისტიკა. /თ. მახარობლიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 34-41. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

არქეოლინგვისტიკა არის ენათმეცნიერების ახალი დარგი, რომელიც ქმნის სამყაროს უძველეს სურათს. მაგალითისთვის ავიღოთ მტკვარ-არაქსის უძველესი კულტურა (4000-2000 წელი ქრისტეშობამდე). არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ ეს კულტურა საკმაოდ გავლენიანი გახლდათ და მისი მიგრაციების არქეოლოგიური ვექტორები აღინიშნება როგორც სამხრეთით, ასევე დასავლეთითა და ჩრდილოეთის მიმართულებითაც. რეალურად, ეს გულისხმობს იმ მოვლენას, რომ ამ კულტურიდან ხდება არტეფაქტების გავრცელება აღნიშნული ვექტორების მიხედვით. საყოფაცხოვრებო და საკულტო ნივთები და, საერთოდ, ნებისმიერი არტეფაქტი როგორც ასეთი, მიგრირებს თავისი სახელწოდებით. ეს კი ნიშნავს შემდეგს, რომ ამა თუ იმ კულტურის მიგრაციები იწვევს ენობრივ (კერძოდ, ლექსიკურ)

მიგრაციებს. როდესაც ადგილობრივ არქეოლოგიურ კულტურებზე ვსაუბრობთ, აღსანიშნავია, რომ კავკასიის უძველეს მოსახლეობას ძირითადად ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფები შეადგენდა. ამ კულტურათა ჩამოყალიბებისა და მის დაწინაურებაში მნიშვნელოვანი როლი ქართველურენოვან ტომებს ეკავათ. უძველესი კულტურების მიგრაციები თავისთავად მოიაზრებს საყოფაცხოვრებო და საკულტო ნივთების მიგრირებას თავისი სახელწოდებით. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება დიდი ხანია გამოიყენებს სიტყვების რეკონსტრუქციისათვის თავის მეთოდებს და იგივე მეთოდები გამოიყენება არქეოლინგვისტიკის შემთხვევაშიც, სხვაობა იმაშია, რომ არქეოლინგვისტიკა სისტემურად მიჰყვება არქეოლოგიურ ვექტორებს და სიტყვის რეკონსტრუქციისათვის გამოიყენებს უფრო ფართო ლექსიკურ-სემანტიკურ და კულტურულ ფონს. კვლევის ლინგვისტური ვექტორები უნდა გაუყვეს არქეოლოგიურ ვექტორებს. მიგრირებული ნივთი თავისი სახელწოდებით ანუ სიტყვით არის წარმოდგენილი სხვა კულტურაში და ცხადია, აქ მოვლენათა კომპლექსური ერთობლიობა უნდა გახდეს განხილვის საგანი სიტყვის რეკონსტრუქციისას. ახალ კულტურაში ნივთმა შეიძლება განიცადოს როგორც ფუნქციური, ასევე ენობრივი ცვლილებები. ეს მოსალოდნელიცაა, რადგანაც ყველა ენა და კულტურა თავისთავზე ირგებს ნებისმიერი ტიპის ნასესხობებს - ენობრივსა თუ ყოფითს. დიდი გამოწვევაა არქეოლოგიური და ლინგვისტური ვექტორების პარალელური დამუშავება და არქეოლინგვისტური ლექსიკონების შექმნა. ამ დარგს შეიძლება ეწოდოს არქეოლოგიური ლინგვისტიკა ან არქეოლინგვისტიკა. იგი შეისწავლის მსოფლიოს უძველეს ენობრივ სურათს. ეს გულისხმობს ინტერდისციპლინარულ კვლევებს, რომელიც მოითხოვს ისტორიის, არქეოლოგიისა და ენათმეცნიერების მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტების თანამშრომლობას, რის საფუძველზეც შეიძლება გამოვლინდეს უძველესი სიტყვა-ძირები და აღდგეს მთელი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური მოდელების უძველესი სახეები. ლიტ. 37.

ავტ.

2.6.2.6.7. სიღრმისეული სტრუქტურების თანამედროვე ინტერპრეტაციები. /მ. მეტრეველი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 52-60. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.06>

ნაშრომში განხილულია სიღრმისეული სტრუქტურების თანამედროვე ინტერპრეტაციები და ავტორის საკუთარი მოსაზრებები ამ საკითხებზე. კვლევის მიზანი: მოვახერხოთ ენის, როგორც განსაზღვრული ტიპის ფორმალური მოდელის, აღწერა საკუთარ მოსაზრებებსა და ჩვენი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. კვლევის ამოცანები: 1. გამოიკვეთოს ის მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ ენობრივი კომპეტენციები თანდაყოლილ ხასიათს ატარებს, და გამოვლინდეს ავტორის არგუმენტირებული მოსაზრება ამ საკითხზე. 2. წარმოჩნდეს ჩვენი თვალთახედვიდან გამომდინარე გენერაციული გრამატიკის ორი დონის შესახებ არსებული თეორიების დადებითი და უარყოფითი მხარეები. 3. დადგინდეს სიღრმისეული სტრუქტურების ევოლუციის გზა. 4. გამოიკვეთოს უახლესი აღმოჩენები მეცნიერებაში გენერატიულ ლინგვისტიკასთან დაკავშირებით, რათა ჩვენ შევძლოთ სიღრმისეული სტრუქტურების თეორიის უფრო ღრმა ანალიზი და ზოგიერთი საკამათო მომენტის უფრო დეტალური შესწავლა. კვლევის მეთოდები: დესკრიპტულ-ანალიტიკური, შედარებით-კონტრასტული, ტრანსფორმაციული, ფსიქოლინგვისტური და სხვა. გაკეთებულია დასკვნა, რომ სიღრმისეული სტრუქტურების თეორია საჭიროებს უფრო დეტალურ გადამუშავებას, რადგან ჩანს, რომ სიღრმისეული სტრუქტურებიდან ზედაპირულზე გადასვლის მექანიზმებში რაღაც არის გამოტოვებული, ანუ შესასწავლი. უნივერსალური გრამატიკის არსებობის

პოსტულატი ვარაუდობს მშობლიური ენის გრამატიკის ფლობისა და მეტყველებითი ჩვევების თანდაყოლილ ხასიათს. ლიტ. 6.

ავტ.

2.6.2.6.8. მხატვრული ტექსტის აგების ერთი შესაძლებლობისათვის ქართულში. /ნ. გელდია-შვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 43-51. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.05>

ტექსტის, როგორც ენისა და მეტყველების უმაღლესი საკომუნიკაციო ერთეულის, კომპლექსური სამეტყველო ქმედების, სტრუქტურისა და ფუნქციური ასპექტების კვლევა დღეისათვის ძალზე აქტუალურია, რადგან ნებისმიერი ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში. ტექსტის მოდელირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი კომპონენტთა (ტექსტის/მეტატექსტის კონსტიტუენტთა) ურთიერთდაკავშირების საშუალებებია. ასეთთა შორის (ზმნა-შემასმენელთა დრო-კილოს ფორმები, ჩართული სიტყვები და გამოთქმები, სინონიმები თუ ანტონიმური, ნაცვალსახელური ჩანაცვლებები) განიხილავენ ასევე ლექსიკურ თუ სემანტიკურ (სიტყვათა და შესიტყვებათა) გამოვლენებს, რაც ამჯერად ჩვენი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს. დავინტერესდით, რა სურათს მოგვცემდა ეს შესაძლებლობა მხატვრულ, კერძოდ კი, მცირე პროზის ტექსტებში, რომელთათვისაც ძირითადად დამახასიათებელია სხარტი, ლაკონური, დინამიკური თხრობა, გარკვეული რიტმულობაც კი. ამდენად, ნაშრომში ვაანალიზებთ გამოვლენას, როგორც ქართული მხატვრული ტექსტის აგების ერთ-ერთ ენობრივ, ტექსტის/მეტატექსტის კომპონენტთა შეკავშირებისა და აზრობრივად შეკვრის შესაძლებლობას. კვლევის მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გამოვლენილი ლექსიკური ერთეულებიდან ჭარბობს ზმნა (32%), არსებითი სახელი 27%-ია; ზედსართავი სახელი – 5%; ზმნიზება – 14%; ნაწილაკი – 8%; სხვა დანარჩენი – 14%. საანალიზო მასალის მიხედვით გამოიკვეთა ტექსტის, მისი ნაწილების, აზრობრივად შეკავშირებისათვის გამოყენებული: 1. ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულების გამოვლენები; 2. სიტყვათშეთანხმებათა გამოვლენები. დადასტურდა როგორც კონტაქტური (მეზობელ წინადადებაშივე არსებული), ისე დისტანციური (ერთი ან რამდენიმე წინადადების შემდეგ) გამოვლენის ნიმუშები. საინტერესო აღმოჩნდა ანაფორული გამოვლენები, ანადიპლოზისი თუ სარკისებური გამოვლენა, ასევე, იდენტური ან მსგავსფუძიანი სიტყვების ერთმანეთის გვერდით არსებობა. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია არა მარტო ცალკეული სიტყვების, არამედ ფრაზების, სიტყვათშეთანხმებების გამოვლენის შემთხვევებმა. ნიშანდობლივი აღმოჩნდა არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე ლექსიკური ერთეულის, სიტყვისა თუ ფრაზის გამოვლენაც. ჩატარებული კვლევის საფუძველზე, თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ მცირე პროზის ტექსტებში გამოვლენა, როგორც ტექსტის ნაწილების შეკავშირებისა და აზრობრივად შეკვრის ერთ-ერთი შესაძლებლობა, ცალსახად ექსპლიციტურია (ხილულია) და არა იმპლიციტური (უხილავი); ზოგი მას ძლიერ, ზოგიც – სუსტ საშუალებად მიიჩნევს. ჩვენ საბოლოო შეფასებისაგან ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ, თუმცა, ერთი შეხედვით, საკმაოდ ძლიერ საშუალებად წარმოგვიდგება. სურ. 1, ლიტ. 3.

ავტ.

2.6.2.6.9. ორი კონცეპტის ანალიზის საკითხისათვის. /რ. სვანიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 59-63. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

პანდემიისას გამოვლინდა, რომ ევროპული და მსოფლიო თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია. ვირუსმა კაცობრიობას ნაწილობრივ წაართვა ძირითადი უფლებები, ასევე სიმშვიდე და უსაფრთხოება. ამ მდგომარეობაში მნიშვნელოვანია ევროკავშირის გეოპოლიტიკური პოზიციო-

ნირება. მიუხედავად შიგა გამოწვევებისა სასურველია, ევროპამ იმოქმედოს როგორც შუამავალმა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ევროკავშირის მომავალი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ევროპის პერიფერიაში მდებარეობენ და ევროპული ერთობისაკენ მიისწრაფვიან. განათლებითა და მომავლის შესაძლებლობების შექმნით ტრანსფორმაციის ეს პროცესი შესაძლებელია წარმატებით დაიდლოს. ევროპის როლი გერმანულენოვან დისკურსში გაანალიზებულია თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების საშუალებით. OWIDplusLIVE-ისა და DWDS-ის კორპუსების მონაცემები ერთმანეთს ჰგავს. DWDS-ის კორპუსში ზედსართავების ფართო პალიტრა გვხვდება, რომლებიც კონცეპტებს ევროპასა და სოლიდარობას უფრო მრავალმხრივად აღწერენ. აღსანიშნავია, რომ ევროპა მუდამ პოზიტიურად მოიხსენიება. კონტექსტუალური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ სოლიდარობა უფრო ხშირად გამოიყენება პანდემიურ სიტუაციასთან კავშირში. სოლიდარობის/ევროპის დიფერენცირებულმა ანალიზმა პარტიების კონტექსტში გამოავლინა, რომ სახალხო პარტიები უფრო მეტად მიმართავენ ამ კონცეპტებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კორპუსების ცალკეული გამოწვევები კომპლექსური მიდგომით უნდა იქნეს დაძლეული. თემატური გამონათქვამების უფრო სიღრმისეული განხილვა და მათი საერთო საზოგადოებრივი კონტექსტის გათვალისწინებით კონტრასტულ ჭრილში ახსნა წარმოადგენს მომავალ საინტერესო საანალიზო პერსპექტივას. ლიტ. 5.

ავტ.

2.6.2.6.10. წინდებულების პრობლემატიკის ზოგიერთი საკითხი (თანამედროვე გერმანული ენის მასალაზე). /ე. ქორიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 64-69. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

თანამედროვე გერმანული ენის წინდებულების კლასი არ წარმოადგენს დახურულ სისტემას. მასში განუწყვეტლივ ქრება ძველი ენობრივი ერთეულები და წარმოიქმნება ახალი. მეტყველების ნაწილების რიგში წინდებული წარმოდგენილია სხვა, დამხმარე და ფორმაუცვლელ სიტყვათა კლასების გვერდით. მათგან განსხვავებით წინდებულს გააჩნია მართვის უნარი. წინდებულების პოლისემიურობა განაპირობებს მათი მნიშვნელობების და ფუნქციონირების მრავალფეროვნებას. განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნული საკითხი სინტაქსის დონეზე. წინდებული არ წარმოადგენს დამოუკიდებელ წევრს, მაგრამ ყოველთვის შედის წინადადების რომელიმე წევრის შემადგენლობაში. იგი შეიძლება გამოჩნდეს როგორც დამატებასთან, ასევე განსაზღვრებასა და გარემოებასთან. მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ის ფაქტორი, მიეკუთვნება წინდებული ძველ, პირველად თუ ახალ, ნასახელარ ერთეულს. წინდებულის მართვა განპირობებულია არა ბრუნვით, არამედ თვით წინდებულობით, რაც უშუალო კავშირშია დისტრიბუციასთან. ამ შემთხვევაში იგი უკავშირდება როგორც ავტოსემანტიკურ, ასევე - სინსემანტიკურ სიტყვებს, მაგრამ წინდებულის აქტუალიზაციაზე ძირითადად გავლენას ახდენს სრულმნიშვნელოვანი სიტყვა - ზმნა. ლიტ. 6.

ავტ.

2.6.2.6.11. კომპოზიტი როგორც გენიტივური სტრუქტურის ალტერნატიული ფორმა და მისი ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი. /დ. ნიქაბაძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 44-49. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში განხილულია ბოლო დროს გავრცელებული მოსაზრებები გენიტივის პოზიციის შესუსტების თაობაზე. ამ საკითხს მრავალი კვლევა მიემდვნა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია გენიტივი გარემოების ფუნქციით მართლაც უკან იხევს, თუმცა მტკიცე პოზიცია უჭირავს განსაზღვრების ფუნქციით. გერმანული ენა მდიდარია ისეთი ენობრივ-სტილისტური ფორმებით, რომლებიც გენიტივური ფორმის ალტერნატივად შეიძლება მოგვევლინოს. გენიტი-

ვის ალტერნატიული ფორმები, როგორც გენიტივური მნიშვნელობები, სხვადასხვა სიხშირით და ხარისხით ფუნქციონირებენ. მათ ერთ-ერთ სემანტიკურ ექვივალენტს წარმოადგენს კომპოზიტები. კვლევა ეყრდნობა უახლეს ენათმეცნიერულ ლიტერატურას (პ. აიხენბერგი, პ. გალმანი, ლ.მ. აიხინგერი, ა. ჰერინგერი), ხოლო საილუსტრაციო მასალა მოხმობილია ონლაინ გაზეთებიდან (როგორიცაა Spiegel online, Zeit online, Frankfurter allgemeiner Zeitung, Süddeutsche Zeitung). რაც შეეხება საგაზეთო ჟანრს, კვლევის დროს გამოყენებულია კომენტარი, რეპორტაჟი, ინტერვიუ. ლიტ. 7.

ავტ.

2.6.2.6.12. ენობრივი კულტურა და პოლიტიკა საფრანგეთში. /ნ. რევიშვილი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 50-58. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ფრანგული ეროვნული პოლიტიკა ევროპაში იზრდებოდა საფრანგეთის ძალაუფლებისა და ტერიტორიების ზრდასთან ერთად. ლათინურიდან განსხვავებული ფრანგული ენის გაჩენის შესახებ პირველი მტკიცებულება არის 842 წლის სტრასბურგის ფიცის „ფრანგული“ ვერსიის ტექსტი. საფრანგეთი არის ნიმუში იმისა, თუ როგორ იქცევიან წარმოდგენები და მითები ენის შესახებ იდეოლოგიებად და როგორ წარმოადგენს იგი ენობრივი პოლიტიკის ნაწილს, ენობრივ დაგეგმარებასა და ენობრივ პრაქტიკებთან ერთად. ფრანგული ენის დამკვიდრება ხდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. XVII საუკუნიდან მზარდი ყურადღება ექცეოდა ამ საკითხს. განსაკუთრებით საინტერესოა ფრანგული მართლწერის მაღალ დონეზე დამკვიდრება, სოციალური ღირებულებების საგნად იქცა კარგი მართლწერის გამოვლენა ფრანგულ ენაზე. 1794 წლის 19 და 20 ოქტომბერს საზოგადოებრივი ინსტრუქციის კომიტეტმა შემოიღო ახალი პროექტი, რომ ყველასათვის ესწავლებინათ ფრანგული ენა. ფრანგული ვიდრე განათლებაში მოიკიდებდა ფეხს, მანამ მწერლობის ენა გახდა. XVII და XVIII საუკუნე გახდა ფრანგული ენის დაკანონების პერიოდი. ამ დროის უდიდესმა ფილოსოფოსებმა და მწერლებმა პოეზიასა და ბელეტრისტიკაში დააკანონეს ფრანგული ენა. ამავე დროს იგი ხდება სამეცნიერო მწერლობის ენაც. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ფრანგული აკადემიისა და საფრანგეთის რევოლუციის მეშვეობით ფრანგულმა მიიღო ევროპაში ყველაზე ბრწყინვალე ენის სტატუსი. ეს იყო ახალი „კლასიკური“ ენა. ლიტ. 5.

ავტ.

2.6.2.6.13. ქართული გრამატიკული ვარიაციები (გენაცვალე/დაგენაცვლე), როგორც საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ენობრივი იდენტიფიკაციის საშუალება. /გ. გოგოლაშვილი, თ. ლომთაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2022. – ტ. 16. – #2. – გვ. 157-161. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია გამოთქმა „დაგენაცვლე“ სალიტერატურო ქართული „გენაცვალე“-ს ტოლფასად. როგორც ირკვევა, ქვემოიმერულ მეტყველებაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე პარალელურად იხმარებოდა ფორმები გენაცვალე/დაგენაცვლე; ამათგან გენაცვალე სალიტერატურო ქართულის ფორმაა, ხოლო დაგენაცვლეს არალიტერატურული, „შინაურული“ გაგება ჰქონდა. მოგვიანებით, XX საუკუნის შუა ხანებიდან, მოხდა პარალელურ ფორმათა გადანაწილება ეთნიკური ნიშნის მიხედვით: ფორმა დაგენაცვლე „მისაკუთრა“ ქართველმა ებრაელობამ (ძირითადად დასავლეთ საქართველოში მცხოვრებმა დაბალი და საშუალო ფენის ებრაელობამ, რომლებიც იყენებდნენ ებრაელთა ქართულისათვის დამახასიათებელ თავისებურ ფორმებს). დაგენაცვლეს განსაკუთრებით ხშირად იყენებდნენ ებრაელი ვაჭრები მოსახლეობასთან – „კლიენტებთან“ – შინაურული ურთიერთობის დასტურად. ამ გამოთქმას ეთნიკური ქართველები, ფაქტობრივად, აღარ

იყენებდნენ. ეს არის ქართულ ენაში მეტყველების ნაირსახეობათა ურთიერთგამიჯვნის საინტერესო მაგალითი. ლიტ. 7.

ავტ.

2.6.2.6.14. მდედრობითი სქესის გამოხატვის ერთი შესაძლებლობისათვის ლაზურში. /მ. ჩუხუა, ნ. ახალაია/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2021. – ტ. 15. – #1. – გვ. 99-104. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ჩვენს ენებში მხოლოდ და მხოლოდ ლექსიკურად, საგანგებო სახელებით გამოიხატება ცოცხალ არსებათა რეალური სქესი: დედა/მამა, ქალი/კაცი, ცოლი/ქმარი, რძალი/სიმე, გოგო/ბიჭი, ფური/ხარი, ძუ/ხვადი, ვარია/ყვინჩილი/ა, ქუბი/ეშვი, დედალი/მამალი, ნერბი/ვერძი... ჩვენი დაკვირვებით, ლაზური იდიომისათვის მდედრობითი სქესის მორფოლოგიური გამოხატვის (გარჩევის) პრობლემა აქტუალური ჩანს. მაშინ, როდესაც მთელს ქართველურში ლექსიკურად, საგანგებო სახელებით არის გამოხატული ცოცხალ არსებათა რეალური სქესი საყოველთაოდ ცნობილ კომპოზიტში: სვან. დი-მთილ (di-mtil-i)/მუ-მთილ (mu-mtil), მეგრ. დია-ნთილ-ი (diantil-i)/მუა-ნთილ-ი (mua-ntil-i), ქართ. დედა-მთილ-ი (deda-mtil-i)/მამა-მთილ-ი (mama-mtil-i), განსხვავებით ქართულ-მეგრულ-სვანურისაგან, მხოლოდ ლაზური ახერხებს გაარჩიოს სპეციალური წესით (-ე სუფიქსის წყალობით) მდედრობითი სქესი, შდრ. ლაზ. მთირ-ე (mtir-e) „დედამთილი“ მთირ-ი (mtir-i) „მამამთილი, სიმამრი“. როგორც ვხედავთ, დედისა (ნანა) და მამის (მუმა, ბაბა) დამატება/მოხმობა ლაზურისთვის არ არის რელევანტური, ვინაიდან აქ მდედრობითი სქესის გარჩევა დაეკისრა -ე სუფიქსს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სახელობითი ბრუნვის ორი ფორმატიდან (-ი, -ე) ერთის (ამ შემთხვევაში -ე-ს - მთირ-ე „დედამთილი“) დახმარებით გამოიხატა მდედრობითი სქესი და ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა მდედრობითი სქესის გარჩევისა ლაზურში. სხვაგან, ასევე სპეციალური -ისა სუფიქსით მორფოლოგიურადაა რეალიზებული მდედრობითი სქესი ლაზურში. მხედველობაში გვაქვს ხელშესახები მასალა (თანაც რამდენიმე). ასეთად მივიჩნევთ ნოქთერ-ისა (nokter-isa) /ნოქთე-ისა (nokte-isa) „ორი ცოლი ერთმანეთისათვის“ ალომორფებს ლაზურში. წარმოშობით ეს სიტყვა მიმდებარეობს, შდრ. ო-ქთირ-უ (o-ktir-u) „ცვლა“ ნო-ქთერ-ი (no-ktir-i) „ნაცვალი“. მის აშკარა ტიპოლოგიურ პარალელად მოსახმობია ქართ. ცვლ-ა (cvla) ნა-ცვალ-ი (na-cval-i). მაგრამ ლაზური არჩევს (ან ცდილობს გაარჩიოს) მდედრობით სქესს და ამიტომაც ენობრივი ქვესისტემა აქ გამოიყენებს ამ ფუნქციით უკვე დატვირთულ -ისა (-isa) სუფიქსს, რომელიც დაერთვის ნოქთერ-ი (no-ktir-i) „ნაცვალი“ მიმდებარეს და აწარმოებს კიდევ მდედრობითი სქესის ახალ ლექსიკურ ერთეულს; ანუ ნოქთერ-ისა (nokter-isa) სიტყვაში -ისა (-isa) არის სწორედ ის 104 Merab Chukhua and Nato Akhalaia Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 15, no. 1, 2021 გრამატიკული ერთეული, რომლის დართვის წყალობით ლაზურში მიიღწევა მდედრობითი სქესის მორფოლოგიური გარჩევა. სხვათა შორის, სემანტიკური გარჩევის მეტი კონკრეტიზაცია დამახასიათებელი ტენდენციაა ლაზურისათვის, რაც ამავე რიგის (ნათესაობის) ლექსიკაში ხელშესახები ჩანს, შდრ. ექსალე-ეფე (eksale-epe) „ძმების ცოლები ერთმანეთის მიმართ“, რისთვისაც დიფერენციაციის აუცილებლობა არ არის დამოწმებული (რეალიზებული) ქართულ-მეგრულ-სვანურში. მდედრობითი სქესის გარჩევის მსგავსი კორელაცია თვალსაჩინოა კიდევ ერთ ლექსიკურ წყვილში: ნოღამე/ნოღა (noyame/noya) „საქმრო, ნეფე, ქმარი“-ნოღამ-ისა (noyam-isa) „დედოფალი, საპატარძლო, საცოლე“. ეთნიკურ სახელებში -ისა (-isa) სუფიქსის მდედრობითი სქესის მარკერად გამოყენებას ფართო არეალი აქვს ლაზურში; როგორც ირკვევა, დღეს -ისა (-isa) საბოლოოდ ჩამოყალიბებული და მოქმედი სუფიქსია, რასაც საჩინოს ხდის ქვემოთ მოხმობილი შეპირისპირებები, რაც დასტურდება ცოცხალ ლაზურ მეტყველებაში: თურქ-ი (turk-i) „თურქი მამაკაცი“ ~ თურქ-ისა (turk-isa) „თურქი დედაკაცი; პატარძალი; საცოლე“. არაპ-ი (arap-i) „არაბი მამაკაცი“ ~ არაპ-ისა (arap-isa) „არაბი დედაკაცი; პატარძალი; საცოლე“. ჰემშინ-ი (hemšin-i) „ჰემშინი მამაკაცი“ - ჰემშინ-ისა (hemšin-isa) „ჰემშინი დედაკაცი; პატარძალი; საცოლე“. რუს-ი (rus-i) „რუსი მამაკაცი“ - რუს-ისა (rus-isa)

„რუსი დედაკაცი; პატარძალი; საცოლე“. სუმეხ-ი (sumex-i) „სომეხი მამაკაცი“ - სუმეხ-ისა (sumex-isa) „სომეხი დედაკაცი; პატარძალი; საცოლე“... აღსანიშნავია, რომ არტაშენის მეტყველებაში -ისა (-isa) სუფიქსი ერთვის წარმომავლობის -ურ სუფიქსსაც, შდრ.: „ვიწური ნუსა ორტუ, ჰიმუშენი ვიწურისა იტურტეა: (viuri nusa ortu), himuešni viuri sa iurṭej - ვიწელი რძალი იყო, მაგაზე ვიწურისას ამბობდნენ. ასევე არტაშენული მეტყველების მიხედვით გაირჩევა ექიმი მამაკაცი „დოხტურ-ი“ (doxtur-i) და ექიმი ქალი, რძალი – „დოხტურ-ისა“ (doxturisa). ლიტ. 13.

ავტ.

2.6.2.6.15. ასიმილაცია შავშურ დიალექტში. /მ. ფაღავა, მ. ბარამიძე/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 66-74. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.08>

შავშურს ვუწოდებთ ისტორიული შავშეთის მკვიდრთა მეტყველებას. საგულისხმოა, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხსენებული დიალექტის აღსანიშნავად გამოუყენებიათ ტერმინი იმერხეული კილო (ნ. მარი, ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, შ. ფუტყარაძე, ტ. ფუტყარაძე...), რამდენადაც მიიჩნევდნენ, რომ ქართული მეტყველება გადარჩენილია მხოლოდ იმერხევის ხეობაში გაშენებულ ოცამდე სოფელში. ტერმინი პირველად ნ. მარმა იხმარა, სხვებმა გაიმეორეს მისი მოსაზრება. ჩვენ შემოგვაქვს ტერმინი „შავშური კილო“ შემდეგი მოსაზრებით: ა. შავშეთი (დღევანდელი გაგებით) და იმერხევი ერთი ისტორიული ქართული ქვეყნის, შავშეთის ნაწილებია. ბ. ქართული მეტყველება ისმის არა მარტო იმერხევის ხეობაში გაშენებულ სოფლებში, არამედ მის გარეთაც: უსტამისში, ჩაქველთაში... გ. ქართული ლექსიკა დალექილია შავშთა თურქულ მეტყველებაში. დ. შავშეთის მთელს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ცოცხალია ქართული ტოპონიმია; ე. შავშურის ნაწილად, როგორც კილოკავს, განვიხილავთ მაჭახლურ მეტყველებასაც. ყველა დასახელებული მიზეზის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უმჯობესია გამოვიყენოთ ტერმინი შავშური კილო, რომელშიც არსებული მონაცემებით ორი კილოკავი შეიძლება გამოიყოს: იმერხეული და მაჭახლური. შავშური ქართული ენის მკვეთრად გამოხატული დიალექტია. ავტორები შავშეთის სოფლებში მოწყობილი ექსპედიციების გზით მოპოვებულ მრავალფეროვან მასალაზე დაყრდნობით მსჯელობენ ერთ ფონეტიკურ მოვლენაზე – ასიმილაციაზე შავშურში, განიხილავენ როგორც ხმოვანთასიმილაციის, ისე თანხმოვანთასიმილაციის შემთხვევებს, იკვეთება საყურადღებო ლინგვისტური სურათი, კერძოდ: ხმოვანთა ასიმილაცია: აე>ეე: დეეხვევა (<დაეხვევა), წეეედი (<წავეედი)... აი>ეი (>ეე): დეეწავლა (<დაისწავლა), დიმიწახე (<დამიწახე)... დიმივიწყდა (<დამავიწყდა), გემიგონია (გამიგონია)... ოი>ეი (>ეე): მეიკიდე (<მოიკიდე), მეიტანდა (<მოიტანდა), მემიტანა (<მომიტანა)... ოი>ეი>იი: მიმიწველია (<მემიწველია<მომიწველია)... აუ>ოუ>უუ: უუღებენ (<ოუღებენ<აუღებენ). ეუ>უუ: შუუჩივლია (<შეუჩივლია)... თანხმოვანთასიმილაცია: სღ>ზღ: ამეზღამ (შდრ. ამასღამ)...სჭ>შჭ: შჭამდა (<სჭამდა)... გყ>ქყ: ქყავდა (<გყავდა)... გც>ქც: მოქცემ (<მოგცემ)... ჩანს, შავშურში ჭარბობს რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები. ასიმილაციაში ხელშესახებად იკვეთება შავშურის ფონეტიკური თავისებურებანი. ლიტ. 11.

ავტ.

2.6.2.6.16. შემასმენელი გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ენაში („სამოსელი პირველის“ მიხედვით). /ე. ფილაშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 75-80. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.09>

განხილულია შემასმენელი გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ენაში („სამოსელი პირველის“ მიხედვით). ნაჩვენებია, რომ მწერლის ენაში ცალკე სამყაროს ქმნის იგი, მისი საშუალებით

კარგადაა გამოხატული პერსონაჟის სახე-ხასიათი, განწყობა, შინაგანი სამყარო. შემოქმედის თხზულებათა ენაში შემასმენელი აქტიურია, დინამიკურია. დინამიკური ზმნის გვერდით დადასტურებულია სტატიკური ზმნა - შემასმენელიც. მწერლისეული შემასმენელი ძალზედ ემოციურია, ემოცია ზოგჯერ დადებითია, ზოგჯერ – უარყოფითი. ემოციას ძლიერი ექსპრესიაც ახლავს, რაც მეტად გამომსახველობითს ხდის ტექსტს. დადებითი ემოციის გამოსახატავად გამოყენებულია შემდეგი შემასმენლები: კისკისებდა, ხითხითებდა, იღიმებოდა და სხვა, ხოლო უარყოფითი ემოციის გამოსახატავად გამოყენებულია: მოკვდა, დახოცა, იტირა, მოკლა... გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ენაში შემასმენლით გამოხატული მოქმედება ძირითადად თანამიმდევრულია, სწორედ შემასმენელთა თანამიმდევრული, ერთმანეთის მიყოლებით გამოყენება საშუალებას აძლევს მწერალს მოქმედება დაგვანახოს დინამიკაში, მოძრაობა, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, წარმოგვიდგინოს ეტაპობრივად. შემასმენელთა თავმოყრითა და მათი დინამიკაში წარმოდგენით მწერალი ქმნის მეტად საინტერესო მხატვრულ სახეს, მას შემასმენლები ძირითადად გამოუყენებია წარსულდროიანი ფორმებით: მოგლიჯა, დაიყარა, შეხედა, გაიარ-გამოიარა, ეფარებოდა, ჩაიღიმა, აადგაფუნა, იცინოდა... მათ გვერდით, ძირითადად პერსონაჟთა მეტყველების დროს, მცირე რაოდენობით დადასტურდა ახლანდელი (ვიცი, იცით, ხედავ, შემიკარი, გრცხვენია) და მომავალდროიანი (მრცხვენოდეს, გამოიყენებოდეს, ჰკითხეთ, უკბენს) შემასმენლები. თვალში საცემია პირნაკლ შემასმენელთა თავისებური გამოყენება: „წვიმს“, „გაწვიმდა“, „თოვდა“. დებულება, რომ „ცალკე აღებული შემასმენელი წინადადებაა ქართულში“ ნათლად იგრძნობა გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ენაში: „მოგიტანე!“, „დალიე“, „ჭამე“, „შენია“, „მშია“, „მინავს“ „დაიცა“ და სხვა. აღნიშნული ფორმები, რომელიც ძირითადად დიალოგებში დასტურდება, დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს ქმნის მწერალთან. გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ენაში ლექსიკურ ნიუანსებსა თუ ადამიანთა, ფრინველთა და ცხოველთა ქცევის დამახასიათებელ ლექსემებს არაჩვეულებრივად აქვს შეხამებული შესაბამისი შემასმენლები: „ბავშვი მიგმიგებდა“; „ცხენები აჭიხვინდნენ“; „ძაღვები ყეფდნენ“; „ძაღლი წკავწკავებდა“; „ბლაოდა საქონელი“; „ლომი გრგვინავს“. ზოგჯერ მწერლისეული სიტყვათხელოვნება სტილიზებულია, შემასმენელი მეტაფორამდეა აყვანილი: „გამოგაზაფხულდა“; „გუბები ახამხამდებოდნენ შარავნაზე“. გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ენისათვის დამახასიათებელი შემასმენელთა სიუხვე ძირითადად მწერლის ენის ექსპრესიისა და გამომსახველობითი ძალის გამოვლინებაა. შემასმენელთა თავისებური გამოყენება მწერლის სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. სწორედ ეს ყოველივე ქმნის შემოქმედის სიტყვას უაღრესად საინტერესოსა და მრავალფეროვანს. ლიტ. 8.

ავტ.

2.6.2.6.17. მამრობითი სქესის ვერბალური და არავერბალური დისკურსი ანიაშვილი ფილმებში. /მ. ღარიბაშვილი, შ. ლაზიაშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 88-95. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.11>

გენდერულ დისკურსზე (ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია) დაკვირვება სხვადასხვა სამეცნიერო კვლევის მთავარი საზრუნავია. ვერბალური კომუნიკაცია ემსახურება საკუთარი შეხედულებების, ინფორმაციისა და იდეების გამოხატვას ბერისა და სიტყვების სახით. სალაპარაკო ენა მოიცავს პირისპირ კომუნიკაციას, ხოლო არავერბალური კომუნიკაცია (ასევე ცნობილია, როგორც ჩუმი ენა) არის შეტყობინებების გადაცემა თვალის კონტაქტის, სახის გამონათქვამების, ჟესტებისა და სივრცითი ურთიერთობის გამომგზავნისა და მიმღებს შორის შეტყობინების გადასაცემად. ბოლოდროინდელი კვლევების საფუძველზე დასტურდება, რომ ქალისა და მამაკაცის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ნიმუშები საკმაოდ

განსხვავებულია (Eagly & Johnson, 1990; Kring & Gordon, 1998). ნაშრომის მიზანია დადგინდეს მამრობითი სქესის ანიმაციური გმირების მეტყველება (ვერბალური და არავერბალური) ორი ანიმაციური ფილმის საფუძველზე (ამერიკული ანიმაციური ფილმი – „დიდი დეტექტივი თავგი“ და ქართული ანიმაციური ფილმი – „წუნა და წრუწუნა“). კვლევის დროს გამოყენებულია დაკვირვებისა და თვისებრივი კვლევის მეთოდები, ასევე ტიპოლოგიური ანალიზი. შესაბამისად, კვლევისთვის შერჩეულია ორი ანიმაციური ფილმი (ამერიკული ანიმაციური ფილმი – „დიდი დეტექტივი თავგი“ და ქართული ანიმაციური ფილმი – „წუნა და წრუწუნა“), სადაც მთავარ მოქმედ გმირებად გვევლინებიან თავგები და ვირთხები. დაკვირვებაზე დაფუძნებულმა კვლევამ გამოავლინა ის ფაქტი, რომ ანიმაციური ფილმების გმირები მოქმედებენ ისევე, როგორც მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლები სხვადასხვა სიტუაციებში. ფილმის გმირებზე დაკვირვება გულისხმობს ვერბალური და არავერბალური დისკურსის ღრმა სოციალურ და ენობრივ ანალიზს, რაც გამოიხატება მათ ქმედებებსა და ურთიერთდამოკიდებულებაში. სურ. 3, ლიტ. 8.

ავტ.

2.6.2.6.18. აკა მორჩილადის „ობოლეს“ ზოგიერთი ენობრივ-სტილისტიკური ასპექტი. /შ. წიგნაძე/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 104-108. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.13>

აკა მორჩილადე ნაწარმოებში აღწერს ბევრისათვის კარგად ნაცნობ ისტორიულ ამბავს და მას თავისი შემოქმედებითი ხიბლით გადმოგვცემს. ვკითხულობთ „ობოლეს“ და ჩვენ თვალწინ ცოცხლდება წარსული, წარსული, სადაც დროსა და სივრცეში მოგზაურობის არნახულ შესაძლებლობასთან ერთად, გვიჩვენებს შეგრძნებების არნახულ ხიბლს, რომელიც წარმოსახვაში გაჩენილ სახეებს დაუვიწყრად აქცევს. ავტორს აქვს საოცარი გადმოცემის სტილი, რომლის საშუალებითაც ახერხებს მივიდეს მკითხველის გულამდე და მასში გადმოცემული მოვლენისადმი ინტერესი აღძრას. აკა მორჩილადე თავის ნაწარმოებებში ხშირად იყენებს დიალექტურ ლექსიკას. დიალექტურ ლექსიკასთან მიმართებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მწერალი ერთ ნაწარმოებში ერთ კონკრეტულ დიალექტს კი არ იყენებს, არამედ იგი გვთავაზობს სხვადასხვა დიალექტს შერეულად, რასაც ვერ ვიტყვით „ობოლეს“ შემთხვევაში. აქ ავტორი უპირატესობას ანიჭებს ლეჩხუმურ დიალექტს, ნაწარმოებში გამოყენებული დიალექტური ფორმების უმეტესობა წარმოდგენილია სწორედ ლეჩხუმური დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმით. ნაწარმოებში ვხვდებით დიალექტებისათვის დამახასიათებელ ისეთ ფონეტიკურ პროცესებს, როგორიცაა ასიმილაცია. ასიმილაციურ ცვლილებას განიცდიან აი, ოი→ეი, აუ→ოუ, ეუ→ოუ ხმოვნები: გეიხარა, შოუშვა, ჩოურბინე, ჩოუჯექი და ა.შ. ნაწარმოებში დადასტურდა: ბგერის გადასმა: ნავხე; ბგერის განვითარება/გაჩენა: ჩნდება ვ ბგერა ო-ს წინ – ვორი, ვორვე, ვორსართულიანი სახლები, ოთხი ტრუბა, ორი გაჭრა... ვორ-ვორი ხვოსტიკი ხომ უნდა. ვხვდებით ბოლოკიდური თანხმოვნის ჩამოცილებას/დაკარგვას. ხშირად გვხვდება ქვეწყობილი წინადადება, სადაც რომ კავშირის ნაცვლად გვხვდება რო. ხშირად და ზმნისწინის მაგივრად მწერალი იყენებს ჩა, მი ზმნისწინებს. აკა მორჩილადესთან ხშირად სახელი ნაწარმოებია კნინობითი ფორმის მწარმოებლების დართვით, რაც ერთგვარად დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს გარკვეული დიალექტებისათვის. კონკრეტულად ა-ს მაგივრად გვხვდება -ე, რომელიც რთულდება და წინ უჩნდება -ი, -იკ, -იკ-ი, -იკ-ელ, -იკ-ო სუფიქსები. აკა მორჩილადის ნაწარმოებში „ობოლე“ ხშირად ვხვდებით ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან აღებულ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, როგორებიცაა ჟარგონები და ბარბარიზმები. მათი გამოყენებით მწერალი ტექსტს სძენს დამატებით სემანტიკურ თუ

სტილისტურ იერს, აძლიერებს ექსპრესიას. ამგვარი საშუალებების გამოყენებით სათქმელი იძენს ირონიის, ხუმრობის ელფერს. ლიტ. 3.

ავტ.

2.6.2.6.19. მიჩემებითობის გამოხატვა სხვადასხვა სისტემის ენებში (ზმნის ქცევა ანუ ვერსია - მორფოლოგიური კატეგორია თუ მიმართულება). /ნ. ჩარკვიანი, ი. რუსაძე, ს. ყიფიანი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 61-66. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია ერთ-ერთი ენობრივი მოვლენა „ვერსია“ სხვადასხვა სისტემის ენებში. „ვერსია“ (ქართულად ქცევა) დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ზმნის ტრადიციულ კატეგორიად. მისი ფუნქცია ერკენებინა ზმნის მოქმედების კუთვნილება წინადადების წევრებს შორის ინგლისურში გადმოიცემა ანალიტიკური ფორმებით, დამატებითი სიტყვების მეშვეობით, ხოლო ქართულში ზმნების პრეფიქსებით (სინთეზურად). ასე რომ ნაშრომი წარმოგვიდგენს „ვერსიას“ სხვადასხვანაირად. ორივე ენაში შესაბამისი მაგალითების მეშვეობით. გარდა ამისა, სტატია განიხილავს სადავო საკითხს იმის თაობაზე ეს ენობრივი მოვლენა წარმოადგენს თუ არა ზმნის გრამატიკულ კატეგორიას, თუ იგი უბრალოდ მოქმედების კუთვნილების მაჩვენებელია. ეს ვარაუდი იმ ფაქტიდან მომდინარეობს, რომ სწორედ ის პრეფიქსები ქართული ზმნისა და დამატებითი სიტყვები ინგლისურში, რომლებიც „ვერსიას“ გადმოსცემენ გამოიყენება სხვა კატეგორიის აღმნიშვნელად შესატყვისს ენაში. ეს კი იწვევს დაბნეულობას ენის შემსწავლელთა წრეებში და ენის მკვლევარებშიც კი. ზემოთ აღნიშნულ სიტუაციას და ლინგვისტთა შეხედულებებს მივყავართ იმ აზრამდე, რომ „ვერსიის“ კვალიფიცირება გრამატიკულ კატეგორიად ძალიან გაგვიჭირდება. ლიტ. 8.

ავტ.

2.6.2.6.20. სატელევიზიო ტექსტის სახეობის კონტრასტული ანალიზის შესახებ. /რ. სვანიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #25. – გვ. 57-60. – გერმ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გერმანული და ქართული სატელევიზიო ტექსტის სახეობის ამინდის პროგნოზის კონტრასტული კვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი მსგავსებები და განსხვავებები: ბევრი მედიალინგვისტური ასპექტი მსგავსებით გამოირჩევა. წინადადების ტიპებთან მიმართებაში შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა: ამინდის სატელევიზიო პროგნოზებში უმეტესწილად რთული თანწყობილი წინადადებები გვხვდება. მეორე ადგილზეა ქვეწყობილი წინადადებები, რომელთაც მოსდევს მარტივი წინადადებები და ელიფსები. გერმანელი მოდერატორები უმეტესწილად ზეპირმეტყველების სტილს მიმართავენ. ამას მოწმობს შემოკლებები, სასაუბრო და რეგიონალური გამონათქვამები, წინადადების ჩარჩოს რღვევა, ჩვენებითი ნაცვალსახელები და მოდალური ნაწილაკები. ეს მიუთითებს, რომ გერმანელი წამყვანები ნაკლებად არიან კონცენტრირებული ტელეპროგრამების სკრიპტზე. ისინი წარადგენენ როგორც აქტუალურ ტემპერატურას, ასევე მომავალი დღეების ამინდის პროგნოზს. მეტყველების სისწრაფესთან დაკავშირებით უნდა გამოვყოთ, რომ გერმანელი წამყვანები თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად საუბრობენ, ვიდრე ქართველები. როგორც გერმანელი, ასევე ქართველი მოდერატორები მუდამ კარგ განწყობას ასხივებენ. დილის წამყვანების ჩაცმულობა ღამის წამყვანებთან შედარებით უფრო არაოფიციალურია. ლიტ. 6.

ავტ.

2.6.2.6.21. მიღმიერი სამყაროს ენობრივი სურათი ჯონ ფაულზის „ებანოზის კოშკის“ მიხედვით. /ნ. ძამუკაშვილი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 80-86. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში წარმოდგენილია „ტექსტი ტექსტში“-ის ენობრივი მოცემულობების კვლევა. იმ ლინგვისტური მახასიათებლების გამოვლენა, რასაც მწერალი ჯონ ფაულზი იყენებს ამ მიმდინარე, უხილავი სამყაროს აღწერისთვის. მივიღეთ საინტერესო, მრავალფეროვანი ენობრივი მასალა, რომლითაც გადმოცემულია ტრანსცენდენტალური სამყარო ნოველაში. ეს მეტად მნიშვნელოვანი ენობრივი მოტივია, ვინაიდან სწორედ ეს ხაზი აძლევს ნაწარმოებს მის უნიკალურ ჟღერადობას და დატვირთვას. ლიტ. 9.

ავტ.

2.6.2.6.22. წმინდა ამონას ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანის მნიშვნელობა და თავისებურებანი. /ქ. მამასახლისი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2022. – ტ. 16. – #1. – გვ. 105-110. – ინგლ.; რუხ.: ქართ., ინგლ.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, თბილისი, საქართველო (წარმოდგენილია აკადემიის წევრის ა. არაბულის მიერ) მონასტრული ცხოვრების წიაღში შექმნილი წმინდა ამონას ზნეობრივი დარიგებანი სულიერ სამწყსოსთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილების შედეგია. წმ. ამონას ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ქართულ ენაზე შემოგვრჩა 16 ეპისტოლე, რომლებიც დაცულია რამდენიმე ხელნაწერში: Sin. 35 (907 წ.), Sin. 25 (X ს.), Sin. Geo. N. 13 (X ს.). X საუკუნის სინურ ხელნაწერებში დაცული ეს ეპისტოლეები წინაათონურ ეპოქას განეკუთვნება. აღნიშნულ ნუსხათაგან Sin. 35 თარიღიანია. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, იგი ყველაზე ძველი ხელნაწერია და, ამავე დროს, ყველაზე სრულყოფილად შეიცავს ამონას 16-ვე ეპისტოლეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის არის წყარო Sin. 25 ნუსხისა (X ს.), რომელშიც ამონას მხოლოდ ოთხი ეპისტოლეა წარმოდგენილი. ანდა ორივე მათგანი ერთი და იმავე ხელნაწერიდან არის გადაწერილი. იგივე შეიძლება ვიფიქროთ Sin. 13 ეტრატზეც (X ს.), რომელიც პალიმფსესტია. Sin. 35, Sin. 25 და Sin. 13 ნუსხები ათონური და იერუსალიმური ხელნაწერებისგან მნიშვნელოვნად სხვაობს, რადგან ისინი გაცილებით ადრეა შექმნილი და მათ, შესაძლოა, ქართული ლიტერატურის დასაბამთან მიგვიყვანონ; Sin. 35-ის შექმნის არეალად საბაწმინდის მონასტერია მიჩნეული, ხოლო დანარჩენი ორისინის მთაზე უნდა გადაწერილიყო. იქიდან გამომდინარე, რომ Sin. 25 ნუსხაში წარმოდგენილია მხოლოდ ოთხი ეპისტოლე, გვაგვარაუდებინებს შემდეგს: სავსებით შესაძლებელია, აღნიშნული ნუსხის სახით საქმე გვაქვს ამონას ეპისტოლეთა ე.წ. კვინობიტურ რედაქციასთან, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა მონასტრული ცხოვრების ყოველდღიურ ყოფაში. ჩვენ არ ვიცით ამონას ეპისტოლეთა ქართველი მთარგმნელი, მაგრამ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ დასახელებული ნუსხები ერთმანეთის ვარიანტებია და ტექსტობრივი თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად სხვაობენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სავარაუდოა, რომ Sin. 25 და Sin. 13 მომდინარეობს Sin. 35-დან, ანდა ერთი და იმავე დედნიდან. ამ მოსაზრებას გვიმტკიცებს მათი ურთიერთშედარების შედეგად გამოტანილი დასკვნები: სამივე ნუსხა გადაწერილი უნდა იყოს ერთი და იმავე დედნიდან, რომელიც დაწერილი უნდა ყოფილიყო ასომთავრულით. ლიტ. 6.

ავტ.

2.6.2.6.23. ანთროპონიმთა სემანტიკური თეორიების საკითხისათვის. /ნ. კვირიკაძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 23-30. – ქართ.; რუხ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია ანთროპონიმების სემანტიკური თეორიები და კვლევის ისტორია, ანთროპონიმების სინტაქსური მახასიათებლები, ანთროპონიმთა სემანტიკასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, ანთროპონიმის განსაზღვრულ და განუსაზღვრელ არტიკლთან პირველადი და მეორადი გამოყენების თავისებურებები. რაც შეეხება კვლევის ტრადიციას, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ენათმეცნიერული მოსაზრებები და კონცეფციები, რომლებიც თეორიების სახით ჩამოყალიბდა. კერძოდ,

სახელდების თეორია, ანთროპონიმთა დესკრიპციული თეორია და ანთროპონიმთა მეტალინგვისტური თეორია. მათი შესწავლის საგანს წარმოადგენს ანთროპონიმთა ლექსიკურ-აღწერითი მნიშვნელობა, ძირითადი რეფერენცია, კონტექსტზე დამოკიდებულება, ინფორმაციულ-კოგნიტიური შინაარსი, საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა კონვენცია (ურთიერთშეთანხმება). ლიტ. 11.

ავტ.

2.6.2.6.24. ინტერსუბიექტურობის პრინციპი მხატვრულ თარგმანში. /თ. მარდალეიშვილი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 31-37. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომის მიზანია, განისაზღვროს მხატვრული თარგმანი, როგორც დისკურსის სრულიად განსაკუთრებული ტიპი და განვსაზღვროთ ინტერსუბიექტურობის, როგორც ზოგადდისკურსული პრინციპის, ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც უკავშირდება მთარგმნელის როლსა და მნიშვნელობას („მთარგმნელის ხატს“) მხატვრული თარგმანის ფარგლებში. მხატვრული თარგმანის შემოქმედებითი გაგება გამოხატული უნდა იქნეს ორი ისეთი კონცეპტის შინაგანი ერთიანობით, როგორიცაა, ერთი მხრივ, „მთარგმნელის ხატი“, მეორე მხრივ კი, ამ ხატის ისეთი არსებითი გამოვლენა, როგორიცაა მისი სტილი. მთარგმნელობითი სტილი ემსახურება სწორედ „მთარგმნელის ხატის“ გამოვლენას. მთელი ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად ვიღებთ რა ინტერდისციპლინარულობას, აუცილებლად მიგვაჩნია უფრო კონკრეტულად, ანუ უფრო მეტი კონცეპტუალური სიზუსტით, დავასახელოთ და განვსაზღვროთ მხატვრულ თარგმანთან, როგორც დისკურსულ ფენომენთან, დაკავშირებული კვლევითი მომენტები - „მთარგმნელის ხატი“ და მთარგმნელობითი სტილი. იქედან გამომდინარე, რომ სწორედ დისკურსის ფენომენს (და, შესაბამისად დისკურსის კონცეპტს) ვანიჭებთ ფუძემდებელ როლს მხატვრული თარგმანისა და, შესაბამისად, მთარგმნელობითი სტილის კვლევის კონტექსტში, აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ იმ პრინციპს, რომელსაც ექვემდებარება დისკურსი. ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, ინტერსუბიექტურობის პრინციპს, რომელიც განიმარტება როგორც ადრესანტსა და ადრესატს შორის არსებული კომუნიკაციური მიმართება. ამ შემთხვევაში ვეყრდნობით ი. ლევის მიერ შემოთავაზებულ ინტერსუბიექტურობის, როგორც ზოგადდისკურსული პრინციპის, ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც უკავშირდება მთარგმნელის როლსა და მნიშვნელობას („მთარგმნელის ხატს“) მხატვრული თარგმანის ფარგლებში. მხატვრული თარგმანი ის ფენომენია, რომელიც დისკურსის სხვა ტიპებისაგან განსხვავებით ხასიათდება ინტერსუბიექტურობის პრინციპის რეალიზაციის შემდეგი თავისებურებით: მის ფარგლებში მთარგმნელი ასრულებს „შუამავლის“ როლს „ავტორსა“ და „მკითხველს“ შორის, ანუ ადრესანტსა და ადრესატს შორის, ე.ი. თვითონვე ითავსებს ჯერ ადრესატის, შემდეგ კი ადრესანტის როლს. დავასკვნით, რომ ა) მხატვრული თარგმანი განსხვავდება თარგმანის სხვა ტიპებისაგან მისი შემოქმედებითი ხასიათით; ბ) იქიდან გამომდინარე, რომ შემოქმედებითი აქტი გულისხმობს შემოქმედის ინდივიდუალურ სტილს, მხატვრული თარგმანიც ხასიათდება მთარგმნელის ინდივიდუალური შემოქმედებითი სტილით; გ) აუცილებელი გახდა მთარგმნელობითი სტილის, როგორც კონცეპტის, დაკავშირება „მთარგმნელის ხატის“ კონცეპტთან; დ) მხატვრული თარგმანი დისკურსის სხვა ტიპებისგან განსხვავებით ხასიათდება ინტერსუბიექტურობის პრინციპის რეალიზაციის შემდეგი თავისებურებით: მის ფარგლებში მთარგმნელი ერთდროულად ასრულებს როგორც ადრესატის, ასევე ადრესანტის როლს. ლიტ.

4.

ავტ.

2.6.2.6.25. დერივანტების შესახებ. /თ. მახარობლიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2021. – #26. – გვ. 38-43. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საკითხი დერივანტების შესახებ არაერთხელ წამოჭრილა ენის გრამატიკისა და ზოგადი ენათმეცნიერების სწავლების დროს. ეს გარემოება გახდა საფუძველი ამ მოკლე სტატიის შესაქმნელად. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიტყვა შეიძლება იყოს ფორმაცვალებადი ან ფორმაუცვლელი და ეს მოცემულობა მეტყველების ნაწილების მიხედვით განისაზღვრება. ფორმაცვალებადი სიტყვები შეიძლება განიცდიდეს ორი ტიპის ცვლილებას: ფლექსიურსა და დერივაციულს. ფლექსიური ცვლილების დროს იცვლება სიტყვის ფორმა, მაგრამ არ იცვლება სიტყვის ლექსიკური და სემანტიკური მხარეები, ანუ არ იცვლება მისი აზრობრივი და შინაარსობრივი მოცემულობები. ამ ტიპის ცვლილების კლასიკური მაგალითია ბრუნება. დერივაციის განსაზღვრება მარიამ ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით ასეთია: დერივაცია არის სიტყვის ფორმირება სხვა სიტყვისგან ან ძირისგან არაფლექსიური აფიქსებით [Webster access 09.09.2021]. ეს არის საკმაოდ ამომწურავი განსაზღვრება. თავის მხრივ, დერივაცია ორი ტიპის შეიძლება იყოს. პირველი არის ლექსიკური დერივაცია, რომლის დროსაც დერივანტი აფიქსი აწარმოებს განსხვავებული ლექსიკური შინაარსის მქონე სიტყვას. ნაწარმოები ფორმა შეიძლება იყოს სხვა მეტყველების ნაწილი ან იგივე, მაგრამ სხვა ლექსიკური შინაარსის მქონე ერთეული. მეორე ტიპის დერივაცია არის, უპირველეს ყოვლისა, გრამატიკული დერივაცია, როდესაც გრამატიკული კატეგორიები იწარმოება. გრამატიკული კატეგორია ზოგადად (და საერთოდ სიტყვაფორმა) მოიცავს ფორმისა (მორფოლოგიური) და აზრობრივი (სემანტიკური) მხარეების ერთიანობას. ამიტომ აქ უპრიანია ტერმინი მორფოსემანტიკა. არ არსებობს ცალკე აღებული სემანტიკა მორფოლოგიის გარეშე. ნებისმიერი სემანტიკურ-აზრობრივი კატეგორია კონკრეტული ფორმით უნდა იყოს გადმოცემული, ამიტომაც მხოლოდ კონკრეტულ ფორმას აქვს კონკრეტული მორფოსემანტიკა, რომლის მაწარმოებლებიც გრამატიკული დერივანტებია. ძირითადი სხვაობა ზემოთ აღნიშნული ორი ტიპის დერივაციას შორის (და შესაბამისად, ორი ტიპის დერივანტთა შორის) არის ენის იერარქიის დონეებზე. პირველი ტიპის აფიქსები მუშაობს ენის ლექსიკურ დონეზე, ხოლო მეორე ტიპის დერივანტები აწარმოებენ ფორმებს მორფოლოგიურ და სემანტიკურ დონეებზე. უფრო ზუსტი განსაზღვრებით, მეორე ტიპის დერივანტები დონეთაშორისი აფიქსებია, რადგანაც აქ ხდება გადაკვეთა ენის იერარქიის მორფოლოგიური და სემანტიკური დონეებისა. ნებისმიერი გრამატიკული კატეგორია მოიცავს კონკრეტულ მორფო-სემანტიკურ საოპოზიციო ფორმებს. ამდენად, ფლექსიური აფიქსებისგან განსხვავებით, დანარჩენი მორფოლოგიური აფიქსები ყველა მეორე ტიპის დონეთაშორისი დერივანტებია. არის შემთხვევები, როდესაც ფლექსიური აფიქსი გამოდის პირველი ტიპის აფიქსის როლში (მაგრამ არა მეორე ტიპის აფიქსის როლში). აღსანიშნავია, რომ ზმნისწინი ქართველურ ენებში არის ერთადერთი ლინგვისტური ერთეული აფიქსის ყველა შესაძლო ფუნქციით. ლიტ. 7.

ავტ.

2.6.2.6.26. კორონაპანდემია, როგორც ენის ლექსიკის გამდიდრების წყარო (გერმანული ენის მაგალითზე). /ც. მოდებაძე/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 61-65. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ. DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.07>

კორონაპანდემიამ გავლენა იქონია არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობაზე, არამედ ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, ყოველდღიურ ცხოვრებასა და მათ შორის ენაზეც. ენა ცოცხალი ორგანიზმია, ის იზადება, იზრდება და ვითარდება განუწყვეტლივ, მათ შორის კრიზისის პერიოდშიც. ენაში აისახება ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება. კორონაპანდემიამ გავლენა მოახდინა ყველა ენაზე და მათ შორის გერმანულზეც. შეიქმნა ახალი სიტყვები, რომლებიც თავმოყრილია სპეციალურ ციფრულ ე.წ. კორონალექსიკონებში. ჩვენი კვლევის მიზანია

დავადგინოთ, რა გავლენა მოახდინა კორონაპანდემიამ გერმანული ენის ლექსიკაზე. კვლევის ობიექტია კორონაპანდემიის პერიოდში შექმნილი ციფრული კორონალექსიკონები. სიტყვა „Coronavirus“ – კორონავირუსი გერმანულ ენაში ჯერ კიდევ 1984 წელს შემოვიდა (AIDS-შიდსის კვლევის კონტექსტში) და არა 2020 წელს. კორონაპანდემიამ შეცვალა გერმანული ენის სიტყვათმარაგი. 2020 წელს გერმანული ენის ლექსიკაზე არცერთ მოვლენას ისეთი გავლენა არ მოუხდენია, როგორც კორონავირუსის. Corona და Covid გახდა საჯარო კომუნიკაციის წამყვანი სიტყვები. წლის სიტყვად იქცა Coronapandemie – კორონაპანდემია. გერმანული ენა გამოირჩევა კომპოზიტების სიუხვით. კორონაპანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა კომპოზიტების რიცხვი. გამოიკვეთა რამდენიმე სტრუქტურა. განსაკუთრებით ხშირია ორკომპონენტის: (არსებითი სახელი+არსებითი სახელი) Coronageneretion – კორონას თაობა და სამკომპონენტის კომპოზიტები: (არსებითი სახელი+არსებითი სახელი+არსებითი სახელი) Coronaviruspandemie – კორონავირუსპანდემია. შეზღუდვების შემოღებამ წარმოშვა ნეოლოგიზმები: Zoomschule – ზუმის სკოლა. კორონაპანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა გერმანული ენის სიტყვათმარაგზე. მოკლე დროის მანძილზე გერმანული ენა გამდიდრდა პანდემიასთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი ლექსიკით. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სიტყვებს, ყველას არ უწერია ენაში დამკვიდრება. მაგალითად, Heimarbeit – სახლში მუშაობას აქვს მეტი შანსი ენაში დარჩენის, ვიდრე ვირტუალურ წვეულებას (Coronaparty), რადგან სახლში მუშაობა ზოგიერთი კომპანიისთვის უფრო მომგებიანი აღმოჩნდა, რადგან ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს და შესაძლებელია პანდემიის შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდეს, ვირტუალური წვეულება კი როგორც კი კორონაპანდემია დამთავრდება, მაშინვე წარსულს ჩაბარდება. ლიტ. 4.

ავტ.

6.3. ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია

6.3.1. ფილოსოფია, მეცნიერების და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია

2.6.3.1.1. ფილოსოფიის არსისა და მნიშვნელობის შესახებ (კ. იასპერსის „ფილოსოფიის შესავალი“-ს მიხედვით). /ხ. ამაღლობელი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 166-171. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

კარლ იასპერსი გერმანელი ფსიქიატრი და ფილოსოფოსი, ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ავტორი თავის ნაშრომში „ფილოსოფიის შესავალი“ ეხება ფილოსოფიის ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიცაა კავშირი მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის, საზღვრული სიტუაციები და უპირობო მოთხოვნა, კომუნიკაცია და პიროვნების პასუხისმგებლობა, რწმენა და განმანათლებლობა, ცხოვრების ფილოსოფიური წესი და სხვა. საკითხი ფილოსოფიის რაობის შესახებ საუკუნეების განმავლობაში კამათის საგანს წარმოადგენდა მათთვის, ვინც თვლიდა, რომ ფილოსოფია „მეოცნებეთა უსარგებლო ნაზავია“ (მისი სიმარტივისა და ყველასათვის გასაგები მიზეზის გამო) და მათთვისაც, იმ გამორჩეული ადამიანებისთვისაც, ვინც ფილოსოფიით დაინტერესებას (უკვე მისი სირთულის გამო) სრულიად უიმედო საქმედ წარმოაჩენდა. ფილოსოფია, მთელი მისი განვითარების მანძილზე, ამ ორ რადიკალურად განსხვავებულ მიდგომათა მიჯნაზე ვითარდებოდა და სწორედ, აქედან გამომდინარე, ქმნიდა სივრცეს, სადაც ცნობისმოყვარე ადამიანს სიცოცხლისა და სამყაროს რაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხის ძიების შესაძლებლობას სთავაზობდა. იასპერსის აზრით, ფილოსოფია ჩნდება იქ, სადაც „ადამიანი იღვიძებს“. ეს კი ნიშნავს, რომ ფილოსოფიას საქმე აქვს არა მხოლოდ „ყოფიერებასთან მთლიანად, რომელიც ეხება ადამიანს, როგორც ადამიანს“, არამედ ჭეშმარიტებასთან, რომელთანაც ზიარება ადამიანური ყოფიერების

მადეტერმინირებელია და რომელიც (ჭეშმარიტება) „სადაც კი ამოფეთქავს, უფრო ღრმად გვითრევს, ვიდრე ნებისმიერი მეცნიერული ცოდნა“. ლიტ. 6.

ავტ.

2.6.3.1.2. ლოკუს კონტროლი. /მ. გვილავა/. ჟურნალი განათლება. – 2020. – #1(28). – გვ. 179-183. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ლოკუს კონტროლი ერთ-ერთი ბაზისური პიროვნული მახასიათებელია, რომელიც გავლენას ახდენს თუ ვის თვლის ადამიანი პასუხისმგებლად, მის გარშემო მიმდინარე კარგი თუ ცუდი მოვლენების მიმართ. ადამიანის მიერ საკუთარი შესაძლებლობების შეფასება შეიძლება არაზუსტი იყოს. არსებობს კონტროლის შეცდომით წარმართვის რამდენიმე მიზეზი. კონტროლისკენ სწრაფვა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი – საკუთარი ცხოვრების მართვის უნარი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური და ბიოლოგიური რეალობისაგან ინდივიდის დამოუკიდებლობის დონეს. ხანდახან კონტროლის შეგრძნების შესანარჩუნებლად საკმარისია ინდივიდმა გააცნობიეროს მოვლენების წინასწარ განჭვრეტის უნარი, რაც პრინციპში უკვე არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც მასზე კონტროლი. მცდარია კონტროლის აღქმა, როგორც შესაძლო საშიშროების წინასწარგანჭვრეტის უნარის, და ასევე, საშიშროების მომეტებული მოლოდინის ფორმირება საკუთარი ქმედებების ეფექტურობასთან დაკავშირებით. შედეგად, ადამიანი აღმოჩნდება სტრესული სიტუაციისთვის მოუმზადებელი ან განიცდის საკუთარ შესაძლებლობებთან მიმართ ღრმა იმედგაცრუებას. საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც სასურველი შედეგი შეიძლება მიღწეულ იქნეს აქტიური ქმედებების ხარჯზე, მნიშვნელოვანი ქმედებების ხარჯზე. იმ შემთხვევებში, სადაც შედეგი არ განისაზღვრება ადამიანის მოქცევით, აღქმადი კონტროლი არასასურველია. ლიტ. 4.

ავტ.

6.3.3. თეოლოგია

2.6.3.3.1. აფხაზური დიდი ოჯახისა და საოჯახო ყოფის საკითხები. /ს. ბახია-ოქრუაშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 57-70. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

დიდი ოჯახი, როგორც გარკვეული ისტორიული კატეგორია პატრიარქალური საოჯახო თემის რღვევის შედეგად ჩამოყალიბდა. მისი სტრუქტურა საქორწინო წყვილთა და სისხლით ნათესაური 4-5 და ზოგჯერ (ძველად) მეტი თაობის ადამიანთა კავშირ-ურთიერთობას ქმნიდა. დიდი ოჯახის შესწავლა აფხაზთა ეთნოგენეზის, საზოგადოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული განვითარების შესწავლას უწყობს ხელს. ეს ერთიანი მეურნეობრივი კოლექტივი, კიდევ უფრო ძლიერად იდეოლოგიური ერთობით იყო დაკავშირებული. ეკონომიკური და მეურნეობრივი ურთიერთობა ოჯახის წევრთა სოციალურ უფლებამოვალეობათა და ვალდებულებათა ჩვევებს განსაზღვრავდა. ეს ოჯახი კოლექტიური შრომითა და შრომის პროდუქტების თანაბარი განაწილებით ხასიათდებოდა. მეურნეობრივ საქმიანობაში ოჯახის ყველა წევრი იყო ჩართული. მმართველობის სისტემაში, საქმიანობის განაწილებაში, ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში ყურადღება ადამიანის სქესსა და ასაკს ექცეოდა. ოჯახის წევრებს შორის ყველაზე დიდი ავტორიტეტით, პატივისცემითა და უფლებებით ასაკით უზუცესი მამაკაცი სარგებლობდა. იგი იყო ოჯახის საკუთრების მთავარი სუბიექტი და შრომითი საქმიანობის გამანაწილებელი. ოჯახში საქალებო საქმეებს უზუცესი ქალი – დიდი დედა მეთაურობდა. საკუჭნაოს გასაღები, რომელშიც წლიური სარჩო ინახებოდა, მას ებარა. სიბერის ან გონებრივი შესაძლებლობების სისუსტის შედეგად მათ ოჯახის ხნით მომდევნო

მამაკაცები (უფროსი ვაჟი) და ქალი (უფროსი რძალი) ცვლიდა. ოჯახის სათათბიროში ქალები მონაწილეობას არ იღებდნენ. საზოგადოებისა და ოჯახში სოციალურ-ეკონომიკურმა პროგრესმა, ოჯახის წევრებს საკუთარი, ინდივიდუალური შრომითი კერძო საკუთრება შეუქმნა, რამაც დიდ ოჯახს დიფერენციალურ უზიშვამა. დიდი ოჯახი ინდივიდუალურ ოჯახებად დაიშალა. ოჯახის საკუთრების სეგმენტაცია მეწილეებზე, მამაკაცის უფროსი თაობის წარმომადგენლებზე მოხდა. უძრავი და მოძრავი ქონება თანაბრად იყოფოდა, გარდა წლიური სარჩოსი, რომელიც ყველა წევრზე ნაწილდებოდა. ქალები ოჯახის გაყრასა და ქონების განაწილებაში მონაწილეობას არ იღებდნენ. ლიტ. 28.

ავტ.

6.3.4. რელიგიათმცოდნეობა

2.6.3.4.1. ქალის როლი ადრექრისტიანულ საეკლესიო და პილიგრიმობის ორგანიზებაში (დიაკონოსი და საეკლესიო - ქველმოქმედი ქალი). /ქ. პავლიაშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 71-77. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ძველ ეკლესიაში ქალის ასკეტური ცხოვრება მრავალმხრივი ფუნქციით გამოირჩეოდა. ადრეხრისტიანულ ეკლესიაში შემდეგი კატეგორიები იყო: ეკლესიის ორგანიზატორი, კულტის მსახური, დიაკონისი. ეს კატეგორიები იხსენიებიან მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონებშიც. დროთა ვითარებაში, ზემოაღნიშნული ზოგი კატეგორია გაუჩინარდა, რაც მკაფიოდ არ არის ასახული ეკლესიის ისტორიაში. მას გააჩნია განსაზღვრული მიზეზები და წანამძღვრები. მთავარი მიზეზი კი გახდა შიდა საეკლესიო ორგანიზაციისა და სასულიერო ორგანიზაციის ჩამოყალიბების პროცესი. საეკლესიო ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ ქრისტიანული სიწმინდეების საორგანიზაციო საქმიანობის ინიციატორი იყო პალესტინა. შესაბამისად, პალესტინის მონაზვნობის ძირითადი სპეციფიკა მდგომარეობდა წმინდა ადგილებისა და მთლიანად წმინდა მიწის ორგანიზებაში მონაწილეობა. ამ საქმიანობის ინიციატორები და აქტიური მონაწილეები იყვნენ ქალები. IV საუკუნისთვის უკვე სრულად ჩამოყალიბებული იყო წმინდა ადგილებისა და წმინდა მიწის კულტი; ასევე, პილიგრიმობის ინსტიტუტი, რომელთა ფორმირებაშიც ქალებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს. ამრიგად, ეკლესიაში ქალთა (დიაკონოსები – ქ.პ.) მოღვაწეობა და კეთილშობილ ქალწულთა შიდასაეკლესიო და საქველმოქმედო საქმიანობა წარმოდგენდა მნიშვნელოვან სეგმენტს ეკლესიის ისტორიაში. ქალი, პირველქრისტიანობის საწყის ეტაპზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ეკლესიის საორგანიზაციო საქმეში, სხვადასხვა ადგილებში საეკლესიო ორგანიზაციის ფორმირებაში, ერესებთან ბრძოლაში, ქრისტიანობის გავრცელების საქმეში, სიწმინდეების აღმოჩენა-დაცვისა და პილიგრიმობის ორგანიზებაში და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულით, კეთილშობილმა ქალწულებმა უდიდესი ზემოქმედება იქონიეს როგორც ეკლესიის ისტორიაზე, ისე მთელს ადრეხრისტიანული ქრისტიან საზოგადოებაზე, კერძოდ, დედათა მონაზვნურ ინსტიტუტსა და სამონაზვნო ცხოვრების ჩამოყალიბების წესზე, ზოგადად ასკეტურ ტრადიციაზე. ლიტ. 22.

ავტ.

2.6.3.4.2. ქართული კულტურის პროვიდენციული დისკურსი. /გ. პაპუაშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 78-82. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

განათლება – ნათელი უნდა სუფევდეს ჩვენს გულსა და გონებაში, რომ გავარჩიოთ სად არის კულტურა და სად არის ფსევდოკულტურა“ (Ilia II, 2005). მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელსაც ადამიანის სულის კურნება და ღვთის დიდება არ უძღვის წინ, ღვთისმგმობი სულის ფარისევლურ შენიღბვას ემსახურება. დახვეწილი ტექნოლოგიებით მზაკვრულად შეფუთული

ბოროტება, საღებზა როგორც სიკეთე, მონობა – როგორც თავისუფლება და ასეთი ფსევდო-ღირებულებებით გაჟღენთილ ადამიანებს სიკვდილის გზაზე აყენებს. ამიტომ „ჩვენი მიზანი მუდამ იყო და არის სულიერი, ზნეობრივი და კულტურული ფასეულობების დაცვა, მათი შენარჩუნება... ახლა რთული პერიოდია – ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ხანა. მსოფლიოში მეტად რთული და შეუქცევადი პროცესები მიმდინარეობს. ამ დროს ერმა უნდა გადაარჩინოს თავისი სულიერი ფასეულობა... საქართველოში ჯერ კიდევ შეიძლება, სთხოვო და ვიღაცას გააგებინო, რა არის კეთილი და რა ბოროტი, მაგრამ უცხოეთს ამას ვერ აუხსნი. ამიტომ ჩვენს ხალხში უნდა შეიქმნას გარკვეული იმუნიტეტი, სულიერი ძალა, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი სარწმუნოების ნიადაგზე. ამ იმუნიტეტის წყალობით ცოდვამ და ბოროტებამ ვერ უნდა დაიპყროს ადამიანის გონება და გული... დღეს ადამიანებს უჭირთ გარჩევა კეთილისა და ბოროტისა; ზოგჯერ ვერ ხედავენ, სად არის კულტურა და სად ფსევდოკულტურა, რომელიც წარსაწყმედელი და დამღუპველია“ (Ilia II, 2004). გლობალიზაციის კულტურა მიზნად ისახავს რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული და კულტურული განსხვავებების აღმოფხვრას და ერთიანი გლობალური ფსევდოკულტურის ფორმირებას. ეს არის დასავლური სამყაროს პირმო და მასთან დაკავშირებული პროცესები მომდინარეობენ თანამედროვე მსოფლიოს ძლიერი მეტროპოლიებიდან. ესენი არიან თანამედროვე ახალი „კულტურული იმპერიები“, რომლებიც ღირებულებათა ანტიქრისტიანული სისტემის პოპულარიზაციის ქვეტექსტით დანარჩენი მსოფლიოს ცივილიზაციურ ექსპანსიას აწარმოებენ. ლიტ. 4.

ავტ.

2.6.3.4.3. იმერთა მეფის ბაგრატ III-ის საეკლესიო ადმინისტრაციული პოლიტიკა. /თ. ქართველიშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 83-90. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

იმერთა მეფის ბაგრატ III-ის ზეობისას (1510-1565) მთელი ძალისხმევა მიმართული იყო დასავლეთ საქართველოში ძლიერი, ცენტრალიზებული ხელისუფლების ჩამოსაყალიბებლად და ამ პროგრესული ნაბიჯების განხორციელების დროს ეკლესია მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ბაგრატი ცდილობდა დასავლეთ საქართველოს ერთიანობა შეენარჩუნებინა. ამ პოლიტიკის ნაწილი იყო ეკლესიის გაძლიერებაზე ზრუნვა. ბაგრატმა რამდენიმე მიმართულებით წარმართა საეკლესიო პოლიტიკა, მათგან ერთ-ერთი იყო ადმინისტრაციული რეფორმა. წერილ ადმინისტრაციულ ერთეულებად დანაწევრებულ ქვეყანაში ანომალია იყო ერთიანობის პერიოდის მსხვილი საეკლესიო ეპარქიების არსებობა. იმერეთის სამეფო ეკლესიურად გაერთიანებული იყო ქუთათელის სამწყსოში. ცხადია, მეფისთვის მიუღებელი იყო მისი თანაფარდი სასულიერო მოღვაწის გვერდით ყოლა. ამიტომ ქუთათელის ეპარქია დაყო: 1. საკუთრივ ქუთაისის, 2. გელათის, 3. ხონის და 4. ნიკორწმინდის (რაჭა) საეპისკოპოსოებად. ახალ ეპარქიებს სათავეში დაუყენა თავისი ერთგული მწყემსმთავრები. ახალი ეპარქიების დაარსება მეფესა და კათალიკოსს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთობლივი სურვილით მოხდა. როგორც წესი, ეპისკოპოსის კანდიდატურას მეფე არჩევდა, ხოლო კათალიკოსი ამტკიცებდა. ამ შემთხვევაში მეფისა და კათალიკოსის ინტერესები ერთმანეთს თანხვდებოდა. მეფე ბაგრატმა ამით 1. შეზღუდა ქუთათელის გავლენა და 2. ახლადნაკურთხი ეპისკოპოსების სახით ერთგული მოკავშირეები შეიძინა. წერილი საეპისკოპოსოების ჩამოყალიბება კათალიკოსის ინტერესებშიც შედიოდა, რადგან ამით კათალიკოსმა შეძლო ძლიერი საეკლესიო იერარქის (ქუთათელი) გაუვნებელყოფა. ქუთათელის დამცრობის პარალელურად მოხდა გენათელის აღზევება. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის ტერიტორიაზე ქუთათელს სამწყსოში გენათელი და ხონელი შეეზიარნენ, მათ შორის ყველაზე პატივდებული გენათელი აღმოჩნდა. გელათის და გენათელის დაწინაურება მეფის ინტერესებში მოექცა. იმდენად დიდი ღვაწლი დასდო ბაგრატმა გელათის სამონასტრო კომპლექსის აღორძინებას,

რომ მას გელათის მეორედ აღმშენებლსაც უწოდებენ. ბაგრატ III-ის რეფორმა იყო შედეგი გვიან შუა საუკუნეებში შექმნილი დაჩიხულობის პრობლემისა, მაგრამ, ამასთანავე, მიზნად ისახავდა ცენტრალიზებული მეფის ხელისუფლების განმტკიცებას. ლიტ. 24.

ავტ.

2.6.3.4.4. ქართული საზოგადოებრივი აზრი სასულიერო განათლების მნიშვნელობის შესახებ (XIX საუკუნის მეორე ნახევარი). /თ. ფხალაძე/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 91-99. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

სასულიერო სემინარიის სასწავლო კურსს, ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადოების პროგრესული ნაწილის აზრით, მთლიანად უნდა მოეცვა სასულიერო პირების განათლების ძირითადი ამოცანები: მათში ღრმა სარწმუნოებრივი სულისკვეთების აღზრდა, ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ისტორიის, საეკლესიო-ფილოსოფიური აზროვნების, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის საფუძვლიანი შესწავლა. ამ სწორი მოთხოვნის საპირისპიროდ, სემინარიის სასწავლო გეგმა მთლიანად განისაზღვრებოდა გაბატონებული რუსული ეკლესიის კოლონიური ინტერესებით, რაც, პირველ რიგში, ეროვნული ცნობიერებისაგან დაცლილი სამღვდელოების აღზრდას გულისხმობდა. სასულიერო სემინარიებში შექმნილი სავალალო მდგომარეობის მიზეზთა შორის, დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან, აქცენტი კეთდება სასულიერო სასწავლებლების ისტორიულად შექმნილი ქსელის (სისტემის) ლიკვიდაციაზე, რაც ეროვნული საწყისის მიღმა ტოვებდა რუსული მმართველობის მიერ დაარსებულ სკოლებს. მემკვიდრეობითობის სრული იგნორირება თავისთავად მოასწავებდა სემინარიებში ხალხოსნური პრინციპის უარყოფასაც. სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას მნიშვნელოვნად აბრკოლებდა ქართული ენის უგულვებელყოფაც. პრობლემის სერიოზულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ სინოდის წარმომადგენლები (მაგ., მიროპოლსკი) სემინარიებში სწავლების ხარისხის ამაღლებას ქართული ენის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ხალხის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის შესაძლებლობას უკავშირებდნენ. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც იმპერია მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა და მართვის ჩვეული, რეპრესიული სტილი საკმარისი აღარ აღმოჩნდა დემოკრატიული ძალების დასათრგუნად, ხელისუფლება მოჩვენებითი დათმობებით შეეცადა ვითარების რამდენადმე განეიტრალებას, თუმცა, ნებისმიერ პროგრესულ ცვლილებას, შესაბამისი ნების არარსებობის ვითარებაში, მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა და სასურველ პრაქტიკულ შედეგს არ იძლეოდა. ლიტ. 12.

ავტ.

6.4. ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)

6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2.6.4.1.1. პიტერ პაულ რუბენსის სახელოსნოს სურათის „სასიყვარულო სცენა“ ინტეგრირებული კვლევა. /ნ. ტაბუცაძე, ე. კიკნაძე, ნ. კალანდაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2021. – ტ. 15. – #4. – გვ. 189-194. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნების კოლექციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ექსპონატებს, სრულყოფილი სახელოვნებათმცოდნეო და ტექნიკური კვლევა უტარდება. პიტერ პაულ რუბენსის სკოლის უცნობი მხატვრისათვის

მიკუთვნებული, XVII საუკუნის სურათის „სასიყვარულო სცენა“ რენტგენოგრამაზე გარკვევით ჩანს სურათის ფერწერულ ფენებში ცვლილების კვალი. აღნიშნულმა ფაქტმა სურათის შემდგომი კვლევისა და ხელახალი ატრიბუციის აუცილებლობა განაპირობა. ამ დრომდე საქართველოში არცერთი სამუზეუმო კოლექცია არ შესწავლილა ხსენებულ მულტიდისციპლინურ მიდგომებსა და მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. შესაბამისად, წარმოდგენილი კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად გაამდიდრებს საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებს, ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის როლის გაძლიერებას მიმდინარე სამეცნიერო პროცესებში და მყარ ნიადაგს მოამზადებს სამომავლო სამეცნიერო თანამშრომლობისათვის. პროექტის განხორციელებით საქართველოს ეროვნული მუზეუმი დასავლეთ ევროპული ხელოვნების ნიმუშების/კოლექციების შესწავლის ახალ, თანამედროვე სტანდარტს წერგავს. კვლევის შედეგები და მათი საბოლოო პუბლიკაცია დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნების შესახებ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქართულ ენაზე გამოქვეყნებული პირველი ორიგინალური ნაშრომი იქნება. პუბლიკაციის გამოყენება რეკომენდებულია საქართველოში საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა საფეხურზე შესაბამისი პროგრამებისათვის. სურ. 3, ლიტ. 8.

ავტ.

2.6.4.1.2. მიხეილ-გობრონ საბინინი. /ნ. გიორგაძე/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2021. – #1(34). – გვ. 109-115. – ქართ.; რუბ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.14>

გობრონ საბინინის სახელი მნიშვნელოვანი ნაღვაწით ჩაიწერა ქართული კულტურისა და რელიგიის ისტორიაში – დამაშვრალი ბერი, ხატმწერი, ქართული ეკლესიის ისტორიკოსი, მისი ერთგული დამცველი და თანამდგომი, ქართულ სიძველეთა შემკრები და მკვლევარი, ღრმა თეოლოგიური ცოდნით აღჭურვილი მოაზროვნე. მიხეილ საბინინის (1845-1900) სიცოცხლის წლები ბევრს არ ითვლის. სამწუხაროდ, ის მცირეც, რაც არგუნა არსთა განმრიგემ, ჭმუნვასა და გაჭირვებაში განვლო. ყოველივეს მიუხედავად მაინც შეძლო ეღვაწა ისე, რომ დავიწყებას არ მისცემოდა მისი სახელი. დიდია მიხეილ საბინინის დამსახურება ქართველი ერის წინაშე, მაგრამ მისი ღვაწლი, უპირველესად, სასულიერო მწერლობისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება. ივერიელი კანდიდატის, გობრონ (მიხაილ) საბინინის „საქართველოს სამოთხე“ გახლავთ პირველი ვრცელი ჰაგიოგრაფიული კრებულის ბეჭდური გამოცემა. როგორც წინასიტყვაობიდან ირკვევა, ღვაწლმოსილ ბერს მასალების შეგროვებისა და წიგნად გამოცემის სურვილი ჭაბუკობიდან, ჯერ კიდევ თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში გასჩენია. მიხეილ საბინინს თითქმის შვიდი წელი უგროვებია ეს ფასდაუდებელი მასალა. უგროვებია სოფელ-სოფელ, მონასტრებში, კერძო პირთაგან, ძირითადი ნაწილი რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილთა კოლექციებიდან აუღია. ბევრი ხელნაწერი სწორედ „საქართველოს სამოთხემ“ დაიცვა და შემოგვინახა. ცალკე მსჯელობის საგანია მიხეილ საბინინის დამსახურება ქართველ წმინდანთა სახე-ხატების დამკვიდრებაში. იგი დაუღალავად მოგზაურობდა საქართველოს კუთხეებში. ეკლესია მონასტრებში გულისყურით აკვირდებოდა ფრესკებს და საკუთარ დღიურებში გადაჰქონდა. მიხეილ საბინინის, როგორც ხატმწერის სახელს, უკვდავებას, უპირველესად, „საქართველოს ეკლესიის დიდების“ ხატი ანიჭებს. ამ უნიკალური ხატის ლითოგრაფიები 1889-1895 წლებში ლაიფციგსა და ბერლინში დაიბეჭდა. აღნიშნული ხატის მნიშვნელობასა და პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მისივე რჩევა-მითითებებით დაიწერა „საქართველოს იმედის ხატი“. საბინინის დამსახურება, ბუნებრივია, ამით არ ამოიწურება. იგი რუსულად თარგმნიდა ქართველ წმინდანთა ცხოვრებას და ამით წარმოაჩენდა კიდევ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სიმაღლეს. ასე

იქცეოდნენ ათონელი ბერები, ასე იქცეოდა ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, როცა ცდილობდნენ ბერძენთა თვალში ქართულ-ბერძნული კულტურის შეთანატოლებას. სურ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

6.4.2. არქიტექტურული დიზაინი

2.6.4.2.1. ამიერკავკასიის უძველესი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესწავლისათვის. /ი. შიხიაშვილი/. ჟურნალი განათლება. – 2020. – #1 (28). – გვ. 194-199-- ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში განხილულია პრეისტორიული და ისტორიული ხანის ამიერკავკასიის სავაჭრო სატრანზიტო გზების გაჩენისა და განვითარების ისტორიული მოვლენები. არქეოლოგიურ-ისტორიულ ჭრილში განხილულია უძველესი ცივილიზაციებთან ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს ურთიერთობები, რომლებიც უნდა ასახავდეს და ასახავს კიდევაც საკვლევ ეპოქაში რეალურად არსებულ უძველესს და ძველ სავაჭრო გზებს, მათი განვითარებისა და სახელცვლილებების თავისებურებებს იმდროინდელ სამყაროსთან. საქართველოს, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთისა ხიდს. თანამედროვე ე.წ. განახლებული „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკური და კულტურულ განვითარებაში. ლიტ. 12.

ავტ.

6.4.3. საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა (მუსიკათმცოდნეობა, თეატრთმცოდნეობა, დრამატურგია)

2.6.4.3.1. უცხოური ლიტერატურა რუსულ მუსიკაში: რიმსკი-კორსაკოვის რომანსის თხზ. 4 No.2 თემატიკა და სიმბოლიზმი. /ნ. მამედოვი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2020. – #1(21). – გვ. 3-9. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვის რომანსები მცირე ვოკალური ნაწარმოებებია, სადაც კომპოზიტორი მომღერლის მელოდიას პოეტური იდეების გამოსახატად იყენებს. თხზ. 4 No.2-ში, რიმსკი-კორსაკოვი ლექსის არსს კარგად კოორდინირებული საფორტეპიანო აკომპანემენტისა და მომღერლის მელოდიის დაბალანსებით ასახავს, რაც უნიკალური რიტმული სტრუქტურის მეშვეობით მუდმივ პულსს წარმოქმნის. სიმღერის მეტრული კონფიგურაცია კომპოზიტორს საშუალებას აძლევს დაახასიათოს ლექსის სიუჟეტი და წარმოაჩინოს ჰაინეს ტექსტის პოეტური ორაზროვნება. წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულია თხზ. 4 No.2-ის საკომპოზიციო ენის სტილისტური თავისებურებები და წარმოდგენილია ანალიტიკური პერსპექტივა სიმღერის ლირიკულობის, დამაბულობისა და განსაკუთრებულობის შესახებ, რადგან კომპოზიტორი მუსიკასა და ტექსტს ლიტერატურის კონოტაციის გამოსავლენად იყენებს. პირველ რიგში, რიმსკი-კორსაკოვი იყენებს მთავარ რიტმულ მოტივს ცხენის ჭენების აღსანიშნავად. მეორე, განმეორებადი რიტმული სტრუქტურა წარმოშობს მღელვარებისა და გაურკვევლობის მაღალ დონეს, რომელიც ლექსის დასრულებამდე არ წყდება. მესამე, რიმსკი-კორსაკოვი პოეტურ დამაბულობას გამოხატავს ვოკალისტის მელოდიისა და პიანისტის აკომპანემენტის შერწყმის გზით; ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია, წარმოაჩენს რა მუსიკას, რომელიც საყრდენია ლიტერატურისა (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ხაზს უსვამს გადაუჭრელი სიყვარულის თემას). სურ. 6, ლიტ. 12.

ავტ.

2.6.4.3.2. „ხანუმას“ ხუთი სიცოცხლე. /მ.ქავთარაძე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2020. – #1(21). – გვ. 10-16. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

დრამატურგ ავქსენტი ცაგარელის (1857-1902) თანემდროვენი ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდნენ, როგორი პოპულარული გახდებოდა მისი პიესა „ხანუმა“ (1982) მეოცე საუკუნეში და, რაც მთავარია, რამდენჯერ შეიცვლებოდა ის სცენასა და ეკრანზე - პერსონაჟების სახელებით დაწყებული, სიუჟეტითა და მუსიკით დამთავრებული. პიესის ინტერპრეტაციაში როგორც სარკეში აირეკლა მეოცე საუკუნის ქართული კულტურა და ქვეყნის ისტორია, და არა მარტო ქართული. კომპარატიულ მეთოდზე დაყრდნობით სტატიაში განხილულია ავქსენტი ცაგარელის პიესის „ხანუმას“ მუსიკალური ინტერპრეტაციები საუკუნის მანძილზე მათი შექმნის დროის კონტექსტში, მისი „ხუთი სიცოცხლე“: პირველი ქართული კომიკური ოპერა – ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“ (1919), ფილმი „ქეთო და კოტე“ (1948) ვიქტორ დოლიძისა და არჩილ კერესელიძის მუსიკით, სტურუა-ყანჩელის სპექტაკლი „ხანუმა“ (1968), ვახტანგ და ჯანსუღ კახიძეების ოპერა-ფანტაზია „ბარბაღე“ (1985-86) და ნიკა რაჭველის მიუზიკლი „ქეთო და კოტე“ (2011). სურ. 1, ლიტ. 12.

ავტ.

2.6.4.3.3. სასწავლო პროცესის მართვა კონსერვატორიაში გასული საუკუნის 1920-1930-იანი წლების ტოტალიტარიზმის პირობებში. /თ. დოლიძე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2020. – #1(21). – გვ. 31-45. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანია იმის დადგენა, თუ რა გავლენა მოახდინა გასული საუკუნის 20-30-იან წლებში არსებულმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა კონსერვატორიაში მიმდინარე სასწავლო პროცესზე; ასევე, როგორ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მართვა კონსერვატორიაში ტოტალიტარიზმის, პროლეტარული დიქტატურისა და პოლიტიკური რეპრესიების პირობებში. კონსერვატორიის საარქივო ფონდებში დაცული ბრძანებათა წიგნები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ყოველივე ამის შესახებ. ლიტ. 4.

ავტ.

2.6.4.3.4. ორგანი და მისი სახეობები XX საუკუნეში. /ა. ვასაძე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2020. – #1(21). – გვ. 54-63. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

ორგანს, როგორც წარმოუდგენლად დიდი შესაძლებლობების და გიგანტური მასშტაბების მქონე საკრავს განსაკუთრებული ადგილი უკავია მუსიკალურ სამყაროში. ამ საკრავმა მრავალი საუკუნის მანძილზე საგრძნობი ევოლუცია განიცადა და არნახულ ტექნიკურ განვითარებას მიაღწია. სტატიაში ორგანის ისტორიის მოკლე ექსკურსის ფონზე აღწერილია მისი სტილური სახეობები და თავისებურებები და შედარებითი ანალიზის გზით მცდელობაა გამოვლინდეს მათი გამომსახველი თავისებურებების სხვაობა, მათ შორის განხილულია თბილისში არსებული საკონცერტო ორგანები. სურ. 2, ლიტ. 7.

ავტ.

2.6.4.3.5. ბაროკოს ეპოქის მუსიკალური ნაწარმოებების არანჟირებების შესაძლებლობათა გაფართოება ბანდურისთვის ზოგადმეთოდოლოგიური ტერმინოლოგიის მუსიკალური ადაპტაციის გზით. /ნ. ხმელი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2020. – #1(21). – გვ. 64-70. – რუს.; რეზ.: რუს., ინგლ.

წარმოდგენილია ზოგადმეთოდოლოგიური ცნებების - რემინისცენცია, რეკონსტრუქცია, კომპლემენტარულობა, ჰერმენევტიკა, რეცეფცია - ანალიზი, რათა მოხდეს მათი ბაროკოს ეპოქის ნაწარმოებების თანამედროვე ინსტრუმენტულ ბანდურას შემსრულებლობაში არანჟირების პროცესთან ადაპტირება. ამ ტერმინოლოგიის დანერგვა არანჟირების პროცესში შესაძლებელს ხდის გაფართოვდეს თანამედროვე ბანდურას ხელოვნების შინაარსობრივი და ინტერპრეტაციული შესაძლებლობები, აგრეთვე მოხდეს ბაროკოს ეპოქის მუსიკალური

ნაწარმოებების აქტუალიზება შესრულების თანამედროვე დონის კონტექსტში. გასული საუკუნეების მუსიკის არანჟირება, მოდიფიცირებული ხალხური ინსტრუმენტებისთვის საკმაოდ რთული პროცესია. ამ კვლევის მიზანია ინსტრუმენტული არანჟირების პროცესის კატეგორიული აპარატის გაფართოება ფილოსოფიური კატეგორიებითა და ცნებებით, რომლებსაც შეუძლიათ მუსიკოლოგიური მეთოდოლოგიის სფეროს გამრავალფეროვნება და შინაარსობრივად გამდიდრება, რაც საშუალებას მოგვცემს განვირცოთ ბანდურას თანამედროვე არანჟირებათა შინაარსობრივი ვარიაციულობა. წარმოდგენილი ტერმინებისა და ცნებების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი დანერგვა ბაროკოს ეპოქის ნაწარმოებების თანამედროვე ბანდურას შესრულებისთვის არანჟირების მეთოდოლოგიაში ავთენტურისა და აქტუალურის სინთეზის ხასიათს ატარებს და ასევე ხარისხობრივად აფართოებს ხალხურ საკრავებზე, კერძოდ ბანდურაზე, საშემსრულებლო ხელოვნების შემოქმედებითი ინტერპრეტაციის სემანტიკურ სფეროს, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს მათ რეპერტუარს. ლიტ. 23.

ავტ.

2.6.4.3.6. მუსიკა ტოტალიტარული კულტურის კონტექსტში (XX საუკუნის 30-იანი წლების ქართული მუსიკის მაგალითზე). /მ. ქავთარაძე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2020. – #2(22). – გვ. 3-12. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

სტატიაში XX საუკუნის 20-30-იანი წლების მუსიკალურ-იდეოლოგიური დისკურსის საფუძველზე წამოდგენილია საბჭოთა კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესი და ნაჩვენებია კონკრეტული ისტორიული ეპოქის საკვანძო ეტაპები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს მუსიკალური კულტურის, როგორც ტოტალიტარული სისტემის შემადგენლის ფორმირებაში. საბჭოთა კავშირის ხელისუფლება უზრუნველყოფდა კულტურის ისეთ განვითარებას, რომლის ფარგლებში ხელოვანთ უნდა ემოქმედათ მხოლოდ არსებული ჩაკეტილი სისტემის მიერ დაშვებული ფორმებისა და იდეების კონტროლირებად საზღვრებში. ხელოვნება, როგორც კულტურის რეპრეზენტატორი, იმ ანომალიების ინდიკატორად იქცა, რომელთაც ტოტალიტარიზმი ბადებდა. აღნიშნული პროცესები განიხილება 20-30-იანი წლების ქართული მუსიკალური კულტურის მაგალითზე. ლიტ. 21.

ავტ.

2.6.4.3.7. ნოსტალგია „Fin de Sciecle“-ს ეპოქაში. /ო. სემენეცი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2020. – #2(22). – გვ. 13-28. – რუს.; რეზ.: რუს., ინგლ.

განხილულია ნოსტალგიის პრობლემები და მისი თავისებურებები XIX საუკუნის დასასრულს - XX საუკუნის დასაწყისში. ყურადღებას იპყრობს მოდერნიზმის, დეკადანსისა და სიმბოლიზმის მოვლენები, რაც აღნიშნულ ეპოქას ახასიათებს. შესწავლილია სხვადასხვა მკვლევართა შორის დეკადანსისა და სიმბოლიზმის იდენტურობისა თუ დიფერენციაციის პრობლემა. გაანალიზებულია დეკადანსისა და სიმბოლიზმის მიმდინარეობათა თავისებურებები, ყურადღება გამახვილებულია ევროპისა და უკრაინის მხატვრულ კულტურაში ამ მიმართულებების წარმომადგენლებზე. სტატია ეხება ნოსტალგიის ცნების ისტორიულ განვითარებას, მის თანამედროვე გაგებასა და განმარტებას. იგი ასევე მოგვითხრობს მოდერნიზმის ეპოქაში, კერძოდ, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, უკრაინულ კულტურასა და მუსიკაში ნოსტალგიის განსახიერების თავისებურებებზე. ლიტ. 29.

ავტ.

2.6.4.3.8. მოდესტ მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“ (საორგანო ტრანსკრიფციები). /ა. ვასაძე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2020. – #2(22). – გვ. 29-44. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

მოდესტ მუსორგსკის საფორტეპიანო ციკლი „სურათები გამოფენიდან“ განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მსოფლიო მუსიკალურ შედევრებს შორის. იგი დიდ ყურადღებას იპყრობს არა მარტო ავტორისეული ორიგინალის სახით, არამედ სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი მრავალრიცხოვანი ტრანსკრიფციებითაც, როგორც საორგანო (ყველაზე ცნობილი რაველის ვერსია), ისე სხვადასხვა შემადგენლობების და საკრავებისთვის, მათ შორის ორგანოსთვის. სტატიაში განხილულია ჩემი (ა. ვასაძის) საორგანო ტრანსკრიპცია და შეთავაზებულია ცნობილი ფრანგი ორგანისტის ჟან გიუს საორგანო ტრანსკრიფციასთან მისი შედარებითი ანალიზი; განიხილება ტრანსკრიპტორის მიერ არჩეული ციკლის ორგანოზე გადატანის სხვადასხვა გზები, ორიგინალსა და ტრანსკრიპციას შორის მსგავსება-განსხვავების ნიშნები. სურ. 4, ლიტ. 5.

ავტ.

2.6.4.3.9. ტრიტონული სიმეტრია და სისტემური კონსტრუქტივიზმი. /ზ. ჩურლიონიენე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2020. – #2(22). – გვ. 45-55. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

მე-20 საუკუნეში ტრიტონი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა როგორც თეორიულ, ისე შემოქმედებით პლანში: შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნეში ტრიტონის დომინირებამ მუსიკაში აპოგეას მიაღწია. ანალიზის მნიშვნელოვანი ობიექტი გახდა ტრიტონზე დაფუძნებული სიმეტრიული თანმიმდევრობები. ამ ინტერვალის გამომსახველობა უნიკალურია ლინეარული და ვერტიკალური პარამეტრების და კომპოზიციის სტრუქტურის კოორდინაციაში. ამ მიზეზით, წინამდებარე ნაშრომში ომის შემდგომი ავანგარდული ნიმუშების მაგალითზე ასახულია ტრიტონის სიმეტრიის ფენომენის კონსტრუქციულობა სერიებში, ჰარმონიაში და ვერტიკალსა და დიაგონალში. გამოკვლეულია ტრიტონის მნიშვნელობა 12-ტონიან მუსიკაში, სადაც ის ვლინდება სიმეტრიაში, სპეციფიკურ დისონანსში და დამაბულობაში. ტრიტონური სიმეტრია და მკაცრი კონსტრუქტივიზმი განსაკუთრებით დამახასიათებელია ომისშემდგომი ავანგარდის ლიდერებისთვის - ნონოს, ბულეზისა თუ შტოკჰაუზენისთვის, რომლებიც იყვნენ დარმშტადტის საზაფხულო კურსის, პოსტ-ვებერნისეული სერიალიზმის ცენტრის, აქტიური მონაწილეები. ომისშემდგომი ავანგარდის კონტექსტში ტრიტონის კონცეფციის შეცვლის ანალიზისას ჩვენ 12-ტონიანი სერიებს შევისწავლით სტრუქტურული, ჰარმონიული და მელოდიური თვალსაზრისით, აგრეთვე ვიკვლევთ მათ გავრცელებას კომპოზიციებში. სურ. 13, ლიტ. 19.

ავტ.

2.6.4.3.10. აბელ კარლევაროს კამპოს სინკოპირებული მელოდიური და რიტმული სტრუქტურა. /თ. ონდერი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2020. – #2(22). – გვ. 56-63. – ინგლ.; რეზ.: ინგლ.

Preludios Americanos არის აბელ კარლევაროს (1916-2001) კლასიკური გიტარის ერთ-ერთი ცნობილი კომპოზიცია. ამ პრელუდიებიდან მესამეს ეწოდება „კამპო“. ნაწარმოებში არსებული სინკოპირებული სტრუქტურებით წარმოქმნილი მელოდიური და რიტმული მოდელები არსებითია მუსიკალური გამოხატვის კონტექსტში. ეს მუსიკალური ელემენტები ნაწარმოებში მთლიანობაშია წარმოდგენილი. ამ კვლევაში გამოკვლეულია სინკოპირებული სტრუქტურები, რომლებიც ქმნიან კამპოს მუსიკალურ ქსოვილს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სინკოპის განმარტებებსა და მის მნიშვნელობაზე მუსიკალურ ფაქტურაში. კამპოზე ამ სტრუქტურებისა და მოდელების ეფექტი განხილულია და ნაჩვენებია პარტიტურის მაგალითზე. სურ. 8, ლიტ. 6.

ავტ.

2.6.4.3.11. ე. ჭაბაშვილის „დიფსომანიის“ და ა. ჭოხონელიძის „მეკარვეს“ შედარებითი ტემბრული ანალიზი. /ა. ჭოხონელიძე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2020. – #1(21). – გვ. 17-30. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

განხილულია ორი არფისთვის დაწერილი 2 ნაწარმოები და მოცემულია შედარებითი ტემბრული მოდელის შექმნის პროცესი ტემბრული პარამეტრების საფუძველზე. მოცემული კვლევა ახალი ინტერპრეტაციის დამკვიდრების მცდელობას წარმოადგენს. სურ. 25, ცხრ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

2.6.4.3.12. დავით ნოღელის ერთი წერილი თეატრზე. /ლ. ჭითანავა/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 150-153. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

